დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2022 წლის 8-14 აგვისტო
N33 1445
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ფრთხილად:

## დაწყებულია დივერსიის ახალი ტალღა საქართველოს ომში ჩასათრევად!

Пожалуйста, используйте грузинский или английский языки для общения с персоналом

Я гражданин России, посещающий Грузию, уважающий принимающую страну и ее народ. Я Согласен со следующим:

- Я не голосовал за Путина, он Диктатор
- Я осуждаю российскую агрессию в Украине
- Крым - Это Украина, как и другие спорные территории

მოსალოდნელია მილიონზე მეტი ქართველის გამოყრა რუსეთიდან!




2 3

## დააბრუნეთ წართმეული!



ალუდგინეთ სამართლიანობა სააკაშვილის რეჟიმის მიერ დარბეულ ქართულ პრესას და გამოძებნეთ სახელმწიფო რესურსი

### ახალი პრესის სახლის ასაშენებლად!

4-5

15 წლის წინათ, 2007 წლის 10 აგვისტოს, სააკაშვილის რეჟიმმა დაგვარბია, მაგრამ ვერ დაგვამარცხა!



## მედეა ლორთქიფანიძე:

აარიდეთ შვილები იმ დაბადების დღის სუფრას, სადაც მისთვის უცნობი პირები არიან დაპატიჟებული!

28



„დაე, შვილი დაგემდუროს, ოღონდ გადაარჩინე!“

## ჯერ დაიქოცნენ, მერე იქორწინეს!

12



8







## ნაცჯალათებო, გახსოვდეთ შურისმაძიებელი კალოევი!

## მაყვალა ბერიანიძე:

სააკაშვილისა და რულოვსის ქორწინება სპეცსამსახურების დაგეგმილი ოპერაცია იყო!

22





„ლორთქიფანიძისა და ბურჯანაძის ორთაბრძოლაში შევარდნაძე ფარულად მხარს ბურჯანაძეს უჭერდა!“

## კაცობა, მუდამ კაცობა, არ უნდა ამას გან-ვრცობა!

25




საჯარო შეხმიანება ჩხოროწყუში ჯუმბერ იზორიას

## ედიშერ გვენეტაძე:

რატომ ფეხი არ მომტყდა, იქ რომ მივედი და ამ უწიგნურ და უზნეო ნიკა ნარსიას თავი გავუყადრე!

6



„ვინც სააკაშვილის გარშემო ტრიალებდა და ტრიალებს, ყველა სულით დამპალია!“

## დიდგორის ომი მე-10 საუკუნეში გადავიდა!

14

# ფრთხილად: დაწყებულია დივერსიის ახალი ტალღა საქართველოს ომში ჩასათრევად!

***ქართული სახელმწიფოს შინაურმა მტრებმა, რასაკვირველია, თავიანთ გარეულ პატრონებთან და მოკავშირეებთან ერთად, რომლებიც მარტო დასავლეთში კი არა, ჩრდილოეთშიც ჰყავთ, საქართველოს ომში ჩასათრევად ახალი კამპანია წამოიწყეს.***

დიახ, **მას შემდეგ,** რაც უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა განცხადებებითა და ქმედებებით ვერ მოხერხდა საქართველოს ომში ჩათრევა; **მას შემდეგ,** რაც 308 ევროპარლამენტარის მიერ მიღებულმა პროვოკაციულმა რეზოლუციამაც ვერ განაპირობა საქართველოს ომში ჩათრევა; **მას შემდეგ,** რაც ბიძინა ივანიშვილის დაშანტაჟება და მისთვის არაფორმალური სანქციების დაწესებაც არ აღმოჩნდა საკმარისი საქართველოს ომში ჩასათრევად; **მას შემდეგ,** რაც ნაციონალური მოძრაობისა და მისი მონათესავე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული ომის პროპაგანდაც უძლური აღმოჩნდა საქართველოს ომში ჩასათრევად, **ქართული სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილმა შინაურმა და გარეულმა პროვოკატორებმა ტაქტიკა შეცვალეს.**

საქართველოს ომში ჩათრევის ახალი ტაქტიკა რუსი ტურისტების მიმართ სიძულვილისა და აგრესიის ტალღის აგორებას გულისხმობს!

ცხადია, **შემუშავებულია კონკრეტული მექანიზმებიც, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს საქართველოში ჩამოსული რუსი ტურისტების ე.წ. ბულინგი, მათთვის მორალური ობსტრუქციის მოწყობა და ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თავს დამცირებულად და უფლებაშელახულად იგრძნობენ.**

რუსი ტურისტებისათვის ასეთი გარემო უკვე შექმნეს საქართველოს ტერიტორიაზე მოფუნქციონირე ცალკეულმა ბარებმა, კლუბებმა თუ რესტორნებმა, რომელთა ქმედებაც არსობრივად არ განსხვავდება იმისაგან, რაც სოფელ ატოცში ნაც-გირჩლიბერასტებმა გააკეთეს, როცა საოკუპაციო ზოლთან შარვლები ჩაიხადეს და მოშიშვლებული ბანჯგვლიანი უკანალები ე.წ. მესაზღვრეებს მიუშვირეს.

მაგალითად, **თბილისში, დედაენის ბაღის ტერიტორიაზე მდებარე „დედაენის ბარმა“ რუსი ტურისტებისათვის ერთგვარი „სავიზო რეჟიმი“ დააწესა, რაც იმაში გამოიხატება, რომ გასტრონომიულ ობიექტში შესულმა რუსეთის მოქალაქემ სერვისის მიღებამდე ანკეტა უნდა შეავსოს** — „მე პუტინისათვის ხმა არ მიმიცია, ის დიქტატორია“; „მე ვგმობ რუსეთის აგრესიას უკრაინაში“; „ყირიმი უკრაინაა ისევე, როგორც სხვა სადავო ტერიტორიები“; „აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოა“, „საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული“ და ა.შ.

მიაქციეთ ყურადღება ერთ რამეს — **ამ „სავიზო ანკეტაში“, რომლის შევსებასაც „დედაენის ბარი“ რუს სტუმრებს ავალდებულებს, პირველ პლანზე რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპაციის საკითხია დაყენებული და საქართველოს ოკუპაციის საკითხი მხოლოდ შემდეგ მოდის,** ანუ ქართული ბარის ადმინისტრაცია რუსი ტურისტებისაგან, **პირველ რიგში, საქართველოს ოკუპაციის კი არა, უკრაინის ოკუპაციის დაგმობას ითხოვს.**

ეს უბრალო ნიუანსი არ გეგონოთ!

**ამ თანმიმდევრობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს თანმიმდევრობა მოწმობს, რომ „დედაენის ბარის“ ადმინისტრაციას რუსეთის ოკუპანტობა სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, ხოლო „ანტისაოკუპაციო კამპანია“, რომელსაც აწარმოებს, სინამდვილეში, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ წამოწყებული პროვოკაციული კამპანიის შემადგენელი ნაწილია.**

უფრო უკეთესად რომ ვთქვათ, ეს არის **ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩაფიქრებული დივერსიის ნაწილი,** რაც საქართველოს ომში ჩათრევას ისახავს მიზნად!

კიდევ ერთხელ: ვისთვისაც რუსეთის ოკუპანტობა და აგრესორობა გულწრფელად მიუღებელია, იმას რუსი ტურისტებისათვის განკუთვნილი „სავიზო ანკეტის“ შედგენისას ჯერ საქართველოს ოკუპაცია გაახსენდებოდა და მხოლოდ შემდეგ — უკრაინის! **ჯერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციის დაგმობას მოითხოვდა და მხოლოდ შემდეგ — ყირიმისას!**

**აი, სად გაიყიდეთ „დედაენის ბარის“ მეპატრონეებო!**

**აი, სად გამოჩნდა, რომ საქართველოს პატრიოტები კი არა ხართ, არამედ შეგნებული პროვოკატორები ბრძანდებით ან კიდევ იაფფასიან პოპულიზმს აყოლილი იდიოტები!**

ორივე შემთხვევაში ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგო კამპანიაში ხართ ჩართული და იმ შავბნელი ძალების მიზანს ემსახურებით, რომლებსაც საქართველოში არსებული მშვიდობა და სტაბილურობა მოსვენებას უკარგავს!

ეს ეხება არამხოლოდ თბილისში მდებარე **„დედაენის ბარს“,** არამედ ფასანაურში მდებარე რესტორან **„გუდასაც“,** სადაც რუსი ტურისტებისათვის ანალოგიური „სავიზო რეჟიმი“ აქვთ დაწესებული და სუფრას ისე არ უშლიან, თუ პუტინი და უკრაინის ოკუპაცია არ დაგმეს!

კი მაგრამ, **ქართული ბარების, კლუბებისა თუ რესტორ-**

---

Имя*

Фамилия*

Я гражданин России, посещающий Грузию, уважающий принимающую страну и ее народ. Я Согласен со следующим:

☐ Я не голосовал за Путина, он Диктатор

☐ Я осуждаю российскую агрессию в Украине

☐ Крым - Это Украина, как и другие спорные территории

☐ Абхазия и Цхинвальский регионы являются Грузией

☐ 20% территории Грузии оккупировано Россией

☐ Каждый 12-й грузин стал беженцем из-за российского вторжения

☐ Мне нравится фраза “Русский военный корабль, иди на х*й”

☐ Слава Украине

Я понимаю, что Dedaena Bar - Дружелюбное и терпимое место, и визовая политика была введена из-за деликатной политической ситуации и некоторых “плохих” русских, которые плохо себя вели в баре Dedaena

Я ознакоми

Я понимаю, что Dedaena Bar - Дружелюбное и терпимое место, и визовая политика была введена из-за деликатной политической ситуации и некоторых “плохих” русских, которые плохо себя вели в баре Dedaena

Я ознакомился с общим кодексом поведения:

☐ Пожалуйста, поймите, после пересечения грузинской границы, вы находитесь в чужой стране, действуйте соответствующим образом

☐ Пожалуйста, используйте грузинский или английский языки для общения с персоналом

☐ Не думайте, что люди говорят по-русски, сначала спросите

☐ Мы действительно ценим усилия, мы будем действительно счастливы, если вы выучите волшебные слова на грузинском, такие как "Гамарджоба", "Мадлоба" И "Ори Люди Ту Шейдзлеба"

☐ Не предлагайте нам платить в рублях

☐ Оставьте это поле пустым, чтобы получить визу

☐ Не вступайте в политические дискуссии будучи пьяным

Предоставьте любой идентификатор для входа в Dedaena Bar. Чтобы получить визу, пожалуйста, введите свой адрес электронной почты:

**სპეციალური „სავიზო ანკეტა“, რომლის შევსებასაც თბილისში მდებარე „დედაენის ბარში“ რუსი ტურისტებისაგან ითხოვენ**

---

## ცალკეული ქართული ბარ-რესტორნების მიერ რუსი ტურისტების წინააღმდეგ აგორებული კამპანია იმ ერთიანი გეგმის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ომში ჩათრევას!

---

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



საქართველოს ხელისუფლება **გამოვდივართ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან და ვმოქმედებთ ისე, როგორც ჩვენს ხალხს და, პირველ რიგში, ჩვენს ქვეყანას სჭირდება.** შესაბამისად, საქართველო ომში არ ჩაერთვება!

„ახალი თაობა“

**თენგიზ ფხალაძე**
*საგარეო პოლიტიკის ექსპერტი*



**რუსეთის მოქალაქეები არამხოლოდ შემოდიან, არამედ მათ აქ მთელი წლის განმავლობაში დარჩენის უფლება აქვთ.** მათი რაოდენობა იზრდება და ვხედავთ, რომ არამხოლოდ ჩამოდიან, არამედ ფუძნდებიან, ეს კი **საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს,** რადგან მოსახლეობის სტრუქტურა შეიცვლება და შეიცვლება ოკუპანტი ქვეყნის სასარგებლოდ.

„რეზონანსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



**ომში ჩართვას პირდაპირ არავინ მოგვთხოვდა,** მაგრამ იყო ისეთი პირობების წაყენება, რაც **თავისთავად გულისხმობდა ჩვენს ომში ჩართვას.**

„კვირის პალიტრა“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



**1801, 1921, 1992, 2008** — ეს არის თარიღები, რომლებიც ყველა ქართველს სამუდამოდ ახსოვს — **ისინი რუსეთის შეიარაღებული აგრესიისა და ოკუპაციის უმოწყალო პოლიტიკას ასახავს.**

„ინტერპრესნიუსი“

# „დედაენის ბარისა“ და რესტორან „გუდას“ მფლობელთა მსგავსი პროვოკატორები საქართველოს სხეულზე ამოსული ხორცმეტები და მუწუკები არიან!

ნების მფლობელ-მენეჯერებო, ახლა რომ უკრაინაში რუსეთის აგრესია ვითომ გაწუხებთ და გაღელვებთ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რატომ არ იხევდით ტანზე შარვლებსა და კაბებს? რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაციის შემდეგ რატომ არ გიშლიდათ ნერვებს ჩვენს ქვეყანაში რუსი ტურისტების სიმრავლე? მაშინ რატომ არ ითხოვდით თქვენს დაწესებულებებში შესული რუსი ტურისტებისაგან პუტინისა და აფხაზეთ-სამაჩაბლოს ოკუპაციის დაგმობას? მაშინ რატომ არ აწესებდით თქვენს ობიექტებში ლოკალურ „სავიზო რეჟიმს“ რუსეთის მოქალაქეებისათვის, რომლებსაც აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გაუუქმა?

იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, სინამდვილეში, ფეხებზე გეკიდათ!

იმიტომ, რომ მაშინ არავინ გიბიძგებდათ, ჩაბმულიყავით საქართველოს ომში ჩათრევის კამპანიაში, რადგან საქართველო ომში უკვე ჩათრეულიც იყო და დამარცხებულიც!

## იცით, როგორ მოიქცეოდა დღეს საქართველოს ნამდვილი პატრიოტი, ვისაც რუსეთის მიერ ქართული მიწების ოკუპაცია მართლა აწუხებს? რუსი ტურისტების შევიწროებასა და დამცირებას კი არ დაიწყებდა, არამედ ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ აქ ჩამოსული რუსი ტურისტები საქართველოს არაოფიციალურ ელჩებად გადაექცია, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ ქართული სტუმარ-მასპინძლობის, ქართული კულტურის, ქართული გასტრონომიის, საერთოდ, ყველაფერი ქართულის პროპაგანდას შეუდგებოდნენ და რუსეთში შექმნიდნენ

## საზოგადოებრივ აზრს, რომ საქართველოსთან მიმართებაში კრემლის აგრესიული და უსამართლო პოლიტიკა დაუყოვნებლივ შესაცვლელია!

კი, საქართველოს ნამდვილი პატრიოტი, საქართველოს ნამდვილი გულშემატკივარი, რუსული ოკუპაციის ნამდვილი მოწინააღმდეგე სწორედ ასე იზამდა, ხოლო ესენი — **„დედაენის ბარისა“ და რესტორან „გუდას“ მფლობელთა მსგავსი პროვოკატორები, საქართველოს სხეულზე ამოსული ეს ხორცმეტები და მუწუკები,** ყველაფერს აკეთებენ, რომ რუსმა ტურისტმა საქართველოდან საკუთარ ქვეყანაში აგრესიისა და დამცირების მეტი ვერაფერი ჩაიტანოს, ვერ დაინახოს, რომ კრემლის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში არასწორია და, პირიქით, ქართველებზე იფიქროს — მართლა ოკუპაციის ღირსები ყოფილანო!

ცხადია, **საქართველოს სხეულზე ამოსული ხორცმეტები და მუწუკები** არც იმაზე ფიქრობენ, თუ რა საფრთხეს უქმნის მათი პროვოკაციული ქმედებები რუსეთში მცხოვრებ და მომუშავე ლამის ორ მილიონამდე ქართველს!

**საქართველოში რუსი ტურისტების ბულინგის საბაბით პუტინის რეჟიმმა რუსეთიდან ქართველების მასობრივი დეპორტაცია რომ დაიწყოს, ამაზე ვინ აგებს პასუხს — „დედაენის ბარისა“ და რესტორან „გუდას“ ადმინისტრაცია?**

რუსეთიდან გამოძევებული, უსამსახუროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი მილიონზე მეტი ქართველი იძულებული რომ გახადონ, სამშობლოში დაბრუნდეს, მერე ვინ შეინახავს და ვინ უპატრონებს მათ — **„დედაენის ბარი“ და რესტორანი „გუდა“?**

ვინ იქნება პასუხისმგებელი იმ ეკონომიკურ კოლაფსზე, რომელიც რუსეთიდან მილიონზე მეტი ქართველის გამოყრის შემთხვევაში საქართველოს დაატყდება თავს — **რესტორანი „გუდა“ თუ „დედაენის ბარი“,**



„დედაენის ბარის“ დამფუძნებელი დათო ლაფაური




„დედაენის ბარი“








რესტორან „გუდას“ მფლობელი ანი ქავთარაძე

## მოსალოდნელია მილიონზე მეტი ქართველის გამოყრა რუსეთიდან!

რომელიც საკუთარ საიტსა და ფეისბუქის გვერდზე **ლგბტ დროშას** აფრიალებს?

**არადა, საქართველოს შინაური მტრებისა და იდეოლოგიური დივერსანტების მიერ რუსი ტურისტების წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია ხელისუფლებამ კანონიერი გზებით თუ არ აღკვეთა, რუსეთიდან ქართველების მასობრივი დეპორტაციის საფრთხე სულ უფრო რეალური გახდება!**

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ შეიძლება, რუსეთში მცხოვრებ ქართველებს იქაურ ბარებსა და რესტორნებში საჭმელი არ აჭამონ მანამ, სანამ „სავიზო ანკეტას“ არ შეავსებენ და არ დაეთანხმებიან, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, პუტინი კი — დემოკრატიის მამა!

**ისე, საინტერესოა, „დედაენის ბარისა“ და რესტორან „გუდას“ მსგავსი ძალიან პატრიოტული დაწესებულებები რუსების გარდა სხვა ეროვნების ტურისტებსაც ხომ არ შეუდგენენ „სავიზო ანკეტებს“? მაგალითად, თურქ ტურისტებს მოემსახურონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იტყვიან, რომ ტაო-კლარჯეთი საქართველოა! აზერბაიჯანელ ტურისტებს მოემსახურონ მხოლოდ მაშინ, როცა განაცხადებენ, რომ დავითგარეჯი საქართველოა და ასე შემდეგ!**

თუ პატრიოტიზმია, ბოლომდე პატრიოტიზმი იყოს, აბა, სანახევრო პატრიოტიზმი ვის გაუგია?!

**რაღა ბევრი გავაგრძელოთ, საქმე ასეა: რადგან შინაურმა და გარეულმა მტრებმა საქართველო ვერ აიძულეს, რუსეთისათვის ომი გამოეცხადებინა, ახლა ცდილობენ, რუსეთს მისცენ საბაბი, რომ საკუთარი მოქალაქეების დაცვის სოუსით დაესხას თავს საქართველოს!**

სწორედ ამას და სხვას არაფერს ემსახურება საქართველოში მყოფი რუსი ტურისტების წინააღმდეგ კარგად ორგანიზებული **სიძულვილის კამპანია,** რომელშიც უკვე მხოლოდ ნაცოპოზიცია და მისი პროპაგანდისტული საშუალებები კი არა, კვებისა და გართობის ობიექტებიც ჩართეს!

**ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ აგორებული ამ დივერსიული კამპანიის ახალ ტალღასაც ხელისუფლებამ ძალიან ფრთხილად და გონივრულად, მაგრამ მკაცრად და პრინციპულად უნდა უპასუხოს!**

**ქართული სახელმწიფოს სხეულზე ამოსულ ხორცმეტებსა და მუწუკებს** არ უნდა მიეცეთ საშუალება, თავიანთი ვერაგული ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანონ და 2008 წლის აგვისტოს ომიდან 14 წლის შემდეგ საქართველო კვლავ მუხლუხოებში შეუგდონ რუსულ ტანკებს!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ანდრო გოცირიძე**
*უსაფრთხოების სპეციალისტი*



რუსეთი მკაფიოდ აცხადებს, რომ მას **საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდა** და სამხრეთ კავკასიას, საქართველოს ჩათვლით, არათუ დაინტერესების ქვეყნად, არამედ საკუთარ ტერიტორიად მოიაზრებს. სულ ახლახან რუსეთის თავდაცვის მინისტრმა **საბჭოთა კავშირის აღდგენის სურვილი** სამხედროებთან შეხვედრაზე გააჟღერა. ბუნებრივია, ეს მისწრაფება საქართველოსთვის საფრთხის შემცველია, რადგან **პირდაპირ ემუქრება მის სუვერენიტეტს.**

„ინტერპრესნიუსი“

**ურსულა ფონ დერ ლაიენი**
*ევროკომისიის პრეზიდენტი*



რუსეთმა **შეამცირა ან შეუწყვიტა გაზის მიწოდება** ევროკავშირის 12 ქვეყანას. ჩვენ უნდა მოვემზადოთ შემდგომი შეფერხებისთვის ან უფრო მეტი, **რუსული გაზის მიწოდების სრული შეჩერებისთვისაც კი.**

„რეზონანსი“

**კელი დეგნანი**
*აშშ-ის ელჩი საქართველოში*



როდესაც **რევანშისტული რუსეთი** თესავს ქაოსს და ნგრევას, საქართველომ და მისმა პარტნიორებმა ერთად იმაზე მეტად უნდა იმუშაონ, ვიდრე ოდესმე, რათა უზრუნველყონ მშვიდობა, უსაფრთხოება და **დაუპირისპირდნენ რუსეთის აგრესიას.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



ივანიშვილი მხოლოდ „ქართული ოცნება“ არ არის, ის **გახლავთ ერთადერთი ეროვნული მასშტაბის ლიდერი.**

„საერთო გაზეთი“

**ო, როგორ სწრაფად მიქრიან წლები, ვითარცა ნაბდით დაჭედილი ბედაურები! 15 წელი, მთელი 15 წელი მილეულა იმ ავბედითი გამთენიიდან, როცა სააკაშვილის რეჟიმმა „ასავალ-დასავალს“ და „ასავალ-დასავალის“ სახით მთელ თავისუფალ პრესას სადამსჯელო სპეცოპერაცია მოუწყო.**

# დააბროშნეთ

ეს მოხდა თბილისში, როცა თენდებოდა **2007 წლის 10 აგვისტო.** რეჟიმის უნიფორმიანი და უუნიფორმო იანიჩრები მოადგნენ **გამომცემლობა „სამშობლოს“** შენობას **მერაბ კოსტავას ქუჩის 14 ნომერში.** შემოცვივდნენ და ხუთივე სართული დაიკავეს, დაიწყეს რედაქციათა კარების მტვრევა წიხლებითა და სპეციალური საშუალებების გამოყენებით, შეაღწიეს ყველგან და დაარბიეს ყველაფერი, მილეწ-მოლეწეს და იატაკებზე მიმოფანტეს სარედაქციო ინვენტარი და საარქივო მასალები. არ გადაურჩათ არაფერი, რაც ხელში მოხვდათ და რაც ფეხში მოხვდათ. **ფანჯრიდან გადაყრით ემუქრებოდნენ ჩვენი რედაქციის თანამშრომელ ქალბატონებს, ხოლო წიგნები მართლა გადაყარეს ფანჯრებიდან.** ეს იყო ხალხი, რომელსაც ძლიერ არ უყვარდა წიგნები და ადამიანები, ხოლო მიხეილ სააკაშვილი უყვარდა ძლიერ, ძლიერ.

ისეთი ცოცხალია ეს მოგონება, ისეთი მძაფრია ეს ემოცია, ისეთი თვალშესახებია იმ საშინელი ნადგურცემის თითოეული კადრი, რომ, **თითქოს 15 დღის წინათ იყო, არადა, იყო 15 წლის წინათ!**

**„ასავალ-დასავალის“ დევნილობის 15 წელი!**

**„ასავალ-დასავალის“ მარტვილობის 15 წელი!**

და მაინც, **ამ 15 წელიწადში არ ყოფილა არცერთი წუთი ჩვენი დაცემის, არცერთი წუთი ჩვენ მიერ ფარ-ხმლის დაყრის, არცერთი წუთი მტარვალ რეჟიმთან უკომპრომისო ბრძოლის გარეშე!**

მიზანსაც მივაღწიეთ — **სააკაშვილის რეჟიმის მიერ დარბეულმა და გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან გამოძევებულმა „ასავალ-დასავალმა“ საკუთარი წვლილი და, თანაც, საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა სააკაშვილის რეჟიმისაგან სამშობლოს გათავისუფლებაში.** აკი, თავად ნაცბელადმა, როცა პრეზიდენტობის ვადა გაუვიდა და საქართველოდან მიიძურწებოდა, ტელეკამერების წინ განაცხადა — **„ჩვენ დავმარცხდით იმიტომ, რომ ხალხმა დაუჯერა „ასავალ-დასავალის“ პროპაგანდას!“**

**სააკაშვილს დღემდე არ ულიარებია** მის მიერ ჩადენილი არცერთი დანაშაული!

**სააკაშვილს დღემდე არ ულიარებია** მის მიერ დაშვებული არცერთი მძიმე შეცდომა!

**სააკაშვილს დღემდე არ ულიარებია** არცერთი ობიექტური გარემოება და მიზეზი, რომელთა გამოც ქართველმა ხალხმა ხელისუფლებიდან გაისტუმრა!

**ერთადერთი, რაც სააკაშვილმა საჯაროდ აღიარა,** ეს არის „ასავალ-დასავალის“ როლი მისი რეჟიმის დამარცხებაში!

ცხადია, რასაც სააკაშვილმა **„ასავალ-დასავალის“ პროპაგანდა** უწოდა, სინამდვილეში, **„ასავალ-დასავალის“ სიმართლე** იყო, შიშველი, შეულამაზებელი და ლიბერალური ცენზურის, ანუ პოლიტკორექტულობის საზურველში გაუხვეველი სიმართლე, რომელიც მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების ნაცბანდას დღემდე ერთ-ერთ მტკიცე ბარიერად ეღობება ხელისუფლებაში დასაბრუნებელ გზაზე.

**ჩვენ პატივს ვცემთ ათეულობით სხვა რედაქციას, რომელიც გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში „ასავალ-დასავალთან“ ერთად იყო განთავსებული და იქიდან ჩვენთან ერთად გამოაძევეს, მაგრამ, ვფიქრობთ, არავისთვის არის სადავო, რომ სააკაშვილის მიერ 2007 წლის 10 აგვისტოს ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციის მთავარი სამიზნე „ასავალ-დასავალი“ გახლდათ, როგორც რეჟიმის მთავარი და ყველაზე მძლავრი მამხილებელი ქართულ პრესაში, როგორც ყველაზე პოპულარული და ხალხის საყვარელი გაზეთი და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ გაზეთი.**

თავის დროზე სააკაშვილის ახლო გარემოცვაში გაშინაურებული პერსონისაგან უტყუარი ინფორმაცია გვაქვს, რომ **ჯერ კიდევ გამომცემლობა „სამშობლოს“ დარბევამდე ნაცბელადი ისტერიულად ითხოვდა „ასავალ-დასავალის“ დახურვას,** რაც მას **გიგა ბოკერიამ** გადააფიქრებინა — **ეს ჩვენთვის არაპრაგმატული და პოლიტიკურად წამგებიანი ნაბიჯი იქნება, ყველაზე კრიტიკული და გამოკვეთილად ოპოზიციური გაზეთის დახურვას საერთაშორისო პარტნიორებისაგან მძიმე რეაქცია მოჰყვებაო!**

იმავე ბოკერიას მეუღლემ **თამარ ჩერგოლეიშვილმა** რამდენიმე წლის წინათ სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა — **პირადად ვარ შემსწრე, რომ სააკაშვილი ყვიროდა, მინდა, ჩემი „ასავალ-დასავალი“ მქონდესო!**

ერთი სიტყვით, სააკაშვილმა იცოდა **„ასავალ-დასავალის“** ძალა და სწორედ ამის გამო ჩაატარა **ეგზეკუცია გამომცემლობა „სამშობლოში“.** მას იმედი ჰქონდა, რომ დარბეული და ღია ცის ქვეშ გაგდებული გაზეთი ფეხზე ვეღარ წამოდგებოდა, მაგრამ ეს იმედი ნაცბელადს იმავე საღამოს დაემხო თავზე, რადგან **2007 წლის 10 აგვისტოს ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბის სიახლოვეს, ანზორ მელიას კლინიკა „გულის“ რამდენიმე ოთახში თავშეფარებულებმა „ასავალ-დასავალის“ სპეციალური ნომერი დავამზადეთ და გამოვუშვით კიდეც მეორე დღეს.**

და ეს იყო ჩვენი გამარჯვება რეჟიმზე, სისტემაზე, ბოროტებაზე!

**დიახ, სანამ 2012 წლის 1 ოქტომბერს სააკაშვილის რეჟიმი „ქართულ ოცნებასთან“ დამარცხდებოდა, მანამდე 2007 წლის 10 აგვისტოს „ასავალ-დასავალთან“ დამარცხდა!**

15 წელი გასულა მას შემდეგ, მთელი 15 წელი!

**ამ 15 წელიწადში, ფაქ-**



ასე გამოიყურებოდა სააკაშვილის სადამსჯელო რაზმების მიერ დარბეული „ასავალ-დასავალის“ რედაქცია



დროშა, რომელიც 2007 წლის 26 აპრილს ვაშინგტონში, კაპიტოლიუმის თავზე, „ასავალ-დასავალისა“ და მისი მთავარი რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის სახელზე აფრიალდა, სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ ქუჩაში გამოყრილ ჩვენს სარედაქციო ინვენტარს გადავაფარეთ



## 15 წლის წინათ, 2007 წლის 10 აგვისტოს, სააკაშვილის რეჟიმმა დაარბია „ასავალ-დასავალის“ რედაქცია, მაგრამ ვერ დაამარცხა „ასავალ-დასავალი“!

## კვირგვინოსნები

**ანზორ აბრალავა**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციამ თავის **ოლიგარქებს და ოლიგარქიულ პარტიებს** მიხედოს. **პარტია „ლელო“** დააარსეს ოლიგარქებმა. მსხვილი ბურჟუაზია მოვიდა აქტიურ პოლიტიკაში. **სპორტული გაზეთი „ლელო“** საბჭოთა დროსაც გამოდიოდა. მაშინ აგრეთვე გამოდიოდა **„სოვეტსკი სპორტი“. პარტია „ლელო“** თავისი ბურჟუაზიული ანგარიშებით **„ლელო“** კი არა, **„სოვეტსკი სპორტია“.**

„ახალი თაობა“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



უმსხვილესი კომერციული ბანკი — **ერთ დროს შვეიცარიის ეროვნულ სიამაყედ მიჩნეული „კრედიტ სუისი“ კონკრეტულმა ძალებმა ბიძინა ივანიშვილის რეკეტისა და შანტაჟის მთავარ ინსტრუმენტად აქციეს.** რეკეტისა და შანტაჟის დავალებას ბანკი ისეთი რუდუნებით ასრულებს, რომ ნაცმოძრაობასა და **მამუკა ხაზარაძესაც** კი გაუკვირდებოდათ და შეშურდებოდათ.

„პირველი არხი“

**გიორგი ცაგარეიშვილი**
*საპარლამენტო უმრავლესობის წევრი*



კატეგორიულად არ ვეთანხმები მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ქართულ ოცნებაში“ ვინმე **პრორუსული და ანტიდასავლური** განწყობების მქონე ელექტორატის გადმოქაჩვას ცდილობს — **მისამართი შეგეშალათ!**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



მერამდენედ უნდა გაყიდონ საკუთარი თავი **ნაციონალურმა მოძრაობამ, „ლელომ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“,** რომ ეს სინამდვილეში არის **ერთი კოალიცია,** რომელიც არის ნაციონალური მოძრაობის განაყოფები და ნაწილები?! მათი ინტერესია პროცესის დისკრედიტირება, კანდიდატის სტატუსის არმიღება, რომ **იქნებ როგორმე პოლიტიკური მღელვარება შემოიტანონ.**

„ინტერპრესნიუსი“

# წართმეული!


2007 წლის 10 აგვისტო: სააკაშვილის სადამსჯელო რაზმები გამომცემლობა „სამშობლოს“ არბევენ და შენობიდან წიგნებს ყრიან!



ტობრივად, საველე პირობებში მუშაობის მიუხედავად, **არ დაგვიკარგავს ენთუზიაზმი და ბრძოლის უნარი, არ დაგვიკარგავს შემართება საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვასა და ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლის შენებაში წვლილის შესატანად.**

არ დაგვიკარგავს არც მადლიერების გრძნობა.

**„სამშობლოს“ შენობიდან ნაცრეჟიმის მიერ გამოგდებულები და დარბეულები ანზორ მელიამ საკუთარ კლინიკაში შეგვიფარა, შალვა ნათელაშვილმა კი საკუთარი პარტიის ოფისში სააქტო დარბაზი დაგვითმო — რამდენ ხანსაც დაგჭირდებათ, გამოიყენეთ, დასხედით და იმუშავეთ!**

მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ **შალვა ნათელაშვილისა** და **ანზორ მელიას** პოლიტიკური შეხედულებები თუ ფასეულობები ჩვენსას აღარ ემთხვევა, შეუძლებელია, დავივიწყოთ „ასავალ-დასავალისადმი“ მათი თანადგომა ყველაზე კრიტიკულ მომენტში! **შეუძლებელია, მათი მადლიერნი არ ვიყოთ 15 წლის შემდეგაც!**

მთელი ამ ხნის განმავლობაში

**ნამდვილად არსებობდა შანსი და შესაძლებლობა, სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყრილი ათეულობით რედაქციისათვის სამართლიანობა აღდგენილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ საამისოდ თითი თითზე არ დაუკარებია.**

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ნაცრეჟიმის მიერ დაწიოკებული პრესის ბედით დაინტერესდებოდა და იზრუნებდა, რომ საქართველოს კვლავ ჰქონოდა **გამომცემლობა „სამშობლოს“ დარი პრესის დიდი სახლი** — ერთიანი სივრცე, სადაც ჟურნალ-გაზეთები, გამომცემლობები და სტამბები განთავსდებოდა, განვითარდებოდა და გაძლიერდებოდა თავისუფალი ბეჭდური სიტყვა, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი.

ნათქვამია — ცდა ბედის მონახევრეაო და **დღეს, გამომცემლობა „სამშობლოდან“ „ასავალ-დასავალისა“ და ათეულობით რედაქციის გამოყრის 15 წლისთავზე, გვინდა, მივმართოთ საქართველოს ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა კი, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს** — აღუდგინეთ სამართლიანობა სააკაშვილის რეჟიმის მიერ დარბეულ ქართულ პრესას და გამოძებნეთ სახელმწიფო რესურსი ახალი პრესის სახლის ასაშენებლად!

ეს იქნება თქვენი უდიდესი ღვაწლი ქართული დემოკრატიისა და ქართული სახელმწიფოს წინაშე!

**ეს იქნება წინაპირობა და საწინდარი, რომ ქართული მედიასივრცე კოლექტიური ნოდარმელაძის ოკუპაციისაგან გათავისუფლდეს!**

ეს იქნება თავისუფალი სიტყვის კიდევ ერთი გამარჯვება **სააკაშვილის ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმის ნარჩენებზე,** რომლებმაც გამომცემლობა „სამშობლო“ წლების წინათ გაყიდეს, ახლა კი სამშობლოს ყიდიან ყოველდღე და ყოველ ფეხის ნაბიჯზე!

## გვინდა, მივმართოთ საქართველოს ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა კი, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს —

## აღუდგინეთ სამართლიანობა სააკაშვილის რეჟიმის მიერ დარბეულ ქართულ პრესას და გამოძებნეთ სახელმწიფო რესურსი

# ახალი პრესის სახლის ასაშენებლად!


დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

ასავალ დასავალი

სპეციალური გამოშვება

2007 წლის 11-19 აგვისტო

N 33 (675)

ფასი 50 თეთრი

ქართული მედია პირში მიშაგამოვლებული დატოვეს!

2007 წლის 10 აგვისტო. დილის ხუთი საათი.

ღია წერილი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ ჯორჯ ბუშს!

ღია წერილი

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ნიკოლა სარკოზის!

«ასავალ-დასავალი» მაინც გამოვიდა და მაინც გამოვა!

2007 წლის 10 აგვისტო. დღის პირველი საათი.

«ასავალ-დასავალის» ახალი მისამართია:

«თბილისი, საველე ფოსტა, ლაშა ნადარეიშვილს!»

## ბოლოთქმა

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ იმ სიმბოლიზმის შესახებ, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობისა და „ასავალ-დასავალის“ რედაქციის დარბევას ახლავს.

საქმე ის არის, რომ **სააკაშვილის პიროვნულ და პოლიტიკურ ბიოგრაფიაში, რომელიც მრავალ სამარცხვინო დღეს აერთიანებს, 10 აგვისტო ორმაგად სამარცხვინო დღეა,** რადგან **2007 წლის 10 აგვისტოს** სააკაშვილმა გამომცემლობა „სამშობლოს“ ოკუპაცია მოახდინა, ხოლო **2008 წლის 10 აგვისტოს** სამშობლოს ოკუპანტების წინაშე ჩაისვარა, როცა გორში გაგორდა და ცხვირით მიწა მოხნა.

და კიდევ: **2007 წლის 11 აგვისტოს,** ჩვენი დარბევიდან მეორე დღესვე, „ასავალ-დასავალის“ 33-ე ნომერი გამოვუშვით, **დღეს კი, 15 წლის შემდეგ, თქვენ წინაშე კვლავ „ასავალ-დასავალის“ 33-ე ნომერია.**

### დღეს, 15 წლის შემდეგ,

ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია დავიძახოთ **„ჰოპლა“,** რადგან არამარტო **ვცოცხლობთ,** არამედ **ვიბრძვით** კიდეც!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ნაციონალური მოძრაობის **დაშლის შეუქცევადი პროცესი** დაწყებულია!

„ინტერპრესნიუსი“

**კოტე ჯანდიერი**
*მწერალი*



საქართველო ის იშვიათი ქვეყანაა, სადაც **უკომპრომისობა** პოლიტიკოსის — **ღირსებად, შეთანხმების მცდელობა კი ღალატად** ითვლება.

„კვირის პალიტრა“

**მეუფე სტეფანე**
*ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი*



მიმდინარეობს **ანტიქრისტიანული დიქტატურის** დამყარების პერიოდი, **კანონებით ხელ-ფეხი უნდა შეუკრან საქართველოს** და ამას ევროკავშირის კანდიდატობისთვის პირობების შესრულება ჰქვია.

„ინტერპრესნიუსი“

*ისტორიის დოქტორი, ანალიტიკოსი და პროფესორი* ***ედიშერ გვენეტაძე*** *ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და სააკაშვილის ადვოკატებს მიმართავს. მეცნიერი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის სექტაში გაწევრიანებული ყველა პირი სულით დამპალია:*



**„ვინც სააკაშვილის გარშემო ტრიალებდა და ტრიალებს, ყველა სულით დამპალია!“**

***ედიშერ გვენეტაძე:***

# რატომ ფეხი არ მომტყდა, იქ რომ მივედი და ამ უწიგნურ და უზნეო ნიკა ნარსიას თავი გავუყადრე!

— ამ ბოლო დროს სტუმრად ერთ-ერთ ტელევიზიაში ვიყავი. **ეს ტელევიზია გამორჩეულია იმით, რომ სტუდიაში სულ ჩხუბი, დედის გინება და აყალმაყალია. სწორედ ამის გამო იქ მისვლისგან თავს ვიკავებდი.** სამი თვე მეპატიჟებოდნენ და მპირდებოდნენ, რომ სააკაშვილის სექტის წარმომადგენელს სტუდიას არ გააკარებდნენ. ერთ მშვენიერ დღესაც დამირეკეს და მითხრეს, რომ გადაცემაში მოწვეული იქნებოდნენ ბატონები **კახა ძაგანია და პაატა ციგაძე,** რომლებსაც დიდ პატივს ვცემ და კიდევ ერთი „სამოქალაქო აქტივისტი“, რომელიც პოლიტიკაში საერთოდ არ ერევაო! სინამდვილეში ხელში შემრჩა სააკაშვილის სექტის წევრი, **ვინმე ნიკა ნარსია,** რომლისთვისაც თავი არ უნდა გამეყადრებინა. იგი ისეთი უწიგნური და ბრიყვია, უბრალოდ, ჩემი თავის შემრცხვა, რომ მასთან ერთად სტუდიაში ვიჯექი.

**— ნანობთ, რომ იმ სტუდიაში მიხვედით?**

— დიახ, ვნანობ! **რატომ ფეხი არ მომტყდა, იქ რომ მივედი და ამ უწიგნურ და უზნეო ნიკა ნარსიას თავი გავუყადრე!** საერთოდ, ვინც სააკაშვილის გარშემო ტრიალებდა და ტრიალებს, ყველა სულით დამპალია! აი, მაგალითად, სააკაშვილის ბაბუა 30-იან წლებში გაზეთ „მებრძოლ უღმერთოში“ წერდა და კომკავშირელ აქტივისტებს მოუწოდებდა — საჭიროა, მღვდლებსა და ეკლესიას კიდევ უფრო აგრესიულად შევუტიოთო! რაც შეეხება სააკაშვილის ყოფილ მეუღლეს,

**ჩემი თვალით მაქვს წაკითხული ფეისბუქჯგუფ „სანდრა რულოვსი – პირველი ლედის“ მიერ გავრცელებული განცხადებები, სადაც აბუჩად იგდებდნენ ქრისტიანულ სიმბოლოებს და წერდნენ, რომ საქართველოს სოფლებსა და**






**„სააკაშვილის ბაბუა 30-იან წლებში გაზეთ „მებრძოლ უღმერთოში“ წერდა და კომკავშირელ აქტივისტებს მოუწოდებდა – საჭიროა, მღვდლებსა და ეკლესიას კიდევ უფრო აგრესიულად შევუტიოთო!“**





**ქალაქებში, მთასა და ბარში აღმართული რკინის ჯვრები სხვა არაფერი იყო, თუ არა მიწაში ჩარჭობილი „ტრუბები“!**

ახლა ეს ჯგუფი გაუქმებულია... აი, ამ მორალისა და ზნეობის ხალხი გვიპირისპირდება ჩვენ და ამიტომაც კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ **სააკაშვილის სექტაში გაწევრიანებული ხალხი არის სულით დამპალი!**

**— რას იტყვით იმ კლოუნადის შესახებ, რომელიც პოლიტიკიდან სააკაშვილის შესაძლო წასვლას უკავშირდება?**

— სააკაშვილი პოლიტიკიდან არ წავა! ამ ეტაპზე სააკაშვილს ერთადერთი მიზანი აქვს — რამენაირად დაუძვრეს მართლმსაჯულებასა და ციხის კედლებს! ახლა სიტუაცია ასეთია — მართალია, ნაცმოძრაობა გარყვნილი და გათახსირებული ორგანიზაციაა, მაგრამ არც **ვანო მერაბიშვილი,** არც **ბაჩო ახალაია** და არც **მეგის ქარდავა** ციხეში ისე არაკაცურად და ლაჩრულად არ მოქცეულან, როგორც დღეს **სააკაშვილი** იქცევა! პირდაპირ ვაცხადებ: **სამივე ნაძირალა სააკაშვილთან შედარებით ვაჟკაცი ყოფილა, რადგან არცერთი მათგანისგან ვინმეს წუწუნი არ გაუგონია — ვაიმე, დედა, მიშველეთო!**

უბედურება ის არის, რომ სააკაშვილის ადვოკატები — **შალვა ხაჭაპურიძე და ვალერი გელბახიანი** ისე იქცევიან და ისეთ განცხადებებს აკეთებენ, თითქოს **სულხან მოლაშვილის** ადვოკატი მე ვიყავი და არა ბატონი ხაჭაპურიძე, რომელმაც დეტალებში იცის, თუ როგორ აწამა ნაცრეჟიმმა მოლაშვილი და ამ წა-

## კვირგვინოსნები

**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*



ერთი ის იდიოტები დამენახეთ, **სააკაშვილს მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას რომ ადარებდით!** შეხედეთ, როგორ გოშიასავით წკმუტუნებს და იხვეწება — ოღონდ გამიშვით და საქართველოსკენ აღარ გამოვიხედავო! **მერაბ კოსტავა და ცოტნე დადიანი კი არა, გიული დედიკოს ბიჭია!**

„ფეისბუქი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



რუსეთი რომ ოკუპანტია, ამას კამპანია არ სჭირდება, ეს არის ფაქტი, რომელიც სტრასბურგის სასამართლოს კონკრეტულ ვერდიქტში ჩაიწერა „ქართული ოცნების“ ადვოკატირებით **და ოფიციალურად დაერქვა რუსეთის აგრესიას ოკუპაცია, რუსეთს კი — ოკუპანტი!**

ჩვენმა ამომრჩეველმა და საზოგადოებამ **მიხეილ სააკაშვილი** ძალიან დიდი ხნის წინ გააცილა ქართული პოლიტიკიდან.

„რეზონანსი“

**ვალერი გელბახიანი**
*მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი*



უნდა ნახოთ, **სააკაშვილი** როგორ არის, ნახავთ აჩრდილს იმისას, რაც იყო. დაკარგული აქვს ის ენერგია რაც ჰქონდა, **სახელი და გვარი ის არის, მაგრამ ფიზიკურად სხვა ადამიანია.**

„პირველი არხი“

**კახა კემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



„ქართულ ოცნებას“ 2024 წლისთვის **სააკაშვილი** აუცილებლად ისევ დასჭირდება, როგორც **მტერი №1.**

„ახალი თაობა“

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



არ მჯერა, რომ **სააკაშვილს** ქართული პოლიტიკა აღარ აინტერესებს.

„კვირის პალიტრა“

## „არც ვანო მერაბიშვილი, არც ბაჩო ახალაია და არც მეგის ქარდავა ციხეში ისე არაკაცურად და ლაჩრულად არ მოქცეულან, როგორც დღეს სააკაშვილი იქცევა!“



მების უკან იდგა სწორედ სააკაშვილი, რომელსაც დღეს იცავს! **მესმის, ადვოკატმა კლიენტი უნდა დაიცვას, მაგრამ ამ დროს ზნეობა და მორალი სად არის?**

**— ვალერი გელბახიანი ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა და დღეს სააკაშვილის მზეს იფიცებს!**

— მახსოვს, **ვალერი გელბახიანს** დედა გარდაეცვალა და სააკაშვილი დედის დასაფლავებაზე არ უშვებდა! ამის შემდეგ რომ სააკაშვილს ადვოკატად დაუდგები, არაკაცი ხარ, აბა, ვინ ჯანდაბა ხარ? ამაზე მეტი უზნეობა სადმე არსებობს?!

**— დიდი ამბავია ატეხილი რუსი ტურისტებს გარშემო. ნაცსექტანტები გაიძახიან, ქვეყანაში ძალიან ბევრი რუსია შემოსულიო! სინამდვილეში რა ხდება?**

— სინამდვილეში ის ხდება, რომ, რაკი ქვეყნის გადატრიალებისა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის გეგმა ჩაუფლავდათ, რაკი საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში ვერ ჩაითრიეს, ახლა ცდილობენ, რუს ტურისტებზე მიმართონ თავიანთი აგრესია, რათა მოხდეს შეხლა-შემოხლა და ქსენოფობიის გაუგონარი ფორმის საფუძველზე როგორმე რუსეთი საქართველოში შემოაჯლიგინონ! დაბოღმილები და გამწარებული არიან იმის გამო, რომ ნელა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკა მაინც გამოჯანსაღების გზას ადგას და ლარი მყარდება. დალოცვილო, **ელენე ხოშტარიასთვის** გამოგზავნილ რუსულ ფულს სუნი არ ასდის და საქართველოში რუსი ტურისტების მიერ დახარჯული და შემოტანილი ფული სისხლიანია?

ომი და სისხლისღვრა უნდათ, ამაზე ფიქრობენ და მეტზე არაფერზე! ჯვარი გვწერია და თუ ეს მოხდა, სააკაშვილი მაშინვე გახდება კარგად და უმალ ჩაერთვება პოლიტიკურ ორომტრიალში ზუსტად იმ გეგმით, რა გეგმასაც თავისი პატრონები დაუსახავენ! მოკლედ, **სულით დამპალი ნაცების სახით ჩვენ საქმე გვაქვს მოღალატეებისა და მკვლელების სექტასთან.** მჯერა, რომ ამ პოლიტმეძავებისა და პოლიტგარყვნილების სექტას კოვზი ნაცარში ამჯერადაც ჩაუვარდება და ქართველი ხალხი, რომელიც ყველაფერს კარგად ხვდება, ამ ნაძირალებს არ გაჰყვება!

**— სააკაშვილის ვაჟი მამამისს ურჩევს, პოლიტიკას ჩამოშორდეს, ხოლო დედამისი — გიული ალასანია ხელებს ასავსავებს — მიშა პოლიტიკიდან ცოცხალი თავით არ წავაო!**

— მინდა, მივმართო ქალბატონ **გიული ალასანიას:** ქალბატონო გიული, თქვენ მდგომარეობაში მყოფი ქართველი დედა, რომელსაც შვილი ციხეში ჰყავს, ცოტა სხვანაირად უნდა გამოიყურებოდეს და ძაძებითა და ლეჩაქით იყოს მოსილი! **თქვენ კი რას ჰგავხართ, ამერიკელი პოპ-ვარსკვლავივით რომ გამოგვეცხადებით და გვმოძღვრავთ?** პროფესორი ქალი ხართ და არ გეკადრებათ არც ასეთი ჩაცმულობა და არც ასეთი ლაპარაკი! საერთოდ, რაც ნაკლებს ილაპარაკებთ პოლიტიკაზე, თქვენთვისაც უკეთესი იქნება და თქვენი შვილისთვისაც, რომლის სულით დამპალთა სექტა საქართველოში უკანასკნელ დღეებს ითვლის!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „ქალბატონო გიული, თქვენ მდგომარეობაში მყოფი ქართველი დედა, რომელსაც შვილი ციხეში ჰყავს, ცოტა სხვანაირად უნდა გამოიყურებოდეს და ძაძებითა და ლეჩაქით იყოს მოსილი!“



*საქართველოში არაჟნის კონტეინერით შემოპარული სააკაშვილის პატიმრობიდან გასაპარებლად ნაცსექტამ ყველა ღონე იხმარა, მაგრამ ამაოდ. და აი, ახლა, სააკაშვილის ადვოკატად შალვა ხაჭაპურიძის აყვანის შემდეგ, ნაცთა ფიურერის ზვიად გამსახურდიასთან შედარების ვირეშმაკობა მოიგონეს!*



## ზვიადი საქართველოსთვის თავგანწირული ეროვნული გმირია, სააკაშვილი კი — საკუთარ სტომაქსა და ძალაუფლებაზე თავშეწირული ეროვნული სირცხვილი!

# ნაცსექტანტებო, ნუ აზვიადებთ – სააკაშვილს ვერ გააზვიადებთ!

მოკლედ, თუკი ადრე რომელიღაც წიკლაური თუ წამოიკნავლებდა — **სააკაშვილი ზვიად გამსახურდიასავით თავგანწირული პრეზიდენტიაო** — ახლა ადვოკატირების მთავარი ხაზი ასე ჩამოიქნა: **სააკაშვილს ზვიად გამსახურდიასავით კლავენო!**

გასულ კვირას, როდესაც სააკაშვილის შვილმა და ადვოკატებმა ერთმანეთის მიყოლებით გაავრცელეს ინფორმაცია — **აი, სააკაშვილს აღარც ნაცმოძრაობა და აღარც ქართული პოლიტიკა აღარ აინტერესებს და იქნებ უცხოეთში სამკურნალოდ გავუშვათო** — იქვე, ერთგვარი შანტაჟის მიზნით, ისიც დაამატეს — **პირველი პრეზიდენტი ხომ მოვკალით და მესამესაც იგივე რომ დავმართოთ, დავიღუპებითო!**

**შალვა ხაჭაპურიძემ** სიტყვასიტყვით ასე თქვა: **„როგორც ზვიად გამსახურდია შემოიყვანეს საქართველოში, ასეა შემოყვანილი სააკაშვილიც! დარჩა ერთი გასროლა!“**

ეს საქართველოსა და ქართველი ერის უდიდესი შეურაცხყოფაა! დიახ, სანაცეთის მიერ სააკაშვილის გამსახურდიასთან შედარება ისტორიის, ვაჟკაცობის და, საერთოდ, ქართველი ერის, ქართული სულისა და ეროვნული იდეის უბინძურესი შეურაცხყოფაა!

ჯერ ერთი, სააკაშვილი არაჟნის კონტეინერით ციხეში ჩასაჯდომად კი არა, რევოლუციის მოსაწყობად შემოიპარა, მაგრამ სამარცხვინოდ ჩაფლავდა და ვირის აბანოში ამოყო თავი!

**რამდენიც არ უნდა იძახონ ნაცებმა, მიშამ სამშობლოსათვის გაწირა თავი, როდესაც გარდაუვალ პატიმრობაზე წამოვიდაო, მთლად კრეტინი თუ არ ხარ ადამიანი, იმას კი უნდა მიხვდე, რომ სააკაშვილი გარდაუვალი ციხისთვის და პატიმრობისთვის რომ ყოფილიყო მზად, ასე საცოდავი დედიკოს ბიჭივით არ იკნავლებდა, გამომიშვით აქედან და მეტს აღარ ვიზამო!**

და ვისაც მოკლე მეხსიერება აქვს, შევახსენებ: **ზვიად გამსახურდია ჩეჩნეთიდან საქართველოში დაბრუნებით გარდაუვალ ციხეზე კი არა, გარდაუვალ სიკვდილზე წამოვიდა! და მიუხედავად იმისა, რომ ათასჯერ მაინც შეეძლო ჩეჩნეთში დაბრუნება, მან გროზნოსთან დასაკავშირებელი რაციაც კი გამორთო და ბოლომდე იმარტვილა, სანამ არ მოკლეს მსტოვრებმა!**

წარმოიდგინეთ, გამსახურდიას ადგილზე რომ ყოფილიყო, როგორი სიხარულით დასთანხმდებოდა სააკაშვილი იმ რუს გენერალს, რომელმაც სოხუმის დაცემის შემდეგ გალის რაიონში გადასულ პირველ პრეზიდენტს პირდაპირ შესთავაზა: **აღიარე აფხაზეთის დამოუკიდებლობა და თბილისში რუსის ჯარი შეგიყვანსო!**

ზვიადი საქართველოსთვის თავგანწირული ეროვნული გმირია, სააკაშვილი კი — საკუთარ სტომაქსა და ძალაუფლებაზე თავშეწირული ეროვნული სირცხვილი, რომელმაც ოდესის გუბერნატორობისთვის საქართველოს მოქალაქეობა ნაგვის ურნაში მოისროლა.

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილმა,** მისმა ოჯახმა და ადვოკატებმა დაიწყეს **ვირეშმაკური მანევრების მორიგი სერია,** რათა როგორმე **სააკაშვილი** გაათავისუფლონ და საქართველოდან გაიყვანონ. შემოგდებული ვერსია, რომ თითქოს **სააკაშვილი** პოლიტიკიდან სამუდამოდ წასვლას აპირებს, ის მიშა აღარ არის და ა.შ. ემსახურება ერთადერთ მიზანს — როგორმე ამ ქვეყნიდან გააღწიოს. მერე იქ ფრთებს დაიბერტყავს, მოსულიერდება და იმავეს დაუბრუნდება. **ვერ გახდება სააკაშვილი სხვანაირი და არც მისცემენ ამის საშუალებას.**

„რეზონანსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



არ აქვს მნიშვნელობა, **სააკაშვილი** პოლიტიკაში არსებობს თუ პოლიტიკის მიღმა რჩება, თუკი მისი გუნდი და **„დაღმაშენებლის სტრატეგია“** კვლავ რჩება **რევოლუციის სტრატეგიად, დესტაბილიზაციის სტრატეგიად,** რომელიც მისი მეთაურობით იყო ჩამოყალიბებული. ეს თუ დარჩა პოლიტიკურ სპექტრში, **სააკაშვილმა** რაც არ უნდა განაცხადოს და რეალურად რომც წავიდეს პოლიტიკიდან, არაფერს არ ცვლის.

„ინტერპრესნიუსი“

**კეტრე მამრაძე**
*ექსპერტი*



გარდა შეწყალებისა, **სააკაშვილის გათავისუფლების სხვა გზა არ არის. თუ ეს მოხდება, ეს იქნება „ოცნებისთვის“ პოლიტიკური კრახის ტოლფასი.**

„რეზონანსი“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**სააკაშვილი** ვერ იქნება წარმოდგენილი ქართულ პოლიტიკაში, რადგან არის **სხვა ქვეყნის მოქალაქე.** აქ უნდა დავსვათ წერტილი. ასეთია კონსტიტუციური კანონის განმარტება.

„ახალი თაობა“

**ლევან ბეჟაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**მიხეილ სააკაშვილი** ყოველთვის დარჩება ქართულ პოლიტიკაში, რადგან **ის თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელია.** რა ფორმითაც არ უნდა იყოს, ყოველთვის იტყვის თავის სიტყვას.

„ინტერპრესნიუსი“



ვიტალი კალოევი
რეალურ ცხოვრებაში

# ნაცჯალათებო, გახსოვდეთ შურისმაძიებელი ვიტალი კალოევი!




ვიტალი კალოევი ავიაკატასტროფაში დაღუპული ცოლ-შვილის საფლავთან

***20 წლის წინათ, 2002 წლის 1 ივლისს, გერმანიაში, ბოდენის ტბის თავზე, ქალაქ უბერლინგენის შემოგარენში, დატრიალებული ტრაგედია ოცი წლის შემდეგაც არ კარგავს ძალას, აღელვოს ადამიანთა სულები.***

ამ ტრაგედიის მთავარი გმირი გახლავთ **ჩრდილოეთ ოსეთის მკვიდრი ვიტალი კალოევი,** რომელიც შურისმაძიებლად იქცა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ცოლ-შვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო დამნაშავეებმა არც ბოდიში მოუხადეს და არც პატიება სთხოვეს!

ისე, გაფიქრებაც კი გვზარავს, დღევანდელ საქართველოში **რამდენი პოტენციური შურისმაძიებელი „ვიტალი კალოევი“** შეიძლება, დაიარებოდეს, რომელსაც ნაცჯალათებმა ოჯახის წევრები და ახლობლები დაუხოცეს, უწამეს და გაუუპატიურეს, მერე კი გამწარებულ ჭირისუფლებს არათუ ბოდიში არ მოუხადეს, არამედ აქეთ დაუწყეს თითების ქნევა და ლექციების კითხვა დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე!

ტრაგედია, რომელმაც ვლადიკავკაზელი არქიტექტორი შურისმაძიებლად აქცია, იმით დაიწყო, რომ **2002 წლის 1 ივლისის ღამეს** გერმანიის საჰაერო სივრცეში, ბოდენის ტბის თავზე, ერთმანეთს გერმანული ავიაკომპანია **DHL**-ის სატვირთო თვითმფრინავი „ბოინგ 575“ და „ბაშკირეთის ავიახაზების“ სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ 154“ შეეჯახნენ. **ავიაკატასტროფას 71 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, რომელთა შორისაც იყვნენ ვიტალი კალოევის მეუღლე სვეტლანა გაგიევა და მათი მცირეწლოვანი შვილები — 10 წლის კონსტანტინე და 4 წლის დიანა.**

აღსანიშნავია, რომ ავიაკატასტროფაში დაღუპული 71 ადამიანიდან 52 ბავშვი იყო — „ბაშკირეთის ავიახაზების“ ჩარტერულ რეისში ქალაქ უფას საშუალო სკოლის მოსწავლეები ისხდნენ, რომლებიც სასკოლო ოლიმპიადებში მიღწეული წარმატების გამო საგზურებით დაასაჩუქრეს და ესპანეთში მიფრინავდნენ.

მონატრებულ ცოლსა და შვილებს, რომლებიც 9 თვის განმავლობაში არ ენახა, ვიტალი კალოევი ბარსელონაში ელოდებოდა, სადაც მშენებლად მუშაობდა, მაგრამ მოსიყვარულე მეუღლესა და მამას, რომელიც ცხოვრებაში ყველასა და ყველაფერზე მაღლა ოჯახს აყენებდა, მათი ცოცხლად ნახვა აღარ ეწერა. ამ ტრაგედიის შესახებ ორი მხატვრული ფილმია გადაღებული, რომელთაგანაც ერთი ჰოლივუდის წარმოებისაა, **„შედეგები“** (2018) ჰქვია და **ვიტალი კალოევის** როლს ლეგენდარული **არნოლდ შვარცენეგერი** ასრულებს, ხოლო რუსულენოვან ფილმში, სახელწოდებით — **„მიუტევებელი“** (2019), **კალოევს** ცნობილი რუსი მსახიობი და ტელეწამყვანი **დიმიტრი ნაგიევი** განასახიერებს. ორივე ფილმში არის სცენა, თუ როგორი გულის ფანცქალით ელოდება აეროპორტში საყვარელ ცოლ-შვილს ყვავილების თაიგულით ხელდამშვენებული **ვიტალი კალოევი,** ხოლო, როცა მომხდარი ავიაკატასტროფის შესახებ შეიტყობს, გულწასული მოწყვეტით დაეცემა ძირს.

სულიერად და მორალურად გამანადგურებელი უბედურების მიუხედავად, **ვიტალი კალოევმა** საკუთარ თავში იპოვა ძალა, ტრაგედიის ადგილზე ჩასულიყო და პირადად მიეღო მონაწილეობა ავიაკატასტროფის მსხვერპლთა ცხედრების სამძებრო სამუშაოებში. თავდაპირველად მას ამის საშუალებას არ აძლევდნენ, მაგრამ, როცა შეიტყვეს, რომ მგზავრებს შორის მისი ოჯახის წევრები იყვნენ, სამძებრო ოპერაციაში ჩართვის უფლება მისცეს. კალოევმა ჯერ თავისი ქალიშვილის — 4 წლის დიანას ყელსაბამი იპოვა, შემდეგ კი მის გვამსაც მიაგნო თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილიდან 3 კილომეტრში. მანვე იპოვა ვაჟის — 10 წლის კონსტანტინეს ცხედარიც.

**ავიაკატასტროფის მიზეზის დასადგენად გერმანიის პროკურატურამ და ფედერალურმა ბიურომ თითქმის ორწლიანი გამოძიება აწარმოეს, რომლითაც დადგინდა, რომ ტრაგედიის მიზეზი გახდა ავიადისპეტჩერ პიტერ ნილსენის შეცდომა და მთელი რიგი სხვა ხარვეზები, რომლებიც ფრენების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი შვეიცარიული კომპანიის „სკაიგუიდის“ საქმიანობაში იქნა აღმოჩენილი.**

კერძოდ, გამოძიებამ დაადგინა, რომ დისპეტჩერი, **34 წლის პიტერ ნილსენი** ღამის ცვლაში მარტო მუშაობდა და ერთდროულად ორი რადარის გაკონტროლება უწევდა. ზოგადად, „სკაიგუიდის“ ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ ღამის ცვლაში პერსონალის ნაკლებობა ჰქონდა და ფრენების კონტროლი ხშირად მხოლოდ ერთ დისპეტჩერზე ხდებოდა დამოკიდებული, რაც კატასტროფის








დათა ახალაია, ზურაბ ადეიშვილი, კოხტა კოდუა, ალექსანდრე მუხაძე („ქილერა“), სოსო თოფურიძე, ამირან მესხელი

**დათა ახალაიამ, ზურაბ ადეიშვილმა, კოხტა კოდუამ, „ქილერა“ მუხაძემ, სოსო თოფურიძემ, ამირან მესხელმა და საქართველოდან გაქცეულმა სხვა ნაცჯალათებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ მიერ გაუბედურებული რომელიმე შურისმაძიებელი „ვიტალი კალოევი“ შეიძლება, სტამბოლში, კიევსა თუ ათენშიც მისწვდეს ანგარიშის გასასწორებლად!**

რისკებს ზრდიდა, მაგრამ კომპანიამ დიდი ხნის განმავლობაში არაფერი იღონა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

როგორც გამოძიების შედეგად გამოირკვა, 2002 წლის 1 ივლისის საბედისწერო ღამეს „სკაიგუიდის“ სადისპეტჩერო ცენტრის მთავარი ტელეფონი გამორთული იყო, სარეზერვო ტელეფონი კი გაუმართავად მუშაობდა, რის გამოც დისპეტჩერმა ნილსენმა დროულად ვერ მიიღო გაფრთხილება გერმანიის ქალაქ კარლსრუედან, სადაც საჰაერო მოძრაობის მაკონტროლებლებმა შენიშნეს, რომ „ბოინგ 575“ და „ტუ 154“ ერთმანეთს სახიფათო მანძილზე უახლოვდებოდნენ.

**საბოლოო ჯამში, ჩამოვარდნილი თვითმფრინავების ნარჩენთა ექსპერტიზისა და ე.წ. შავი ყუთის ინფორმაციის გაშიფვრის შედეგად ცხადი გახდა, რომ დისპეტჩერმა პიტერ ნილსენმა „ტუ 154“-ის პილოტებს მისცა ბრძანება, შეემცირებინათ ფრენის სიმაღლე მაშინ, როცა პირიქით — ფრენის სიმაღლის გაზრდისაკენ უნდა მოეწოდებინა.** გარდა ამისა, დისპეტჩერმა ნილსენმა „ტუ 154“-ის პილოტებს ფრენის სიმაღლის შეცვლასთან დაკავშირებით ბრძანება მისცა შეჯახებამდე 43 წამით ადრე, არადა, მკაცრად არის განსაზღვრული, რომ ეკიპაჟმა დისპეტჩერისაგან ასეთი მითითება პოტენციურ ინციდენტამდე, მინიმუმ, 2 წუთით ადრე მაინც უნდა მიიღოს.

**2007 წლის სექტემბერში შვეიცარიის სასამართლომ კომპანია „სკაიგუიდის“ ოთხი თანამშრომელი გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის მუხლით გაასამართლა. ამასთან, კომპანიის სამ მენეჯერს, რომელმაც ღამის ცვლაში ერთი დისპეტჩერის მუშაობის სახიფათო პრაქტიკას წაუყრუა, 1-წლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯეს, ხოლო კიდევ ერთი მუშაკი, რომელიც კატასტროფის ღამეს ტექნიკური სამუშაოების შესრულებით იყო დაკავებული, 13 500 შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმეს.**

2007 წელს შვეიცარიის მართლმსაჯულების წინაშე წარდგენილ „სკაიგუიდის“ თანამშრომელთა შორის არ იყო დისპეტჩერი პიტერ ნილსენი, რომლის შეცდომასაც ავიაკატასტროფა და 71 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა.

იმ დროისათვის **დისპეტჩერი ნილსენი** უკვე სამი წლის წარმდგარი იყო უფრო უმაღლესი მართლმსაჯულების — უფლის სამსჯავროს წინაშე, სადაც იგი **ვიტალი კალოევმა** გაგზავნა!



დიმიტრი ნაგიევის მიერ განსახიერებული **ვიტალი კალოევი** ფილმში „მიუტევებელი“

## გაფიქრებაც კი გვზარავს, რამდენი პოტენციური შურისმაძიებელი „ვიტალი კალოევი“ შეიძლება, დაიარებოდეს დღევანდელ საქართველოში!

**ვიტალი კალოევის** მიერ შურისძიების ნიადაგზე მოკლული **პიტერ ნილსენის** ბედი კარგად უნდა გაისიგრძეგანონ **დათა ახალაიამ, ზურაბ ადეიშვილმა, კოხტა კოდუამ, „ქილერა“ მუხაძემ, სოსო თოფურიძემ, ამირან მესხელმა და საქართველოდან გაქცეულმა სხვა ნაცჯალათებმა!** ამ ძებნილ კრიმინალებს უნდა ერჩივნოთ, რომ თავიანთი ფეხით წარდგნენ ქართული მართლმსაჯულების წინაშე, სანამ მათ მიერ გაუბედურებული **რომელიმე შურისმაძიებელი „ვიტალი კალოევი“** სტამბოლში, კიევსა თუ ათენში მისწვდება ანგარიშის გასასწორებლად!

**ბოდენის ტბის თავზე დატრიალებული ტრაგედიიდან ერთი წლის შემდეგ, 2003 წლის ზაფხულში, ვიტალი კალოევი, ავიაკატასტროფაში დაღუპული კიდევ ერთი ბავშვის დედასთან — იულია ფედეტოვასთან ერთად, საჰაერო მოძრაობის მართვის კომპანია „სკაიგუიდის“ ოფისში მივიდა და დისპეტჩერ პიტერ ნილსენთან შეხვედრა მოითხოვა.** იგი პასუხს ითხოვდა ერთადერთ კითხვაზე — **იყო თუ არა დისპეტჩერი დამნაშავე მომხდარ ტრაგედიაში?**

ცოლ-შვილის დამკარგავ გაუბედურებულ კაცს „სკაიგუიდის“ თანამშრომლები გულცივად შეხვდნენ და არც ნილსენთან შეხვედრის საშუალება მისცეს. **არადა, ვიტალი კალოევს მათგან ოდნავი თანაგრძნობა და ცალყბა ბოდიში მაინც რომ ღირსებოდა, სულ პატარა სინანული მაინც რომ შეემჩნია მათთვის, ვინ იცის, შურისძიებაზე აღარც ეფიქრა და ადამიანის სისხლში არ გაესვარა ხელი.**

თუმცა, თანაგრძნობასა და სინანულს ვინ ჩივის, **შვეიცარიულმა კომპანიამ ვიტალი კალოევს დაცინვა და სულში ჩაფურთხებაც კი გაუბედა, როცა ცოლ-შვილის სიცოცხლის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია შესთავაზა.** ორივე ფილმში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, არის სცენა, თუ როგორ სთავაზობენ თანხას კომპანიის წარმომადგენლები გაუბედურებულ მამას, ის კი ჯიბიდან ცოლისა და შვილების ფოტოს იღებს და გულქვა ფუნქციონერებს უყვირის — **შეხედეთ ამ სურათს, ამათ სიცოცხლეს ამინაზღაურებთ?!**

როგორც **ვიტალი კალოევს** ვერავინ და ვერაფერი აუნაზღაურებდა ცოლ-შვილის სიცოცხლეს, **სწორედ ასე ვერ აუნაზღაურდებათ თავიანთი ძვირფასი ადამიანების სიცოცხლე სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, გიორგი გამცემლიძის, ზურა ვაზაგაშვილის, გურამ შარაძის, გია კრიალაშვილის, როინ შავაძის, სერგო თეთრაძის, პაატა ქარდავას, დათო ცინდელიანის, ნიკა კვინტრაძის, სულიკო ასათიანისა და ნაცრეჟიმის სიმხეცეს შეწირული სხვა უდანაშაულო ადამიანების ოჯახებს!**

**მათთვის ერთადერთი შვება მხოლოდ ის იქნება, რომ დამნაშავე ნაცჯალათებმა კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით აგონ პასუხი, ხოლო მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების პარტია ნაციონალური მოძრაობა ძირფესვიანად ამოიშანთოს ქართული პოლიტიკიდან.**

**ვიტალი კალოევმა** დისპეტჩერი **პიტერ ნილსენი** 2004 წლის 24 თებერვალს შვეიცარიის პატარა ქალაქ კლოტენში მოკლა დეკორატიული შვეიცარიული დანით, რომელიც 54 შვეიცარიული ფრანკი ღირდა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ მას მიმალვა არ უცდია და სამართალდამცავებმა იმავე ქალაქში, სასტუმროს ნომერში დააკავეს. გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში კალოევი ამბობს: **„კარზე დავაკაკუნე, ვუთხარი ჩემი ვინაობა და მოვთხოვე, სახლში შევეშვი, რაზეც უარი მითხრა და აგრესიული რეაქცია ჰქონდა. მე გავჩუმდი, ამოვიღე ჯიბიდან ფოტო, სადაც ჩემი გარდაცვლილი ბავშვები იყვნენ და ვუთხარი, სურათი ენახა“.**

კალოევსა და ნილსენს შორის კამათი ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ჯაჯგურის დროს დისპეტჩერმა კალოევს ცოლ-შვილის ფოტო ხელიდან გააგდებინა, რის შემდეგაც გამწარებულმა კაცმა დანა ამოიღო და ნილსენს 12 ჭრილობა მიაყენა.

**ვიტალი კალოევმა ჩვენებაში აღნიშნა, რომ არ ახსოვდა, როგორ მოკლა ნილსენი, გამოძიების მიერ შეკრებილ მტკიცებულებათა გაცნობის შემდეგ კი განაცხადა — ვფიქრობ, მე მოვკალი,** თუმცა, **ვერ ვიხსენებ, ეს როგორ მოხდა!** იგი დაკავების შემდეგ ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს, სადაც 1 წელი დაყო. ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ **კალოევი დანაშაულის ჩადენის მომენტში ნაწილობრივ შერაცხადი იყო და საკუთარი ქმედების გაცნობიერება შეეძლო,** რის შემდეგაც იგი შვეიცარიის სასამართლოს წინაშე წარადგინეს, პიტერ ნილსენის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს და 2005 წლის 26 ოქტომბერს **8 წლით თავისუფლების აღკვეთა** მიუსაჯეს.

რა ლაპარაკი უნდა, რომ **ვიტალი კალოევი** — ოჯახის მოსიყვარულე კაცი, პატიოსანი არქიტექტორი და სრულიად უბოროტო მოქალაქე — შურისმაძიებლად და მკვლელად აქცია არა მავანთა გაუფრთხილებლობისა და უყურადღებობის გამო დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომელმაც მას ცო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე




## ვიტალი კალოევი შურისმაძიებლად იქცა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ცოლ-შვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო დამნაშავეებმა არც ბოდიში მოუხადეს და არც პატიება სთხოვეს!







კადრები მხატვრული ფილმიდან „მიუტევებელი“. ვიტალი კალოევის როლში დიმიტრი ნაგიევი

# ნაცჯალათებო, გახსოვდეთ შურისმაძიებელი ვიტალი კალოევი!



კადრი რეალური ცხოვრებიდან – ვიტალი კალოევი პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების მომენტში

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლისა და შვილების სიცოცხლე წაართვა, არამედ იმ ანტიადამიანურმა დამოკიდებულებამ, უსულგულობამ და უსინდისობამ, რომელიც მის მიმართ შვეიცარიული კომპანიის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა გამოიჩინეს!

**დისპეტჩერ ნილსენს, რომელსაც ცოლ-შვილის დაღუპვით შეძრული კაცი სახლში მიადგა და ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, მისთვის კამათი და ჯაჯგური რომ არ დაეწყო, არამედ თავი დაეხარა და გულწრფელი პატიება ეთხოვა, გახდებოდა კი მკვლელი ვიტალი კალოევი?**

ეს კითხვა 20 წლის შემდეგაც აქტუალურია და ამ კითხვას პასუხიც აქვს!

ამ კითხვაზე პასუხი თავად **ვიტალი კალოევის** ცხოვრებაა, რომელიც პატიოსნებითა და ღირსებით იყო მოჩუქურთმებული მანამ, სანამ მის თავს დიდი ტრაგედია დატრიალდებოდა და არც ტრაგედიის შემდეგ გამხდარა სხვანაირი!

**ვიტალი კალოევი ბუნებით კრიმინალი რომ არ არის, ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ ციხეში ჯდომისას გამოჩენილი სანიმუშო წესიერების გამო პატიმრობიდან ვადაზე ადრე — 2007 წლის 8 ნოემბერს გაათავისუფლეს, 13 ნოემბერს კი მშობლიურ მხარეში — ჩრდილოეთ ოსეთში დაბრუნდა, სადაც აეროპორტში უამრავი თანამემამულე დახვდა,** როგორც ტრაგიკულ გმირს, რომელმაც ოჯახის ღირსების დასაცავად ერთდროულად გამოავლინა შურისმაძიებლის სისუსტეცა და სიძლიერეც, ერთდროულად გამოსცადა შურისძიების სიმწარეცა და სიტკბოც!

**ნაცრეჟიმის ჯალათებსა და მათ პოლიტიკურ მფარველებს, რომლებიც დღემდე დაუსჯელად დაპარპაშებენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, მუდამ უნდა ახსოვდეთ ვიტალი კალოევი — კაცი, რომელიც მის ტრაგედიაში დამნაშავეთა გულქვაობამ და თავგასულობამ შურისმაძიებლად აქცია!**

ნაცრეჟიმის ჯალათებსა და მათ პოლიტიკურ მფარველებს, რომლებსაც ჩადენილ დანაშაულთა გამო სინანულის ნიშანწყალი არ ეტყობათ, კარგად უნდა ახსოვდეთ დისპეტჩერი **პიტერ ნილსენიც,** რომელიც საკუთარ დანაშაულში გაჯიუტებამ და მოუნანიებლობამ შურისძიების მსხვერპლად აქცია!



ვიტალი კალოევი ტრაგედიიდან 16 წლის შემდეგ 62 წლის ასაკში შეძენილ ტყუპ ქალ-ვაჟთან ერთად



კადრი ფილმიდან „მიუტევებელი" – ვიტალი კალოევის როლში დიმიტრი ნაგიევი

## ბოლოთქმა

მეუღლისა და ქალ-ვაჟის ტრაგიკულად დამკარგავმა **ვიტალი კალოევმა,** რომელიც დღეისათვის ქალაქ ვლადიკავკაზის წარმომადგენლობითი ასამბლეის არჩეული წევრია, 2014 წელს, 58 წლის ასაკში, მეორედ იქორწინა, 2018 წელს კი, 62 წლის ასაკში, ორი შვილის დამკარგავ მამას ღმერთმა **ტყუპი ქალ-ვაჟი** აჩუქა.

ასე გასცა პასუხი განგებამ კითხვას, რომელსაც მავანნი ოცი წლის შემდეგ ისევ სვამენ: **ვინ არის ვიტალი კალოევი — გმირი თუ მკვლელი?**

## ბოლოთქმის ბოლოთქმა

ვიტალი კალოევს არ მოეწონა ფილმი, რომელიც მისი ტრაგედიის შესახებ ჰოლივუდში გადაიღეს და რომელშიც მისი ეკრანული პერსონაჟის — **რომან მელნიკის** როლს **არნოლდ შვარცენეგერი** ასრულებს. აი, რა განაცხადა მან: **„მომეჩვენა, რომ მას ამ ყველაფრის განცდას ვიღაც აიძულებდა. თანაც, მთელი ფილმის განმავლობაში, თითქოს ითხოვს, რომ შეიცოდონ, არადა, ეს განცდა მე არასოდეს მქონია, არასოდეს მდომებია, რომ შემიცოდონ".** დიახ, **ვიტალი კალოევი საცოდავი კაცი არ არის! ვიტალი კალოევი არის კაცი, რომელმაც შეძლო, აეწია შურისძიების ტვირთი მისი აუტანელი სიმძიმითა და აუტანელი სიმსუბუქით!**

*ჯაბა ხუბუა*






კადრები მხატვრული ფილმიდან „შედეგები". ვიტალი კალოევის როლში არნოლდ შვარცენეგერი

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



არა მგონია, რომ დღეს **მიხეილ სააკაშვილის** რეპუტაცია, მისი ავტორიტეტი და წონა ქართულ პოლიტიკაში იმ მასშტაბის იყოს, რომ პოლიტიკიდან მისმა გასვლამ რაიმე ძვრა მოახდინოს და პოლიტიკაზე არსებითი გავლენა იქონიოს. ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. **ვინც საქართველოს გულშემატკივარია, ყველამ გაავლოს წითელი ხაზები და თქვას, რომ საქართველო ომში არ უნდა ჩაერთოს.**

„რეზონანსი"

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**სააკაშვილმა** პოლიტიკიდან გასვლის შესახებ განცხადება რომც გააკეთოს, **მეეჭვება, ხელისუფლებამ ის ციხიდან გაუშვას.** რამდენად შეცვლის სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლა ქართულ პოლიტიკურ სურათს? ოპოზიციაში ტექტონიკური ძვრები არ მოხდება, თუმცა, **ნაციონალური მოძრაობა ორად გაიყოფა.**

„რეზონანსი"

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი*



**მიხეილ სააკაშვილის** პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში ნაციონალურ მოძრაობას გაუჩნდება შანსი, გახდეს მართლა პარტია — **ახლა ნაციონალური მოძრაობა არის პარალიზებული ორგანიზაციული წარმონაქმნი.**

„ინტერპრესნიუსი"

**ლაშა დამენია**
*„ევროპული საქართველოს" წევრი*



**სააკაშვილის** ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმე ზოგს რომ სჯერა და ზოგს — არა, ეს არის მისი თანაგუნდელების დამსახურება, რადგან მე-4 თუ მე-5 დღიდან დაიწყო, თითქოს **„კვდება", „1 საათი დარჩა"...** ნაციონალურმა მოძრაობამ მიშასთან დაკავშირებით შექმნა მცდარი მოლოდინები. **ასევე არის ადამიანთა ის მიმართულება, რომელსაც სააკაშვილი მესია ჰგონია და უპირობო ლიდერად თვლის** — ეს კიდევ ერთი მცდარი ნაბიჯია.

„ინტერპრესნიუსი"



# «საქართველოში გადატრიალების გეგმა ჩაფლავდა!»

**კოსოვოში, რომლის ველზეც სერბებმა 1389 წლის 28 ივნისს თურქების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გადაიხადეს და სერბი ერის უდიდესმა შვილმა მილოშ ობილიჩმა სულთანი მურად პირველი კარავში ღორივით დაკლა, ბოლო ხანს ვითარება დაიძაბა. გართულებულია სიტუაცია ტაივანში და ყარაბაღშიც... ამ ყველაფერს ემატება რუსების მიერ ჰიპერბგერითი იარაღის — „ცირკონის“ შექმნა, რომლის შესაძლებლობებზეც ლეგენდები დადის... აშკარაა, რომ კოსოვოშიც, ტაივანშიც და ყარაბაღშიც კრემლს თავისი გავლენები და სტრატეგიული ინტერესები აქვს და უკრაინის ომში ჩაბმული რუსეთი ამ ყველაფერს სათავისოდ იყენებს. პოლიტოლოგი და ექსპერტი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, პროფესორი ვახტანგ მაისაია მიიჩნევს, რომ რუსეთს სერბეთთან განსაკუთრებული ახლო ურთიერთობის გამო ერთ წამში შეუძლია აჭრას ვითარება შუა ევროპაში ისე, რომ მთელი ევროპული უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს:**



## ვახტანგ მაისაია:

## თუ ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილი წავა და პოლიტიკას თავს გაანებებს, ბრიყვი ყოფილა!

— **ტაივანის პრობლემა** ხელოვნურია და ამ ეტაპზე ძირითადად გამწვავებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში რიგით მესამე თანამდებობის პირის, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე **ნენსი პელოსის** ტაიბეიში მართლაცდა უდროო დროს ჩასვლით. ვიზიტი რომ არასახარბიელო დროს შედგა, ამის შესახებ, სხვათაშორის, სახელმწიფო დეპარტამენტშიც განაცხადეს და **პელოსი** გააკრიტიკეს. **დონალდ ტრამპმა** ნენსი პელოსის გადაწყვეტილებას **„უგუნური ქმედება“** უწოდა, რაც ზუსტი შეფასებაა.

1979 წლამდე ჩინეთს გაეროში სწორედ ტაივანი წარმოადგენდა, რომელიც დღესდღეობით მსოფლიოში რიგით მეცხრამეტე ეკონომიკას ქმნის და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით ჩინეთს ოთხჯერ აღემატება. ტაივანი არის კუნძული და მისი ძველი სახელწოდებაა **ფორმოზა.** 1949 წლის 1 ოქტომბერს, როცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოცხადდა და **გენერალისიმუსი ჩან კაიში** თავის გომინდანთან ერთად მაო ძედუნთან და წითელ არმიასთან დამარცხდა, ის გადავიდა ტაივანში და სწორედ ეს კუნძული გამოაცხადა ჩინეთის სამართალმემკვიდრედ. იმ დროიდან მოყოლებული, ვიდრე 1979 წლამდე, როცა ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთობები დათბა, გაეროში ჩინეთს წარმოადგენდა სწორედ ტაივანი.

**— რატომ ვერ მოახდინა ჩინეთმა ტაივანის ოკუპაცია?**

— ამაში ოფიციალურ პეკინს ხელი შეუშალა 1951 წელს ტაივანსა და შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილმა შეთანხმებამ სამხედრო დახმარების შესახებ. ამერიკა და დანარჩენი მსოფლიო, რამდენიმე კუნძულოვანი სახელმწიფოს გარდა, ცხადია, ტაივანს აღიარებენ ჩინეთის განუყოფელ ნაწილად, თუმცა, ჩინეთის სახალხო არმიის კუნძულზე შეჭრას მოჰყვება დიდი დაძაბულობა. ამას არც ჩინეთი იზამს, რადგან რუსეთისგან განსხვავებით, მისი არმიის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს არა სისხლისღვრა, არამედ ომის მოგება ბრძოლის გარეშე! **ეს არის ფილოსოფია, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში ჩინელმა სწავლულმა სუნძუმ ჩამოაყალიბა.** 1949 წელს და მერეც, ჩინეთს არ ჰქონდა იმის სამხედრო და საზღვაო პოტენციალი, ტაივანი დაეპყრო. დღეს ჩინეთს ეს პოტენციალი აქვს, მაგრამ ჩინეთი ტაივანთან ომზე არ წავა!

**— საინტერესოა, ჩინეთის არმია უფრო ძლიერია თუ რუსეთის?**

— ერთიანობაში რუსეთის არმია, რა თქმა უნდა, უფრო მძლავრი და აგრესიულია, მაგრამ ნებისმიერი გათვლებით, ჩინეთი ხუთ წელიწადში გადაუსწრებს ამერიკის ეკონომიკას და გახდება მსოფლიოში პირველი სახელმწიფო. ცხადია, ეს პირველობა სამხედრო სფეროზეც თავის ასახვას პოვებს. **ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი რუსეთისას ბევრად უსწრებს. ბოლოს და ბოლოს, ჩინეთს სამი ავიამზიდი ჰყავს, ხოლო რუსებს ერთი „ადმირალი კუზნეცოვი“ და ისიც ხან გაფუჭებულია და ხან მუშაობს!**

**— არის თუ არა კოსოვო ამერიკის „ტროას ცხენი“ ევროპაში?**

— ასე რადიკალური არ ვიქნებოდი, მაგრამ ფაქტია, რომ

### კოსოვოს აღიარებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და გერმანიამ შექმნეს ძალიან ცუდი პრეცედენტი, რასაც სულ მალე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შეეწირა.

ამ ეტაპზე კოსოვოში სექტემბრამდე დაუშვეს სერბული სანომრე ნიშნების მქონე მანქანების გადაადგილება, მაგრამ რა იქნება სექტემბრის შემდეგ, ღმერთმა უწყის. **ფაქტია, რომ რუსეთს სერბეთთან განსაკუთრებული ახლო ურთიერთობის გამო ერთ წამში შეუძლია აჭრას ვითარება შუა ევროპაში ისე, რომ მთელი ევროპული უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს!** ეს რუსეთის ხელში უმძლავრესი კოზირია, რომელსაც კრემლი როდის გამოიყენებს, კაცმა არ იცის...

**— რაც შეეხება ყარაბაღის კონფლიქტის განახლებას, ვერც აქ ხედავთ რუსეთის საცეცებს?**

— ფაქტია, რომ რამდენიმე დღის წინათ კონფლიქტი სომხებმა გაამწვავეს და საპასუხოდ რამდენიმე სტრატეგიული სიმაღლეც დაკარგეს. როგორც აცხადებენ, კონფრონტაცია უკვე ჩაცხრა და მხარეები პირვანდელ პოზიციებს დაუბრუნდნენ! ცხადია, რუსეთი შეეცდება, ყველგან არიოს, სადაც გავლენა აქვს, რადგან უკრაინაში უჭირს და ვერაფრით გადადის იმ ხაზს, რომელიც **ხარკოვ-მიკოლაევზე** გადის. უკრაინამ მოახერხა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ფრონტის ხაზზე სიტუაცია დაასტაბილურა... რა იქნება ხვალ-ზეგ, ძნელი სათქმელია!

**— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი მართლა მიდის პოლიტიკიდან თუ აფერისტობს?**

— ცხადია, აფერისტობს! სააკაშვილს სახელმწიფო გადატრიალება არ გამოუვიდა და ახლა ცდილობს, როგორმე ქვეყნიდან გააღწიოს! **თუ ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილი წავა და პოლიტიკას თავს გაანებებს, ბრიყვი ყოფილა!** მაინც მგონია, რომ სააკაშვილი უკრაინიდან მილიარდერ **რენატ ახმატოვს** გამოექცა. მან „გადააგდო“ ოლიგარქი **კოლომოისკი** და, ჩემი ინფორმაციით, ახმატოვსაც მოუნდომა გადაგდება, როცა სამი თვის განმავლობაში მარიუპოლში იყო ჩაბუდებული... მოგეხსენებათ, მარიუპოლი ახმატოვის „ოტჩინა“ გახლდათ... სწორედ ამიტომ იყო, რომ სააკაშვილი არაჟნის კონტეინერით შემოიპარა და როცა გორში გადაიყვანეს, პანიკურმა შიშმა აიტანა — არავინ გამიტაცოსო! **საქართველოში გადატრიალების გეგმა ჩაფლავდა და სააკაშვილმაც თავი მოიმკვდარუნა, აქაოდა, პოლიტიკიდან მივდივარო!**

**— რას იტყვით ჰიპერბგერით რაკეტა „ცირკონის“ შესახებ, რომლითაც პუტინი თავს იწონებს?**

— ეს არის ჰიპერბგერითი რაკეტა, რომელიც ბგერის სიჩქარეს რვაჯერ აღემატება და 8 მახს აღწევს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1 მახი ეს არის საათში 1200 კილომეტრი, მაშინ „ცირკონის“ სიჩქარე საათში 9600 კილომეტრი გამოდის. **დასავლეთისა და მთელი ნატოს თავის ტკივილის მიზეზი ის გახლავთ, რომ მათი სარადარო და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები გათვლილია იმ ობიექტების ჩამოგდებაზე, რომელთა სიჩქარე 2,5-3 მახს არ აღემატება.** ძალიან პოპულარული სამედიცინო ენით თუ განვსჯით, „ცირკონს“ „ანტიდოტი“ არ გააჩნია, რაც რუსეთს საშუალებას აძლევს, 350-400 კილომეტრის რადიუსში ნებისმიერი გემი გაანადგუროს! **„ცირკონი“ სწორედ გემების გასანეიტრალებლად შეიქმნა, ამდენად, პუტინს სატრაბახო ნამდვილად აქვს, რადგან მისი გამოჭერა და ჩამოგდება დღევანდელი ტექნიკის პირობებში, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რაც ნატოსთან შედარებით რუსეთის სასარგებლოდ სამხედრო ბალანსს ცვლის.**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

**„ცირკონს“ „ანტიდოტი“ არ გააჩნია, რაც რუსეთს საშუალებას აძლევს, 350-400 კილომეტრის რადიუსში ნებისმიერი გემი გაანადგუროს!“**




## კვირგვინოსნები

**მერაბ მეტრეველი**
*ჟურნალისტი*



არ არსებობს პასუხი კითხვაზე: **რა უნდა ქნას მიშამ, რომ ვინმემ დაიჯეროს, ციხიდან გამოსვლის მერე ის აღარ მობრუნდება ქართულ პოლიტიკაში?** ისევე როგორც არ არსებობს პასუხი კითხვაზე: **რა უნდა ქნას ივანიშვილმა, რომ ვინმემ დაიჯეროს, ის აღარ ერევა ქვეყნის მართვაში?**

„ალია“

**სოსო ცისკაძე**
*პოლიტოლოგი*



ქართველი ხალხი არის იმ დონეზე დიდსულოვანი, რომ ჯანმრთელობაშერყეულ, ცუდად მყოფ ადამიანს **შეწყალება არ დაამადლონ.** ეს ვერანაირად ვერ გახდება პოლიტიკური პოლარიზების საფუძველი, მით უფრო, **სააკაშვილი** თუ უკრაინაში აპირებს დაბრუნებას.

„ახალი თაობა“

**ელიზბარ ჯაველიძე**
*აკადემიკოსი*



**შევარდნაძემ** საქართველო მიზანმიმართულად დააქცია, ბოლოს კი ჯალათად **სააკაშვილი** დაგვიტოვა.

„საერთო გაზეთი“

# ჯერ დაიქოცნენ, მერე იქორწინეს!




## საქართველოში 2022 წლის 1 აგვისტოდან ქორწინების რიტუალის ჩატარება გაძვირდა!







***ცხადია, მკითხველი მიხვდა, რომ წინამდებარე წერილის სათაური — „ჯერ დაიქოცნენ, მერე იქორწინეს“ — ეხმიანება რაფიელ ერისთავის პიესას — „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, რომელიც სხვადასხვა ქართული თეატრის სცენაზე ათწლეულების განმავლობაში იდგმებოდა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა.***

სპექტაკლში **„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“** ასეთი ამბავი ვითარდება: შეყვარებულ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს სერგოსა და მაშიკოს დაქორწინება სურთ, მაგრამ ქალის დედა ელისაბედი ამის კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან სასიძო სერგო ვალებში იხრჩობა. თავის მხრივ, სერგოს მამა ოსეფა, რომელიც სიძუნწით არის ცნობილი, შვილის ვალების გასტუმრებაზე უარს ამბობს და სურს, სერგოს ვალები მისმა სასიდედრომ ელისაბედმა გადაიხადოს. ჩიხური ვითარებიდან ეშმაკურ გამოსავალს მაშიკოს ძმა აპოლონი მოძებნის, რომელიც სერგოს მამა ოსეფას მოატყუებს, თითქოს მაშიკო გარდაიცვალა, ხოლო ელისაბედს ეტყვის, რომ სერგო მოკვდა. აპოლონის მიერ გაცურებული ოსეფა და ელისაბედი შვილების „გარდაცვალების“ გამო შავად შეიმოსებიან და ერთმანეთს თანაუგრძნობენ. ძუნწი ოსეფა სატრფოს „გარდაცვალებით“ დამწუხრებულ შვილს შეიცოდებს და ვალის გადასახდელ ფულს მისცემს, რის შემდეგაც „დახოცილი“ სერგო და მაშიკო ქორწინდებიან.

**ჰოდა, ახლა, ქოცების მმართველობის ეპოქაში, შესაძლოა, რაფიელ ერისთავის ტრაგიკომიკურმა პიესამ — „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ — თეატრის სცენიდან რეალურ ცხოვრებაში გადმოინაცვლოს სახელწოდებით — „ჯერ დაიქოცნენ, მერე იქორწინეს“.**

საქმე ის არის, რომ ქოცების ხელისუფლების გადაწყვეტილებით, **2022 წლის 1 აგვისტოდან** საქართველოში ქორწინების რიტუალის ჩატარება გაძვირდა. კერძოდ, იუსტიციის სახლის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში ქორწინებასთან დაკავშირებული სპეციალური სარიტუალო მომსახურება **აქამდე 50 ლარი თუ ღირდა, ამიერიდან 75 ლარი ღირს.** ვისაც შაბათ-კვირას ქორწინების სახლში საზეიმო რიტუალის გამართვა მოუნდება, აქამდე არსებული ნიხრის —

## დემოგრაფიული კოლაფსის წინაშე მდგარ საქართველოში საქორწინო რიტუალის ჩატარება არათუ არ უნდა ძვირდებოდეს, არამედ სრულიად უფასო უნდა იყოს!

**150 ლარის მაგივრად 225 ლარის** გადახდა მოუწევს, ხოლო იგივე მომსახურება კვირის სხვა დღეებში **90 ლარის ნაცვლად 135 ლარი** დაჯდება.

ესე იგი, იუსტიციის სახლში საქორწინო ხელის მოწერა **გაძვირდა 25 ლარით,** შაბათ-კვირას ქორწინების სახლში საზეიმო რიტუალის გამართვა **გაძვირდა 75 ლარით** და კვირის სხვა დღეებში იმავე ადგილას იმავე ღონისძიების ჩატარება **გაძვირდა 45 ლარით.**

**ვერაფერს იტყვი, სუპერდროული და სუპერპატრიოტული გადაწყვეტილება მიუღია ქოცების ხელისუფლებას!**

ზრუნავენ ქოცები საქართველოში მძიმე დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე!

წლებზე ფეხებს იდგამენ ქოცები, რომ ყველანაირად შეუწყონ ხელი საქართველოში წყვილების დაქორწინებასა და ახალ-ახალი ოჯახების შექმნას!

**კანონიერად შეუღლების მსურველ ახალგაზრდებს ერთობ იმედიან „მესიჯს“ უგზავნიან ქოცები** — ჯერ დაიქოცეთ და მერე იქორწინეთო!

საკვები პროდუქტებითა და საწვავით დაწყებული, წვრილმანი საყოფაცხოვრებო საქონლით გაგრძელებული და თმის შეჭრითა და პედიკიურ-მანიკიურით დამთავრებული, ყველაფრის გაძვირებას შეიძლება, მეტ-ნაკლებად ლოგიკური ახსნა მოეძებნოს, მაგრამ **საინტერესოა, ქორწინებასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების გაძვირებას რა ობიექტური საფუძვლები გააჩნია?**

იქნებ რუსეთ-უკრაინის ომია მიზეზი, რომ იუსტიციის სახლში საქორწინო მოწმობის აღება 25 ლარით გაძვირდა?

იქნებ მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და სხვა ენერგოპროდუქტების გაძვირებამ გამოიწვია შაბათ-კვირას ქორწინების სახლში საზეიმო რიტუალის ჩატარების 75 ლარით გაძვირება?

ან იქნებ ტაივანში ნენსი პელოსის ვიზიტისა და ჩინეთ-ამერიკას შორის ურთიერთობის დაძაბვის პირდაპირი გამოძახილია, რომ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ქორწინების სახლში საზეიმო ღონისძიების გამართვა ადრინდელზე 45 ლარით მეტი დაჯდება?

მოიცადეთ, გეოპოლიტიკურ კატაკლიზმებს საქორწინო რიტუალის პრეისკურანტთან არავითარი კავშირი თუ არა აქვს, მაშ, რატომ გაძვირდა იუსტიციისა და ქორწინების სახლებში ქორწინებასთან დაკავშირებული სერვისები, რომლებიც 2022 წლის 1 აგვისტოს შემდეგაც სახელმწიფოსაგან ზუსტად იმდენივე დროისა და ადამიანური თუ მატერიალური რესურსის დახარჯვას მოითხოვს, რამდენსაც 2022 წლის 1 აგვისტომდე მოითხოვდა?

**ამ კითხვაზე არ არსებობს უფრო ლოგიკური და გონივრული პასუხი, ვიდრე ქოცების ხელისუფლებაში მოკალათებულ ცალკეულ მავანთა მუცელღმერთობა, უგუნურება და უპასუხისმგებლობა საკუთარი ერის წინაშე, რომელიც ისედაც დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზეა და სახელმწიფოსაგან ქორწინების ხელშემშლელი ახალ-ახალი მექანიზმების გამოგონება კი არა, ქორწინების წამახალისებელი და ხელშემწყობი ახალ-ახალი პროგრამების დანერგვა სჭირდება!**

სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დემოგრაფიული კოლაფსის წინაშე მდგარ საქართველოში საქორწინო რიტუალის ჩატარება არათუ არ უნდა ძვირდებოდეს, არამედ სრულიად უფასო უნდა იყოს!

**ძალიან კარგია, რომ ამ ხელისუფლებამ ოფიციალურად აკრძალა საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინება, მაგრამ ახლა ისე არ ქნას, რომ ტრადიციული ქორწინება არაოფიციალურად აკრძალოს რიტუალური მომსახურების გაძვირების გზით!**

ასე რომ, ვურჩევთ ქოცების ხელისუფლებას, დროულად შეცვალოს საკუთარი გადაწყვეტილება და წერტილი დაუსვას ტრაგიკომედიას სახელწოდებით — **ჯერ დაიქოცნენ, მერე იქორწინეს!**

*ჯაბა ხუბუა*



## იქნებ ტაივანში ნენსი პელოსის ვიზიტისა და ჩინეთ-ამერიკას შორის ურთიერთობის დაძაბვის პირდაპირი გამოძახილია, რომ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ქორწინების სახლში საზეიმო ღონისძიების გამართვა ადრინდელზე 45 ლარით მეტი დაჯდება!

# გენერალისიმუსი

№15-16 (139-140) ☆ 2022 წლის 8 აგვისტო ☆ გამოდის 2003 წლიდან


**ეს იყო! ეს არის!** ★

# სამი ომი

## 5 წელი, 5 თვე და 5 დღე,

## ანუ რა განსხვავებაა სტალინის, პუტინისა და სააკაშვილის ომებს შორის



25 ივლისი. 1929 წელი. სტალინი „ჩერვონა უკრაინის“ გემბანზე, საბჭოთა კავშირის შექმნიდან 6 წლის შემდეგ

***დღეს, 2022 წლის 8 აგვისტოს, 14 წელი შესრულდა რუსეთ-საქართველოს ომიდან, რომელიც 5 დღე გაგრძელდა და საქართველოსათვის კატასტროფული შედეგით დამთავრდა.***

ხაზს ვუსვამთ — **2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომი კატასტროფული შედეგით დამთავრდა საქართველოსთვის და არა — სააკაშვილის რეჟიმისათვის!**

სააკაშვილის რეჟიმისათვის 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომი დასრულდა ზუსტად ისეთი შედეგით, როგორიც სააკაშვილს აძლევდა ხელს — **მან მორყეული სკამი სწორედ ამ ომის შედეგად გაიმყარა და ძალაუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივა!** ამ ომის შედეგად სულ სხვა მასშტაბებს მიაღწია სააკაშვილისა და მისი ახლო გარემოცვის გამდიდრების პროცესმა, რისი ნათელი მაგალითიც იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრი **ქეზერაშვილი** გახლავთ, რომელიც აგვისტოს ომიდან რამდენიმე თვეში, თანამდებობიდან წასვლისთანავე, ოფიციალური, დეკლარირებული მულტიმილიონერი გახდა!

გარდა ამისა, **2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომის შემდეგ სააკაშვილის რეჟიმს საშუალება მიეცა, რუსეთისაგან შეექმნა სრულიად ახალი და გაცილებით მძაფრი მტრის ხატი, რომელსაც იგი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ეფექტიანად იყენებდა ძალაუფლების შესანარჩუნებლად.** ამიტომაც თქვა ვანო მერაბიშვილისეული შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა, ნაცჟურნალისტ **ეკა კვესიტაძის ქმარმა შოთა უტიაშვილმა** — 2008 წლის აგვისტოს ომმა ამოგვასუნთქაო!

როგორც წესი, ომს ყოველთვის ორი მხარე ჰყავს, რომელთაგანაც ერთი გამარჯვებული რჩება, მეორე კი — დამარცხებული, მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი გამონაკლისი შემთხვევაა, რომელსაც **ორი გამარჯვებული და ერთი დამარცხებული ჰყავს.** დიახ,

**2008 წლის აგვისტოს 5-დღიან ომში დამარცხებული დარჩა საქართველო, ხოლო კრემლმა და სააკაშვილის რეჟიმმა გაიმარჯვეს!**

სწორედ ამიტომ კონცერტობდა და ზეიმობდა სააკაშვილი რუსთაველის გამზირზე 2008 წლის 12 აგვისტოს, როცა გმირი ქართველი ჯარისკაცების ცხედრები სამაჩაბლოს მიწაზე თაკარა მზის ქვეშ იხრწნებოდა, რადგან ნაცების ხელისუფლებას ბრძოლის ველიდან მკვდრების გამოსაყვანადაც არ შეუწუხებია თავი.

2008 წლის აგვისტოს 5-დღიანმა ომმა საქართველოს საარაკო გმირობისა და საარაკო სირცხვილის მაგალითებიც დაუტოვა! კი, ნამდვილად საარაკოა **გიორგი ანწუხელიძისა** და შინდისთან ბრძოლაში დაცემული ბიჭების გმირობა, ხოლო **ის სილაჩრე და სიდედლე, რაც საქართველოს პრეზიდენტმა, ქართული შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა გორში გამოავლინა, საარაკოდ სამარცხვინოა!**

**ალბათ, იყო რაღაც ნიშანდობლივი და კანონზომიერი იმაში, რომ მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე დიდი ომის მომგები გენერალისიმუსის — იოსებ სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში შიშისაგან მიწაზე ფორთხავდა სტალინივით 21 დეკემბერს დაბადებული მიხეილ სააკაშვილი!**

ალბათ, ისტორიას სურდა, საქართველოს ეხილა და ეწვნია არამხოლოდ 21 დეკემბერს გორში დაბადებული სტალინის აღზევება, არამედ 21 დეკემბერს დაბადებული სააკაშვილის პოლიტიკური, მორალური და ფიზიკური დაცემა გორში!

გორელ **იოსებ სტალინს,** რომლის წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილი ფოტოც **„ჩერვონა უკრაინის“ გემბანზეა** გადაღებული, 5 წელიც არ დასჭირვებია დიდი სამამულო ომის მოსაგებად!

**ვლადიმერ პუტინი, რომლის წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილი ფოტოც სამხედრო-საზღვაო ფლოტის პარადზეა გადაღებული და რომლის ავიაციამაც 2008 წლის აგვისტოში სტალინის მშობლიური ქალაქი გორი დაბომბა, 5 თვეზე მეტია, უკრაინაში ომობს, მაგრამ გამარჯვებისათვის ჯერაც არ მიუღწევია!**

**მიხეილ სააკაშვილმა, რომლის გორში გადაღებული სამარცხვინო ფოტოც წინამდებარე გვერდზე შეგნებულად არ დავბეჭდეთ, რუსეთთან ომი 5 დღეში წააგო და საქართველოს რუსული ოკუპაციის სახით უმძიმესი მემკვიდრეობა დაუტოვა!**

**დღეს, 2008 წლის აგვისტოს ომიდან 14 წლისთავზე,** საქართველო ცდილობს, რუსული ოკუპაციის უღელი ფრთხილი, პრაგმატული და მშვიდობიანი პოლიტიკით მოიშოროს!

**დღეს, 2008 წლის აგვისტოს ომიდან 14 წლისთავზე,** კიდევ უფრო ცხადი და აშკარა ხდება, რომ საქართველოსათვის ეს ერთადერთი სწორი და უალტერნატივო პოლიტიკაა!

***ჯაბა ხუბუა***



31 ივლისი. 2022 წელი. პუტინი სამხედრო-საზღვაო ფლოტის პარადზე, რუსეთ-უკრაინის ომის მე-6 თვეს

# დიდგორის ომი მე-10 საუკუნეში გადავიდა!

***„არცერთი ნაბიჯი უკან!“*** *ასეთი იყო სტალინის მიერ* ***1942 წლის 28 ივლისს*** *გამოცემული* ***227-ე საიდუმლო ბრძანების*** *შინაარსი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სამამულო ომში საბჭოთა არმიის ტრიუმფალური გამარჯვება!* ***(იხ. „გენერალისიმუსი“, 2022 წლის 1 აგვისტო, №13-14)****. სტალინმა, თამამად შეიძლება ითქვას, იხელმძღვანელა გენიალური* ***დავით აღმაშენებლის*** *სტრატეგიით, როცა მისი ბრძანებით ნიჩბისის ხევი ჩაკეტეს და ქართველებმა უკან დასახევი გზა მოიჭრეს,* ***რათა არცერთი ნაბიჯი არ გადადგმულიყო უკან!***
*1942 წლის 28 ივლისისათვის დიდგორის ბრძოლიდან 820 წელი გახლდათ გასული, ხოლო ისტორიისა და სამხედრო ხელოვნების უბადლო მცოდნე* ***იოსებ ჯუღაშვილმა მშვენივრად იცოდა, ვისი გორისა იყო და რა სჭირდებოდა გამარჯვებას!***



**როცა ალმაშენებლის ბრძანებით, ნიჩბისის ხევი ჩაკეტეს და ქართველებმა უკან დასახევი გზა თავისი ნებით მოიჭრეს, ეს სწორედ იმის ნიშანი იყო, რომ ამიერიდან მტერს სწორედ სიკვდილთან მოუწევდა ბრძოლა, რადგან თითოეული ქართველი სიკვდილთან იყო წილნაყარი!**






***2022 წლის 11 აგვისტოს, დიდგორის ომიდან 901 წლის შემდეგ, ყველა ქართველს, რომელსაც სამშობლოსთვის უძგერს გული, ამაყად შეუძლია თქვას, რომ ბრძოლა, რომლის მასშტაბის ბრძოლაც კაცობრიობის ისტორიაში თითებზე ჩამოსათვლელია, მე-10 საუკუნეში გადავიდა!***

სამაგიეროდ, პირუთვნელი მეისტორიე, როცა სააკაშვილის კვაზიფაშისტური და გარყვნილი რეჟიმის წახდენისა და წაქცევის მიზეზებზე ალაპარაკდება, აუცილებლად იტყვის, რომ ნაცსექტის ბინძური დიქტატურა დაემხო იმიტომ, რომ სააკაშვილი და მისი ხროვა ხრწნილების ფაზაში გადავიდნენ!

როგორც საქვეყნოდ ცნობილია, 476 წლის 23 აგვისტოს **გერმანელმა ბარბაროსმა ოდოაკრმა** რომის უკანასკნელი იმპერატორი **რომულუს ავგუსტულუსი** დაამხო, იმპერია გააუქმა და საიმპერატორო ნიშნები ბიზანტიის იმპერატორ **ზენონ ისავრიელს** კონსტანტინოპოლში გაუგზავნა.

## ერთი სტრატეგია ორი გამარჯვება ★

ვიდრე ამ ნაბიჯს გადადგამდა, ველურმა **ოდოაკრმა** რომის მოსახლეობას შეკითხვით მიმართა — **ერთი მიზეზი მაინც დამისახელეთ, რათა ეს გარყვნილების, სიბილწისა და გახრწნილების ბუნაგი — რომის იმპერია დარჩეს და არსებობა გააგრძელოს!** გადმოცემის თანახმად, ის ერთადერთი მიზეზი ვერავინ დაასახელა, რის გამოც ოდოაკრმა თავადაც უარი თქვა საიმპერატორო გვირგვინსა და სკიპტრაზე, იმპერია გაუქმებულად გამოაცხადა და **„იტალიის მეფე“** დაირქვა.

სხვათაშორის, ბიზანტიის იმპერატორი **ზენონ ისავრიელი,** რომელსაც **ოდოაკრმა** საიმპერატორო ნიშნები საჩუქრად გაუგზავნა, ერთადერთი ხელმწიფეა, რომელიც ცოლმა ცოცხლად დამარხა. **მშვენიერმა და გარყვნილმა დედოფალმა არიადნამ, რომელიც ქმარს გამუდმებით ღალატობდა, ეპილეფსიური გულყრის შედეგად უგონოდ მყოფი იმპერატორი მკვდრად შერაცხა და საცოდავ ზენონს მიწა მიაყარა.** სხვათაშორის, სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ცნობილი პუტჩისტის, მაგრამ უბადლო კინორეჟისორის **ელდარ შენგელაიას** გენიალურ ფილმში — **„შერეკილები“ ბორის წიფურიას** კინოგმირის, ხალიჩაში გახვეული „ხუტას“ ცოცხლად დამარხვის ცერემონიალს სწორედ მშვენიერი **არიადნა შენგელაია** უძღვება, რომელიც ბრწყინვალედ ასახიერებს **„მარგალიტა ბიცოლას“** როლს...

დიდგორის ომზე, რამდენი წელი და საუკუნეც გინდა გავიდეს, ვერავინ იტყვის, რომ მისი მნიშვნელობა და პირველქმნილი სიდიადე ისტორიის ფოლიანტებში ჩაიკარგა და ჩაინთქა. **48 წლის დავით აღმაშენებელმა 1121 წლის 12 აგვისტოს საქართველოში, დიდგორის ველზე, მოიგო ომი, რომელმაც მაშინდელ მსოფლიოში გეოპოლიტიკური სიტუაცია შეცვალა.** ეს ბრძოლა თავისი ისტორიული მნიშვნელობით უტოლდება 732 წლის 10 ოქტომბერს საფრანგეთში, პუატიესთან გამართულ ბრძოლას, როცა ფრანკთა მაიორდომმა **კარლოს მარტელმა** ევროპაში არაბთა სახალიფოს ექსპანსია შეაჩერა და ანდალუსიის მმართველი **აბდურაჰმან იბნ-აბდალაჰი** დაამარცხა, რომელიც ბრძოლაში მოკლეს.

დიდი გერმანელი ისტორიკოსი **ლეოპოლდ ფონ რანკე,** რომელმაც ისტორიულ მეცნიერებაში დოკუმენტური მასალების კრიტიკული ანალიზის აუცილებლობის წესი დაამკვიდრა, თავის დროზე სამართლიანად მიუთითებდა, რომ **პუატიეს ბრძოლა იყო მსოფლიოს ისტორიაში გარდამტეხი ეტაპი, რომელმაც პლანეტის ბედი განსაზღვრა...**

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ტრიუმფი** კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქარტეხილია, რომელმაც ბიზანტიის იმპერიას სიცოცხლე, სულ მცირე, ორასი წლით მაინც გაუხანგრძლივა, ხოლო მთელ წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური სურათი თავდაყირა დააყენა. **ამიტომაც დიდგორის ომი ორიენტირი უნდა იყოს საქართველოსთვის — თუ საქართველოს ომში გამარჯვება სურს!**

საქვეყნოდ ცნობილია, რომ დიდგორში დავით აღმაშენებლის ლაშქარი, სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის თქმით, ასე გამოიყურებოდა — 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაღი, 500 ოსი და 100 „ფრანგი“ რაინდი... იმავე ურჰაეცის ცნობით, **ნეჯმ ედ-დინ ილღაზს** დიდგორთან 560 ათასი მეომარი ჰყავდა, ხოლო ფრანგი **გოტიე** ხაზგასმით მიუთითებს, რომ ურჯულოთა რიცხოვნობა **600 ათასი** იყო! მოგეხსენებათ, დღესდღეობით ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც დავით აღმაშენებლის 55 ათას 600 მოლაშქრის წინააღმდეგ ისლამურმა კოალიციამ 300-ათასიანი არმია გამოიყვანა.

**დავითის გამარჯვება განაპირობა ოთხმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტორმა — საერთაშორისო პოლიტიკურმა ვითარებამ, საქართველოს ეკლესიაში წესრიგის დამყარებამ და წმინდა ტაძრებიდან ბილწი სოდომისტების განდევნამ, უძლიერესი უშიშროების სისტემის — „მსტოვართა რაზმის“ შექმნამ და დასავლეთთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან მჭიდრო სტრატეგიულმა თანამშრომლობამ!** ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელს ცოლად ჰყავდა ყივჩაღთა მეფის **ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი,** ხოლო ყივჩაღები წინა კავკასიაში ყველაზე უფრო გავლენიანი სამხედრო ძალა იყო, შემთხვევითი არ გახლდათ.

**დავით აღმაშენებელმა** ზუსტად იცოდა, რომ 1099 წლის 15 ივლისს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს, ხოლო მანამდე, 1098 წელს, დორილეასთან და ანტიოქიასთან ურჯულოებს შავი დღე აყარეს. ამიტომ ის საქართველოს გამარჯვების ფუნდამენტს ქრისტიანული ცივილიზაციის ერთიანობაში ხედავდა! ამიტომაც შეხვდა იერუსალიმის მეფეს **ბალდუინ მეორეს** 1118 ან 1119 წელს სახელოვანი ხელმწიფე გეგუთის სასახლეში, როგორც ამას იოანე ბატონიშვილი გვაუწყებს თავის „კალმასობაში“ და ამიტომაც მოიარა და შეძრა მთელი შუა საუკუნეების ევროპა თქმულებამ მეფე-ხუცესის **იოანეს** შესახებ, რომელიც პირდაპირ უკავშირდება დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. უფრო მეტიც, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მეფე-ხუცესი იოანე დავით აღმაშენებელია...

**ავადმყოფმა სააკაშვილმა, რომელსაც საქართველოს ისტორიაში მეორე დავით აღმაშენებლად უნდოდა შესვლა, 2008 წლის 7 აგვისტოს პროვოკაციული ომი იმიტომ წამოიწყო, რათა 12 აგვისტოს, დიდგორობა დღეს, ცხინვალში გამარჯვების პარადი ჩაეტარებინა და მთელი მსოფლიოს წინაშე თავი ომის ღმერთად გამოეცხადებინა.** დავითისგან განსხვავებით, 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს მოკავშირე არ ჰყავდა, სამაგიეროდ, სააკაშვილს ჰყავდა მოკავშირეები — პრეზიდენტობის კანდიდატი **მაკკეინი,** რომლის რეიტინგის ათპროცენტიან მატებას საქართველოს 150 ძირძველი სოფელი და დამატებით 80 ათასი დევნილი შეეწირა და

## დიდგორის ომი ორიენტირი უნდა იყოს საქართველოსთვის, თუ ომში გამარჯვება სურს!!!

# ალმაშენებლის ტაქტიკამ სტალინს მეორე მსოფლიო ომი მოაგებინა!

**ირაკლი ოქრუაშვილი,** რომელიც ფეისბუქში წერილს წერილზე აცხობს — **რუსი ტურისტები მოვკლათო!** აღარაფერს ვამბობთ იმ ამერიკელ თუ ევროპელ ყვავ-ყორნებზე, რომლებმაც ომში განადგურებულ საქართველოს 4 მილიარდი გამოუყვეს და ე.წ. ატკატებით ამ ასტრონომიული თანხის უდიდესი წილი ისევ თავიანთ ჯიბეებში გააქანეს! ყველაზე მთავარი — **სააკაშვილის მთავარი მოკავშირე იყო და არის ვლადიმერ პუტინი, რომელმაც მაშინ, როცა სააკაშვილს ყველაზე მეტად უჭირდა და უპასპორტოდ და უსაბუთოდ ტრასის ბოზივით აღმა-დაღმა დაეხეტებოდა, ვერაფრით დამალა ის ფაქტი, რომ სააკაშვილი კრემლისთვის სასურველი „ძაღლიშვილი“ იყო.** სწორედ ამიტომ მოუწოდა **ზელენსკის** — სააკაშვილს უკრაინული პასპორტი მიეცით! — რაც უკრაინელმა მასხარამ უმალ აღასრულა და სააკაშვილი უკრაინის რეფორმების საბჭოს უმაღლეს ბლაღოჩინადაც გამოაცხადა!

მოკლედ, **2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის მთავარი მოკავშირე იყო პუტინი და ომის მთელი თეატრი კოდორშიც, ქსნის ხეობაშიც და სამაჩაბლოშიც სწორედ პუტინის სცენარით გაიშალა.** ხომ წარმოგვიდგენია, სად ვიქნებოდით დღეს, დავით აღმაშენებელს ილღაზი რომ გაეხადა მოკავშირედ და დიდგორის ომიც ილღაზის გეგმით დასრულებულიყო?!

დავითის საქართველო, რომელიც დიდგორში სამკვდრო-სასიცოცხლო ომისთვის ემზადებოდა, მშვილდივით იყო მოჭიმული. **გრიგოლ ხანძთელის, გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ჭყონდიდელისა და არსენ იყალთოელის მიერ დაწყებულმა ეროვნულ-ბეროვნულმა მოძრაობამ, რომელიც საბოლოოდ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაში განსხეულდა, საქართველოს ეკლესია ქართული სახელმწიფოებრიობის უპირველეს ციტადელად აქცია.** ამის საწინააღმდეგოდ სააკაშვილმა საქართველოს ეკლესია ახალაიებისა და „მასტერების“ სამსახურში ჩააყენა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აღსასაყდრებლად სენაკის ვაგზლის ქურდს პეტრე ცაავას შეუკერა ჭრელი ფაჩუჩები. ცნობისათვის, **პეტრე ცაავა,** როცა სჭირდებოდა, ილია მეორეს სულ იამბიკოებს უძღვნიდა, მაგრამ, როცა ნიშანი მისცეს და თვალი ჩაუპაჭუნეს, საქართველოს ეკლესიაში განხეთქილების ჩამოგდება სცადა, რასაც დღემდე არ იშლის...

**დავით აღმაშენებელმა** კარგად იცოდა, რომ დიდგორამდე 100 წლით ადრე, 1021 წელს, მისი დიდი პაპა, საქართველოს **მეფე გიორგი პირველი** შირიმნის ბრძოლაში ბიზანტიის ვერაგ იმპერატორთან **ბასილი მეორე ბულგართმმუსვრელთან** დამარცხდა. საქართველომ მაშინ წააგო იმიტომ, რომ მოკავშირე არ ჰყავდა, თანაც, გიორგი პირველი ძალზედ ახალგაზრდა იყო... დავითმა ეს მწარე გაკვეთილი კარგად გაისიგრძეგანა და მოემზადა ბრძოლისთვის, სადაც ჩრდილოკავკასიელ ოსებთან და ქრისტიან ევროპელებთან ერთად თავისი ლაშქრის შემწედ და მფარველად უძლიერესი მოკავშირე — სიკვდილი გამოიხმო!

დიახ, როცა დავით აღმაშენებლის ბრძანებით, ნიჩბისის ხევი ჩაკეტეს და ქართველებმა უკან დასახევი გზა თავისი ნებით მოიჭრეს, ეს სწორედ იმის ნიშანი იყო, რომ ამიერიდან მტერს სწორედ სიკვდილთან მოუწევდა ბრძოლა, რადგან თითოეული ქართველი სიკვდილთან იყო წილნაყარი.

ქართველები რომ იმ დღეს სიკვდილს უღიმოდნენ, დიდგორის ბრძოლის დასაწყისშიც გამოჩნდა, როცა ორასი შეწირული ერთი შეხედვით უიარაღოდ, მშვიდად გამოეყო ძირითად ლაშქარს და მოწინააღმდეგის თვალუწვდენელი ურდოსკენ გასწია. მტერმა, რომელსაც ეს ორასი კაცი მოღალატე ეგონა, მშვიდად შეუშვა მოლაშქრენი თავის რიგებში... მერე რაც მოხდა, ყველამ იცის **— ორასმა კაცმა მოულოდნელად ხმალი იშიშვლა და მარჯვნივ და მარცხნივ დაიწყო მტრის კაფვა... სავარაუდოდ, თვითონაც აიკაფნენ, მაგრამ სიკვდილთან დაძმობილებულებმა სიკვდილზე გაიმარჯვეს!**

დიდგორისა რა მოგახსენოთ, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილი დიდგორში ნამდვილად იბრძოდა და უღიმოდა არა სიკვდილს, არამედ პორნომასაჟისტ დოქტორ დოტსა და ალანა გაგლოევას ბებიას, რომელიც სასწრაფოდ ცხინვალიდან გამოიტაცეს, რათა არაფერი დამართნოდა... სამაგიეროდ, დიდი და პატარა ლიახვის ქართველობა მიატოვეს და მერე ისევე, როგორც ნაზამთრალი ტურები მგლების გამოჩენისას, თავიანთ ტანკებს გაასწრეს გორში.

დიდგორში გამარჯვებულმა დავით აღმაშენებელმა „არაბთა მეფედ“ წოდებული **დურბეიზ სადიყის ძისთვის** წართმეული ოქროს უძვირფასესი მანიაკი გელათის მონასტერს შესწირა, ხოლო სააკაშვილმა და მისმა ხროვამ რა გამოიტანეს საქართველოს ოქროს ფონდიდან და მუზეუმებიდან და რა შესწირეს **თინა ბოკუჩავას, მარიამ საჯაიას, ხატია ბუნიათიშვილს, ამერიკელ სენატორებს, კონგრესმენებსა თუ კურორტ ფხუკეთში გამოჭერილ ფეხმსუბუქ ქალბატონებს,** ღმერთმა უწყის!

**დიდგორის ომიდან ასი წლის შემდეგ, 1221 წელს,** საქართველოს უკვე ნაწვნევი ჰქონდა **ჩინგიზ-ხანის** მახვილის სიალმასე. ქვეყანა მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში სამჯერ დამარცხებულიც იყო... მიუხედავად ამისა, საქართველო იმედს არ კარგავდა და დიდგორში გამარჯვებულ დროშას, რომლისთვისაც „გორგასლიანთან“ ერთად „დავითიანთამარიანიც“ ეწოდებინათ, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა...

**მე-10 საუკუნეა, რაც დავით აღმაშენებლის საფლავი ქართველთათვის უწმინდესი სალოცავია!**

**გაივლის დრო, ჩვენ წავალთ, სხვები მოვლენ, მაგრამ სააკაშვილის, ვალერი გელბახიანის, ელისტრაკო კილაძის, გიგა მაქარაშვილის, ირაკლი ოქრუაშვილის, კობა ხაბაზისა და დომენიკ მანგოს, ანუ იმავე კუკური პრო...ძის (ცენზურა ჩვენია. რედ.) და მათთან გათანაბრებული მესაჯდომეების საფლავები, ფერფლი ან ნეშტი საქართველოში გამორჩეულად უწმინდურ ადგილას იქნება!**

***დიტო ჩუბინიძე***



დავითისგან განსხვავებით, 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს მოკავშირე არ ჰყავდა, სამაგიეროდ, მიხეილ სააკაშვილს ჰყავდა მოკავშირეები — პრეზიდენტობის კანდიდატი მაკკეინი და ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ახლა ფეისბუქში განცხადებას განცხადებაზე აცხობს: კარგი იქნება, რუსი ტურისტები მოვკლათო...



# გონს მოეგეთ, სლავებო!

## *გრიგოლ ონიანი*

*ელცინის პერიოდს მოვესწარი და ვიცი მისი მოღვაწეობის შემაძრწუნებელი შედეგები: **ზესახელმწიფოს სტატუსის დაკარგვა, ათასწლოვანი იმპერიის ნგრევა, ეკონომიკის რყევა, ბედის ანაბარად დარჩენილი მეცნიერება, მრავალმილიონიანი ადამიანების უმუშევრობა, ხალხის გონებიდან ნაციონალური გრძნობების ამოშლა და ბოლოს, გეოპოლიტიკური კატასტროფა.** ყოველივე ეს სრულიად გასაგები გახდა არამხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის მრავალმილიონიანი საზოგადოებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის, რის შედეგებსაც ყოველდღიურად იმკის პლანეტის მოსახლეობა.*

დიდმა ინგლისელმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა **როჟე გაროდიმ** საქვეყნოდ განაცხადა: **„მიმაჩნია, რომ ადამიანური თვალსაზრისით სტალინიზმი ძვირი დაგვიჯდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ ევროპა დღეს თავისუფალია, ეს სტალინითა და სტალინგრადითაა თავისუფალი“.**

დღეს რომ **როჟე გაროდი** ცოცხალი იყოს, უკრაინის მოვლენების ფონზე უფრო გონივრულად შეაფასებდა სტალინის მიერ ევროპული ცივილიზაციის ხსნას ფაშიზმისაგან.

ყველაფრის გაუფასურება, რა თქმა უნდა, **ნიკიტა ხრუშჩოვმა** დაიწყო, მაგრამ თავი მაინც ელცინმა დაადგა, რომელმაც ამერიკის კონგრესზე ღმერთს შესთხოვა აშშ-ის გაძლიერება და ერთმმართველობა.

— **„რუსები ომს არ იწყებენ, ისინი ამთავრებენ!“**

— **„რუსები არ ნებდებიან, ისინი კვდებიან!“**

— **„რუსები გამარჯვებისათვის კი არ იბრძვიან, ისინი იბრძვიან სიკვდილისათვის!“**

— **„დიდი რუსი ერი!“**

— **„რუსი ჯარისკაცი — განმათავისუფლებელი!“**

ეს ხალხური და საქვეყნოდ აღიარებული გამოთქმები რუსმა ხალხმა სტალინური ეპოქის სულ რაღაც 30 წელიწადში დაიმსახურა, დღეს კი, ხუთი თვის სისხლისმღვრელი ომის შემდეგ უკრაინის ორი ქალაქი ვერ აუღიათ უძლეველი წითელი არმიის შთამომავლებს და, იცით, რატომ? — **პუტინმა რუსეთის ომის სტრატეგია და ტაქტიკა შეუცვალა ისე, როგორც მისმა წინამორბედმა ელცინმა — ცხოვრების წესი.**



## რუსეთს ელცინმა ცხოვრების წესი შეუცვალა, პუტინმა – ომის სტრატეგია და ტაქტიკა!

ომის დაწყების დღეს, **1941 წლის 22 ივნისს,** სასწრაფოდ კორპუსის მეთაურთან **სკრიპკოსთან** გამომიძახეს, — იხსენებს მარშალი **გოლოვანოვი**, — და დავალება მომეცა, მომზადებულიყო ავიაპოლკი ცაში ასაფრენად და ქალაქ ვარშავის დასაბომბად. მეორე დღეს ავიაპოლკი ცაში აიჭრა... **1941 წლის 11 სექტემბერს** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ვარშავის დაბომბვის წარმატებული ოპერაციისათვის ავიაპოლკის ყველა მფრინავს მთავრობის სხვადასხვა ჯილდო მიანიჭა და მათ შორის — ქართველ მფრინავ **დავით ჩხიკვიშვილს,** რომელსაც ლენინის ორდენი ხვდა წილად.

**1941 წლის 15-17 ოქტომბერი** ყველაზე მძიმე დღეებია ჩემს ცხოვრებაში, — განაგრძობს მარშალი **გოლოვანოვი,** — დაგვევალა ბერლინის სამხედრო მრეწველობის ობიექტების დაბომბვა.

ავიაპოლკისა და პირადად გოლოვანოვის გამორჩეული მფრინავი **ალექსანდრე მოლოდჩი** ბერლინის თავზე ტრიალებდა და საავიაციო ქარხანას ზვერავდა, რა დროსაც გერმანელთა პროჟექტორების შუქზე საზენიტო დაცვის ცეცხლში მოექცა. მფრინავი არ დაიბნა და მაინც მიაღწია მიზანს — საავიაციო ქარხანას უამრავი ცეცხლგამჩენი ჭურვი დააყარა, სამშვიდობოს გამოსვლისას კი რადიოგრამა აფრინა: **„მოსკოვი. კრემლი. სტალინს. ვიმყოფები ბერლინის თავზე. დავალება წარმატებით არის შესრულებული“...** „თქვენი რადიოგრამა მივიღეთ. გისურვებთ მშვიდობით დაბრუნებას. სტალინი“, — იყო პასუხი.

**მაშინ, როდესაც ჰიტლერი ტრაბახით აყრუებდა მსოფლიოს — მოვსპე საბჭოთა ავიაცია და მალე საბჭოთა კავშირსაც გავანადგურებო, გერმანიის მოსახლეობა გაკვირვებული უსმენდა ფიურერს, რადგან „განადგურებული“ საბჭოთა ავიაცია მასირებულად ბომბავდა გერმანულ ქალაქებსა და სამრეწველო ობიექტებს.**

ავიაპოლკს კი სამოქმედო პროგრამად ჰქონდა სტალინის ბრძანება — **„81-ე ავიადივიზიამ 9-დან 10 აგვისტომდე, მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, განახორციელეთ ბერლინისკენ გაფრენა. ფრენისას, გარდა ფუგასური ბომბებისა, გამოყენებული იქნას მცირე და დიდი ძალის ცეცხლგამჩენი ჭურვები. ბერლინამდე გზაზე შეფერხებების შემთხვევაში, შეტევები განახორციელეთ კენინგსბერგზე. ი. სტალინი. 8/8/1941 წელი“.**

ეს იყო ომის სტრატეგია. გველს კუდიდან არ კლავენ. სად მშვიდობიანი ხალხის ამოხოცვა ბუნქებში ჩასაფრებული შორსმსროლელი არტილერიით, ჯარიკაცების გარეშე და სად დენაციფიკაცია და დემილიტარიზაცია?!

არავის ეგონოს, თითქოს ფაშისტების მხარეს ვიყო და რუსებს ამიტომ ვაკრიტიკებ. ვაკრიტიკებ იმიტომ, რომ არ იბრძვიან სტალინური სტრატეგიითა და ტაქტიკით. დიახ, **ზელენსკი და მისი ცოლი** გლამურული ჟურნალების პირველ გვერდებზე პოზირებენ, სლავები კი ერთმანეთს ხოცავენ. რაც შეეხებათ ევროპელებსა და ამერიკელებს, ისინი ხარხარებენ: **„ხარი სხვისა, სახრე ტყისა“.**

გონს მოეგეთ, სლავებო!

## სტალინელის სიტყვა ★

# პროპაგანდისტული ტრიუმფი


НАРОДНЫЙ КОМИССАР
ОБОРОНЫ СОЮЗА ССР

8 августа 1941 г.
№ 0265

ПРИКАЗ
НАРКОМА ОБОРОНЫ СССР

В ночь с 7 на 8 августа самолетов Балтийского флота произвела бомбежку Берлина.

5 самолетов сбросили бомбы над центром Берлина, а остальные на предместья города.

Об'являю благодарность личному составу, участвовавшему в полете и с ходатайством в Президиум Верховного Совета СССР о награждении отличившихся.

Выдать каждому члену экипажа, участвовавшему в полете, по 2 тысячи рублей.

Впредь установить, что каждому члену экипажа, сбросившему бомбы на Берлин, выдавать по 2 тысячи рублей.

НАРКОМ ОБОРОНЫ СССР

Народный Комиссар Обороны
И. Сталин

**სტალინის მიერ ჩასწორებული ბრძანება 1941 წლის 8 აგვისტოს ბერლინის დაბომბვაში მონაწილე მფრინავთა დაჯილდოების შესახებ.** მართალია, ამ ოპერაციამ წარმატება არ მოიტანა, მაგრამ **პროპაგანდისტული თვალსაზრისით** ფრიად მნიშვნელოვანი იყო. **თვით ჰიტლერმაც კი ვერ წარმოიდგინა, რომ დაბომბვას რუსები აწარმოებენ, აკი, გერინგმა ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე, ივლისში, უპატაკა ფიურერს, რომ საბჭოთა ავიაცია სრულად არის განადგურებული.** ჰიტლერი თვლიდა, რომ თავდასხმა მხოლოდ ბრიტანელებს შეეძლოთ, რომლებსაც თანამედროვე ავიაცია ჰქონდათ, თანაც, ბერლინამდე ადვილად მიღწევად ზონაში.

# ვიდრე ქვეყანას პოლიტიკური ყვავილი შეეყრებოდა...




**1932 წელი. მოსკოვი. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ყვავილების შინ მიტანის სერვისი მოქმედებს, მაგრამ გაივლის ხუთიოდე წელიწადი და ყვავილებს აღარც ცოცხალთათვის ეცლებათ და აღარც მკვდართათვის!**

# მართალია თუ არა, რომ 1944 წლის ივლისში ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ წარუმატებელ შეთქმულებაში საბჭოთა მზვერავებიც მონაწილეობდნენ, ხოლო შეთქმულების კოორდინატორი თავად ბერია იყო?



1944 წლის 29 ივლისს რასტენბურგში, **ჰიტლერის შტაბში, ბომბი აფეთქდა, თუმცა, ფიურერი მსუბუქი დამწვრობით გადარჩა.** აფეთქების შედეგად დაიღუპა ორი სტენოგრაფისტი და ფიურერთან თათბირზე მყოფი რამდენიმე ადამიანი. ბომბი პორტფელში სარეზერვო შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა, გრაფმა **კლაუს ფონ შტაუფენბერგმა** ჩადო. წარუმატებელ შეთქმულებაში ვერმახტის რამდენიმე მაღალი რანგის გენერალიც მონაწილეობდა, რომლებიც შემდეგ სიკვდილით დასაჯეს, მათ შორის, **შტაუფენბერგი,** ხოლო საუკეთესო გერმანელ მთავარსარდალსა და შეთქმულებთან დაახლოებულ ფელდმარშალ **რომელს** შესთავაზეს, თავად მოესწრაფა სიცოცხლე. საბჭოთა დაზვერვის წარმომადგენლებს შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, **შტაუფენბერგის** უახლოესი თანაშემწე, **ობერ-ლეიტენანტი ჰეფტენი** შინსახკომის აგენტი აღმოჩნდა, ხოლო შეთქმულთა გარკვეული ნაწილი გერმანელი კომუნისტების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. ომის დასაწყისში გენერალ **პაველ სუდოპლატოვის** ხელმძღვანელობით, ნამდვილად შეიქმნა რამდენიმე დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფი, რომელთა მიზანი ნაცისტ ლიდერთა, პირველ ყოვლისა კი, ჰიტლერის განადგურება გახლდათ. თუმცა, მოკლე ხანში, როცა ფრონტებზე წითელი არმიის უპირატესობა გამოიკვეთა, სტალინმა ბერიას ამ განზრახვაზე ხელი აალებინა. **მისი აზრით, ჰიტლერის ნაადრევ ლიკვიდაციას გერმანიის სათავეში ლოიალური ხელისუფლების მოყვანა შეეძლო, რომელიც თანახმა იქნებოდა დაზავებაზე. სტალინს კი ომის სრული გამარჯვებით დასრულება და გერმანიის მხრიდან უპირობო კაპიტულაციის მიღწევა სურდა.**

# საინტერესოა, ძალთა როგორი თანაფარდობა იყო საზღვარზე ორ მეომარ ქვეყანას შორის ომის დასაწყისში?

თანაფარდობა ასეთი გახლდათ: ცოცხალი ძალის მხრივ გერმანელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ. საზღვრის მიღმა კონცენტრირებული იყო **4 მილიონ 300 ათასი გერმანელი ჯარისკაცი,** საზღვრის გამოღმა კი — **3 მილიონი საბჭოთა მებრძოლი.** თუმცა, ტანკებისა და თვითმფრინავების რაოდენობით საბჭოთა არმია მნიშვნელოვანი უპირატესობით სარგებლობდა — მის განკარგულებაში იყო სხვადასხვა კატეგორიის **10 ათასი ტანკი და 7700 თვითმფრინავი,** მაშინ, როცა გერმანელებს **3500 ტანკი და 4 ათასი თვითმფრინავი** ჰყავდათ. სწორედ მუხანათობის (მოულოდნელი თავდასხმის) გამოისობით მოახერხა მტერმა უმოკლეს ხანში საბჭოთა ჯავშანტექნიკისა და საველე აეროდრომებზე ბაზირებული თვითმფრინავების დიდი ნაწილის მწყობრიდან გამოყვანა, ხოლო გერმანელთა რაოდენობრივმა უპირატესობამ **(1 მილიონი ჯარისკაცით მეტი)** ომის პირველი პერიოდის ბედი გადაწყვიტა, რამაც ვერმახტს მოსკოვსა და სტალინგრადამდე მიღწევის საშუალება მისცა.

**შემდგომში, როცა წითელმა არმიამ ურალზე გადასროლილი ქარხნების დახმარებით თავისი თვითმფრინავების პარკი შეავსო, საჰაერო ძალების აშკარა უპირატესობით მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ომის მსვლელობაში და ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიაღწია.**





## ჰიტლერმა, გერინგმა, ჰიმლერმა და გებელსმა ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის მიერ ჩამოხრჩობის განაჩენის გამოტანამდე თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე. თუმცა, გებელსმა სიკვდილის წინ კიდევ ერთი მძიმე დანაშაული ჩაიდინა – საკუთარ უმანკო შვილებს სიცოცხლე მოუსწრაფა. როგორ მოხდა ეს?

მართლაც, ბერლინში საბჭოთა ტანკების შესვლისას **ჰიტლერმა და ევა ბრაუნმა** თავი მოიკლეს. ამერიკელებთან ტყვედ ჩავარდნილმა **ჰიმლერმა,** მისი ვინაობის ამოცნობის შემდეგ, კბილში დამალული კალიუმის ციანიდიანი ამპულით მოიწამლა თავი. ნიურნბერგის სატუსაღოში მყოფ **გერინგს** განაჩენის აღსრულების წინა დღეს ცოლმა პაემნისას ასეთივე ამპულა გადასცა. ნაკლებ იღბლიანი გამოდგნენ ნაცისტი დამნაშავეები — **რიბენტროპი, როზენბერგი, კაიტელი, იოდლი** და სხვები, რომლებმაც ტრიბუნალის განაჩენით სახრჩობელაზე დაასრულეს სიცოცხლე.

მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრმა და იმჟამად ბერლინის ჰაულაიტერმა **იოზეფ გებელსმა** და მისმა მეუღლე **მაგდამ** თვითმკვლელობამდე სიცოცხლე მოუსწრაფეს თავიანთ ექვს შვილს. ეს 1945 წლის 1 მაისს მოხდა. ერთი კვირის შემდეგ რაიხსკანცელარიის მთავარმა ექიმმა **ჰელმუტ კუნცმა** შემდეგი ჩვენება მისცა: „1 მაისს, საღამოს, რაიხსმინისტრი და მისი მეუღლე გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ ჩემთან და ბერლინიდან გაქცევა მირჩიეს.

— თქვენ რა გადაწყვიტეთ, ბატონო მინისტრო? — ვკითხე მე. გებელსმა არაფერი მიპასუხა, მაგდამ კი მომიგო: „ბერლინის ჰაულაიტერი და მისი ოჯახი რაიხის დედაქალაქში ბოლომდე დარჩებიან“. შემდეგ ოთახიდან დერეფანში გამიხმო და მიბრძანა, მორფით დამეძინებინა მისი შვილები, რომლებიც იმ დროს ბუნკერის ერთ-ერთ საძინებელში იმყოფებოდნენ. ბავშვებს კი უთხრა: **„ნუ შეგეშინდებათ, ახლა ექიმი კუნცი იმ აცრას ჩაგიტარებთ, რომელსაც ბავშვებს და ჯარისკაცებს უკეთებენ“.** ბრძანებას დავემორჩილე და ოთხ გოგონასა და ორ ბიჭუნას 0,5 გრამი მორფი შევუშხაპუნე. ნემსის გაკეთებას 5 წუთს მოვუნდი. კიდევ ხუთი წუთის შემდეგ ბავშვებს უკვე ეძინათ. საღამოს 20 საათი და 40 წუთი იყო. შემდეგ მაგდამ საკუთარი ხელით ბავშვებს სათითაოდ ჩაუდო პირში გატეხილი კალიუმის ციანიდიანი ამპულები.

შემდეგ მე და მაგდა გებელსის კაბინეტისკენ გავემართეთ. რაიხსმინისტრი სრულებით მშვიდად გამოიყურებოდა. მან ხელი ჩამომართვა და მადლობა გადამიხადა იმის გამო, რომ „ბავშვებს ხვედრი შევუმსუბუქე“. ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. ნახევარი საათის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებას ჩავბარდი. მოგვიანებით შევიტყვე, რომ იმავე საღამოს **მაგდამ და გებელსმა** ერთ-ერთ ჯარისკაცს უბრძანეს, ავტომატით დაეცხრილა ისინი. ჯარისკაცმა ბრძანება შეასრულა.

## მიხეილ ფიჩხაძის წიგნში ქართულ-ებრაული ურთიერთობების შესახებ მოხსენიებულია ვინმე ჰანა მოშიაშვილი, რომელიც თითქოსდა იოსებ ჯუღაშვილის აღმზრდელი და მისი დედის მეგობარი იყო, მართალია თუ არა ეს?



**ჰანა მოშიაშვილი** ნამდვილად არსებობდა, 112 წლის ასაკში საქართველოდან ისრაელში გადასახლდა და იქ სენსაციური განცხადება გააკეთა, თითქოს პატარა სოსო ჯუღაშვილს ძიძობდა და დედამისის უახლოესი მეგობარი იყო. ჰანას თქმით, სოსო მას **„დედა ჰანა, ჩემო დედიკოს“** ეძახდა. **ჰანა მოშიაშვილი** 1884 წელს დაიბადა გორში. შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ **იოსებ ჯუღაშვილი** — 1879 წელს, ხოლო **კეკე ჯუღაშვილი** 1858 წელს დაიბადნენ. ამგვარად, კეკე ჰანაზე — 26 წლით უფროსი, ხოლო ჰანა იოსებზე ხუთი წლით უმცროსი გახლდათ. აქედან დასკვნა შეკითხვის სახით — **შეეძლო თუ არა ერთი წლის ჰანას, 6 წლის იოსების ძიძა ყოფილიყო?**



## საბჭოთა მითოლოგიაში სტახანოვის ფიგურა ჰერაკლეს მსგავს ანტიკურ გმირად არის წარმოჩენილი. მართლა ასეთი ზეადამიანი იყო იგი?

**ალექსეი სტახანოვი,** ცხადია, სუპერმენი არ ყოფილა, თუმცა, მთლად ჩვეულებრივ ადამიანსაც ვერ უწოდებ. მას ათასობით პოეტმა შეასხა ხოტბა, ვინაიდან სათავე დაუდო სსრკ-ში უზარმაზარ მოძრაობას. **ალექსეი სტახანოვი** 1906 წელს დაიბადა ორლოვის გუბერნიაში და 19 წლიდან დონბასის მაღაროებში მუშაობდა. **1935 წლის 31 აგვისტოს „ცენტრალური ირმინოს“ მაღაროში მან არნახული შრომითი რეკორდი დაამყარა: 5 საათსა და 35 წუთში, ანუ არასრული სამუშაო დღის განმავლობაში, 102 ტონა ნახშირი მოიპოვა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, 14 დღიური ნორმა შეასრულა!** ძნელი დასადგენია, სინამდვილეში რა რაოდენობის ნახშირი მოიპოვა მან დამოუკიდებლად და რამდენი მიუმატეს, მაგრამ ფაქტია: **რეკორდის დამყარების მეორე დღესვე სტახანოვმა 3-ოთახიანი იზოლირებული, ავეჯით გაწყობილი ბინა, კურორტის უფასო საგზური და ადგილობრივ კლუბში ყველა ფილმსა და სპექტაკლზე დასასწრები სახელობითი ბილეთი მიიღო, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მთავარი ჯილდო — ი.ბ. სტალინის პირადი სალამი დაიმსახურა!**

სტახანოვის შემდგომი ბედი ასეთი გახლდათ: 1936-41 წლებში იგი სამრეწველო აკადემიაში სწავლობს. იმავე წელს პარტიის წევრი ხდება. 1937 წელს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ირჩევენ. იგი მეშახტეობას თავს ანებებს და მონაცვლეობით მუშაობს ხან შახტის უფროსად ყარაგანდაში, ხან — ნახშირის წარმოების სახალხო კომისარიატის აპარატში და ხანაც — ტრესტის მმართველის მოადგილედ. **სამწუხაროდ, საბჭოთა ჰერაკლე ალკოჰოლიკი იყო და სწორედ სასმელმა მოუღო ბოლო 68 წლის ასაკში.** სსრკ-ში იმჟამად ჩამოსულმა ფრანგმა მწერალმა ანდრე ჟიდმა, რომელიც ავტორი გახლდათ საბჭოეთში აკრძალული წიგნისა „დაბრუნება სსრ კავშირიდან“, ალექსეი სტახანოვის გმირობა შემდეგნაირად დაახასიათა: **„რუსი შახტიორის, ბატონი ალექსეი სტახანოვის ფანტასტიკური მიღწევების გაცნობისას ისღა დაგვრჩენია, თავი ვიმტვრიოთ — ნამდვილად არნახულ გმირობასთან გვაქვს საქმე თუ სტახანოვის რეკორდამდე ნახშირის მოპოვების ნორმა რუსეთში 14-ჯერ შემცირდა“.**



## როგორ გაიცნო კობამ თავისი პირველი მეუღლე კატო სვანიძე და რისგან აღესრულა იგი?

მომავალი მეუღლე **ეკატერინე სიმონის ასული სვანიძე** სტალინს იატაკქვეშა თანამებრძოლმა, **კატოს ღვიძლმა ძმამ ალიოშა სვანიძემ** გააცნო. კატო ღარიბი ოჯახის შვილი გახლდათ, მუშაობდა მრეცხავად, დღიურ მუშად, მკერავად. იგი მშობლებთან ერთად **ტფილისში, ფრეილინის ქუჩის №3** სახლში ცხოვრობდა. ახალგაზრდებმა ჯვარი მამა დავითის ეკლესიაში დაიწერეს. მათი ჯვრისწერის მამობილი **მიხა ცხაკაია** გახლდათ. ეკატერინე დაბადებიდან სუსტი და ავადმყოფი იყო, ხოლო მძიმე შრომამ და პროფესიონალი რევოლუციონერის ცოლობამ მთლად გატეხა იგი. **22 წლის კატო 1907 წლის 22 ნოემბერს მუცლის ტიფით გარდაიცვალა და 6 თვის იაკობი დების — მარიკოსა და საშიკოს იმედად დატოვა.** სტალინის პირველი ცოლი თბილისში, კუკიის სასაფლაოზეა დაკრძალული და მისი საფლავი დღემდეა შემონახული. სვანიძეების ნათესავის — მ. დვალის მოწმობით, სტალინი მეუღლის დაკრძალვაზე ბაქოდან ჩამოვიდა და ცხედრის მიწისთვის მიბარებისთანავე გაუჩინარდა. ერთ-ერთი ვარაუდით, იგი პოლიციას ემალებოდა.

## ამბობენ, რომ სტალინმა გადაჭრით უარყო გერმანელთა წინადადება, დატყვევებული ფელდმარშალი პაულიუსი თავის უფროს ვაჟზე გაეცვალა. ზოგიერთი მონაცემით, გერმანელებმა იაკობ ჯუღაშვილი სიკვდილით დასაჯეს, სხვა ვერსიით – მან თავი მოიკლა. შეეცადა თუ არა საბჭოთა მხარე მის გათავისუფლებას და რა მოხდა სინამდვილეში?



ასეთი მცდელობას ადგილი არ ჰქონია, თუმცა, **მოლოტოვი, ბერია და ვოროშილოვი** დაჟინებით ითხოვდნენ იაკობის გათავისუფლებას. **ბერია წინადადებას იძლეოდა, საკონცენტრაციო ბანაკის სიახლოვეს მედესანტე ჩეკისტთა ჯგუფი გადაესხათ პაველ სუდოპლატოვის ხელმძღვანელობით და ბელადის ვაჟის გაქცევა მოეწყოთ.** იყო სხვა წინადადებებიც, რომელთა მოსმენის შემდეგ სტალინი ერთსა და იმავეს ამბობდა: **„კეთილი, მაგრამ როგორ გავათავისუფლოთ გერმანელთა ტყვეობიდან სხვა საბჭოთა ლეიტენანტები? მედესანტეთა ამდენი ჯგუფი სად გამოვნახოთ?“**



წითელი არმიის უფროსი ლეიტენანტი **იაკობ ჯუღაშვილი** გერმანელებს სიკვდილით არ დაუსჯიათ, თუმცა, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ თავიანთი მიზნებისთვის ვერ გამოიყენებდნენ, განიზრახეს, საშინელი წამებით მოეღოთ მისთვის ბოლო. სიკვდილით დასჯა და ფირზე გადაღება 1943 წლის 14 აპრილს ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის მოედანზე უნდა შემდგარიყო, სადაც მობრძანდნენ ესესელი და გესტაპოელი მაღალჩინოსნები და კინოოპერატორი. **იაკობი ბადრაგის თანხლებით მოედანზე მიიყვანეს. იგი რამდენიმე წამში მიხვდა ყველაფერს, დრო იხელთა, კონვოის ხელიდან დაუსხლტა და მავთულხლართს ეცა, რომელშიც დენი გადიოდა.** ბადრაგმა გაქცეულს სროლა აუტეხა, მაგრამ ტყვიები უკვე უსულო სხეულში გაცივდა...

**ასე დააღწია თავი იაკობ ჯუღაშვილმა საზარელ წამებას და მამაც სირცხვილისაგან იხსნა. მის ნეშტს იმავე დღეს კრემაცია გაუკეთეს, ფერფლით სავსე ურნა კი ბერლინში გააგზავნეს. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია.**

# ★ ბელადის ბორბალი ტრიალებს!



იოსებ სტალინი და ნადეჟდა ალილუევა მანქანაში. 1922 წელი.

იოსებ სტალინის მიერ შექმნილი უდიდესი იმპერიული მანქანა — საბჭოთა კავშირი არასოდეს წყვეტდა ვარსკვლავებს ავტომანქანების მსოფლიო ინდუსტრიაში. თქვენ წინაშე წარმოდგენილი ავტომანქანებიც ისტორიის კუთვნილებად მხოლოდ იმიტომ იქცა, რომ ისინი საბჭოეთის ხალხთა დიდ ბელადს ემსახურებოდა. ცხადია, ამ ავტომანქანების ბორბლები კარგა ხანია, აღარ ტრიალებს, ბე(ლა)დის ბორბალი კი ტრიალს მის მიერ შექმნილი იმპერიული მანქანის — საბჭოთა კავშირის შექმნიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც აგრძელებს.



იმხანად დაჯავშნილი შუშებიდანაც კარგად ჩანდა უბრალო ხალხის ყოფა!




სტალინი, მოლოტოვი, მიქოიანი, ორჯონიკიძე და ლიხაჩოვი (მანქანას ეყრდნობა) ახლად გამოშვებული „ზის-101“-ის ფონზე. 1936 წელი.



გაცილებით მძიმეა ბელადის ხვედრი, ვიდრე დომკრატით ასაწევი 40-კილოიანი ფანჯარა!

# ვაი, რომ კრემლში აღარ



სტალინის „ზის-115“-ის მინაც „სტალივით“ მყარია!



საათი, რომელმაც გამარჯვების დიადი წუთები ათვალა






რადიო, რომელსაც ვერ ახშობდნენ ბურჟუაზიული პროპაგანდისტები



არ არის საბელადე საქმე სპიდომეტრზე ნულების მიწერა, აი, ვუბრძანებ და ხელსაც მოაწერინებენ!




მაშინ შეუფასებელი იყო, დღეს სულ რაღაც 270 მილიონ რუსულ ხელის ჭუჭყად შეაფასეს!




ეროვნებათა სახალხო კომისრის სტალინის მოწმობა, რომელიც მას ნებას რთავს, დაუბრკოლებლად გადაადგილდეს ავტომობილით მოსკოვის გუბერნიაში. 1922 წლის 22 ივნისი. დედანი.



„არ გამოსულა იგი კრემლიდან და არც გამოდის ხალხის გულიდან!"





ბელადს უბრალო ადამიანების სკამზეც უყვარდა გადაჯდომა!





მანქანაში ტროცკისტები, მავნებლები და ხალხის მტრები ვერ უნდა შემოხტნენ!

# «ზის»

ყველაზე ძვირადღირებული (დაახლოებით 270 მლნ. რუბლი) საბჭოთა ავტომობილი. **სტალინისათვის განკუთვნილი დაჯავშნილი 5-ტონიანი „ЗИС-115", რომელიც უძლებს ხელყუმბარის აფეთქებას და პირდაპირი ტრაექტორიით ნასროლ ტყვიას.** ფოტოებზე წარმოდგენილია 30-ანი წლების სტალინური კომფორტის პერიპეტიები: ფეხების მოხერხებული დასადები, შუალედური დამატებითი სკამი თარჯიმნისათვის **(თუმცა, აქ თავად სტალინს უყვარდა ჯდომა)**, ფაფუკი ხელის მოსაკიდი ღვედი, იდეალური მაუდის სკამი... ცნობისათვის: **კარების თითოეული შუშა 7,5 სმ სისქისაა და 40 კილოგრამს იწონის** (თავად კარები 250 კგ-ს), ხოლო გართულებული ხილვადობის გამო მძღოლებს ხშირად ექმნებოდათ მხედველობის პრობლემები, თანაც **შუშის ამწევი სტანდარტული მოწყობილობების ნაცვლად, ავტომობილში გამოყენებულია ე.წ. ჰიდრავლიკური დომკრატი შუშების სიმძიმესთან იოლად გასამკლავებლად.** ყურადღებას იქცევს სპიდომეტრის შკალაც, რომელზეც სიჩქარის მაქსიმალურ მაჩვენებლად რიცხვი **18**-ია მითითებული, რადგან ნულებისათვის ადგილი, უბრალოდ, აღარ დაკარგეს.

სტალინის „ЗИС-115"-ის სიგრძე **6 მეტრია,** საბურავების დიამეტრი — **80 სმ.** მანქანისათვის გამიზნული იყო კონდიციონერიც, რომელსაც საბარგულში საკმაოდ დიდი ადგილი უნდა დაეკავებინა, რის შემდეგაც ბარგისთვის ადგილი აღარ დარჩებოდა.

**ყურადღებას იქცევს კარების ჩამკეტი რკინის ჯაჭვიც, რათა მანქანის სალონში უცხო პირების შეღწევა გამორიცხული ყოფილიყო.** რაც შეეხება მძღოლის დასაჯდომ სივრცეს, იგი საგრძნობლად ვიწროა და არაკომფორტული. საჭე ლამის მუცელს ეხახუნება (არაღიპიანებშიც კი!). სიჩქარეების გადამრთველი პირველად საბჭოთა მანქანათმშენებლობაში უშუალოდ საჭეზეა დამონტაჟებული.

**162-ცხენისძალიანი 6 ლიტრი მოცულობის 8-ცილინდრიანი ძრავი 100 კილომეტრზე 30 ლიტრ ბენზინს მოიხმარს და საოცრად უხმაუროდ მუშაობს.** რაც მთავარია, მანქანას აქვს დაქოქვისა და აკუმულატორების სათადარიგო სისტემები, რათა შტატგარეშე სიტუაციაში არავითარი დაბრკოლება არ შეიქმნას.








კომფორტი არ უყვარდა, მაგრამ, კონსტრუქტორთა აზრით, ფეხებიც საიმედო ხელში უნდა იყოს!



110

*Пролетарии всех стран, соединяйтесь!*

СТРОГО СЕКРЕТНО

Всесоюзная Коммунистическая Партия (большевиков) ЦЕНТРАЛЬНЫЙ КОМИТЕТ

№ П1597. 18 апреля 193 г.

ЧЛЕНАМ И КАНДИДАТАМ ПОЛИТБЮРО: т.т.Ворошилову,Кагановичу,Кирову,Косиору Ст.,Куйбышеву,Микояну,Молотову,Орджоникидзе,Петровскому,Рудзутаку,Сталину,Чубарю.

СЕКРЕТАРЮ ЦК: т.Постышеву.

т.т.Михайлову (ВАТО), Дибец,Жданову,Пахомову,Прокофьеву,Акулову.

Рассылаю записку секретаря Нижкрайкома т.Жданова об Автозаводе. Из записки видно,что известное решение ЦК и СНК об Автозаводе выполняется лишь отчасти, и мы стоим, таким образом,перед угрозой невыполнения директивы центра о пуске завода в срок.Думаю, что в ближайшее время придется поставить вопрос об Автозаводе в порядке проверки исполнения.

СЕКРЕТАРЬ ЦК И. Сталин

Прил.экз.№____
на 7 листах.

სტალინის საიდუმლო მიწერილობა პოლიტბიუროს წევრებისადმი გორკის ავტოქარხნის მშენებლობის ნაკლოვანებათა შესახებ. 1931 წელი.



საბჭოეთი სტალინის მანქანის დარად მძლავრ საბურავებზე იდგა



იმხანად 162 ცხენის ძალაც აღმართს ხნავდა!



მძღოლისათვის ვიწრო, ბელადისათვის – ფართო.




საბჭოეთის საუკეთესო წლები „ჰერცოგოვინა ფლორისთან" ერთად დაიფერფლა!

ისტორიკოსის თვალით ★

# როგორ გაგრძელდა იოსებ სტალინის მკვლელობა



***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი* იმ პოლიტიკის სიგიჟეზე საუბრობს, რომელიც 1955 წლიდან ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გასანადგურებლად წამოიწყეს. მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვეყანაში დასადგურებულმა შიმშილმა, რომელიც ნიკიტა სერგეევიჩის სულელურმა კურსმა განაპირობა, 1964 წელს ხრუშჩოვის პოლიტიკურ სანაგვეზე მოსროლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა:**

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი" №10–14*





## სვიმონ მასხარაშვილი:

## ნოვოჩერკასკში, კაზაკების ისტორიულ დედაქალაქში, 1962 წლის 1–2 ივნისს აჯანყებამ იფეთქა და სისხლი დაიღვარა!

— სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ის სფეროები იყო, რომელიც სტალინის გარდაცვალების შემდეგ **ხრუშჩოვმა** ხელის ერთი მოსმით დაანგრია. როგორც ცნობილია, 1947 წლიდან სტალინმა ჩაატარა ფულადი რეფორმა და საბჭოთა მანეთი დოლარს მოწყვიტა. 30-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა მანეთი მართლაც მიბმული იყო დოლარზე, მაგრამ ბელადმა, რომელიც არ დათანხმდა მარშალის გეგმას, მაინც მოსპო რუბლის დოლართან მიჯაჭვულობა. იმავე პერიოდიდან, ყოველ გაზაფხულზე, საბჭოთა კავშირში ხელფასის ზრდასთან ერთად ყველა სახის პროდუქციაზე იკლებდა ფასი, ასორტიმენტიც სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა. ყველაზე მთავარი ის გახლდათ, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა არ ივსებოდა ნავთობდოლარებით და ქვეყანა ამ ყველაფერს ახერხებდა წმინდა ეკონომიკური რესურსით. როგორც ცნობილია, მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან სტალინმა მოახერხა და მსოფლიო დონის ნავთობმაგნატის, ეროვნებით სომეხი **გიულბეკიანის** მეშვეობით, საბჭოთა ნედლეული მსოფლიო ბაზარზე გაიტანა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა საბჭოთა ნავთობი ამა თუ იმ ქვეყანაში ირანული ნავთობის საფარქვეშ იყიდებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ნავთობდოლარები მაინც არ ყოფილა საბჭოთა ეკონომიკის პრიორიტეტი და ფუნდამენტი განსხვავებით ხრუშჩოვის პერიოდისა, როცა ნიკიტამ საბჭოთა ეკონომიკა ნარკომანივით შესვა ნავთობსა და გაზზე...

**— აღმოჩენილი იყო თუ არა 1947 წელს ციმბირის ნავთობისა და გაზის საბადოები, რითაც დღეს რუსეთი მთელ მსოფლიოს აშანტაჟებს?**

— ლავრენტი ბერიასა და საბჭოთა კავშირის ნავთობის მრეწველობის ყოფილი მინისტრის **ნიკოლაი ბაიბაკოვის** აქტიური მეცადინეობით, რომელიც მერე წლების განმავლობაში ქვეყნის „გოსპლანს" ხელმძღვანელობდა, რუსეთის დღევანდელი ნავთობისა და გაზის საბადოების უდიდესი ნაწილი დაზვერილიც იყო და აღმოჩენილიც, მაგრამ სტალინი საბჭოთა ეკონომიკის ასაღორძინებლად მათ გამოყენებას არ ჩქარობდა. 1952 წლის შემოდგომაზე იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამიერიდან სახელმწიფო კოლმეურნეობების მიერ ნაწარმოებ პროდუქციას ორმაგ ფასში შეისყიდდა. 1953 წლის ზაფხულში გიორგი მალენკოვმა ეს გეგმა გაახმაურა და უკვე შემოდგომიდან ეს ნოვაცია უნდა დანერგილიყო. არადა, ადრე კოლმეურნე ან კოლმეურნეობის არაწევრი, მაგალითად, მასწავლებელი ან ინჟინერი, რომელიც სოფლად ცხოვრობდა, ჰქონდა მიწა, ჰყავდა პირუტყვი და ნამეტის სახით რომელიმე პროდუქტს ბაზარზე გასაყიდად გაიტანდა, სახელმწიფოს საკმაოდ მაღალ გადასახადს უხდიდა. 1952-1953 წლიდან ეს გადასახადი ბევრ პროდუქტზე განახევრდა, ბევრზე კი საერთოდ გაუქმდა. **მალენკოვის ამ განცხადებამ 1954-1955 წლებში არნახული სტიმული მისცა სოფლის მეურნეობის განვითარებას. პარალელურად ძალიან დაიხვეწა და, ფაქტობრივად, უმაღლეს დონეზე ავიდა სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, ანუ „მტს"-ების შექმნა, რომლებსაც ძალიან მაღალკვალიფიციური ინჟინრები და მენეჯერები ემსახურებოდნენ.**

**— სოფლად გამოთავისუფლებულ მუშახელს, რომელიც მანქანა-ტრაქტორებმა ჩაანაცვლა, რა ბედი ეწია?**

— ომით დანგრეულ და გაჩანაგებულ ქვეყანაში მანქანა-ტრაქტორების სადგურების მიერ გამოთავისუფლებული მუშახელისთვის უდიდესი ასპარეზი იქმნებოდა ქალაქების, არხების, ჰესების, საწარმო-დაწესებულებებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ობიექტების ასაშენებლად ან აღსადგენად...

**— ცნობილია, რომ ხრუშჩოვმა ქვეყანაში პურის დეფიციტი შექმნა... მაინც რამ გამოიწვია ეს კრიზისი?**

— დავიწყოთ იმით, რომ 1932-1933 წლებში ე.წ. გოლოდომორს რომ აბრალებენ ყველაფერს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცილებით დიდი მსხვერპლი იყო, ვიდრე უკრაინასა და დანარჩენ საბჭოთა კავშირში. მაგალითად, თუ ამერიკის მოსახლეობა ყოველ ათ წელიწადში იზრდებოდა 19 მილიონით, 1930-1940 წლებში გაიზარდა მხოლოდ 8 მილიონით, ანუ, სულ მცირე, ათმილიონიანი კლება იყო.

ომის დროს უკრაინისა და წინა კავკასიის ყველაზე საუკეთესო სახნავ-სათესი ადგილები იავარქმნილი იქნა და მოსახლეობაც კატასტროფულად შემცირდა. ამ ყველაფრის აღსადგენად საჭირო იყო ხალხის მობილიზება, ნიადაგის აღდგენა-განაყოფიერება და ფინანსები, მაგრამ 1955 წელს, როცა ხრუშჩოვმა საბოლოოდ აიღო ძალაუფლება, გადაწყვიტა, პური მოეყვანა არა უკრაინაში, წინა კავკასიასა და რუსეთის ცენტრალურ შავმიწანიადაგიან ზოლში, არამედ ყამირ და ნასვენ მიწებზე — ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ ციმბირში. საუკუნეების განმავლობაში იქ ხორბალი არავის მოუყვანია და ნიადაგი ნამდვილად იყო ნოყიერი, მაგრამ ჰუმუსი, ანუ მინერალებით მდიდარი მიწის ფენა 3-4 სანტიმეტრს არ სცილდებოდა მაშინ, როცა იმავე მიწის ფენის სიღრმე უკრაინასა და ცენტრალურ შავმიწანიადაგიან ზოლში 15 სანტიმეტრსაც კი აღწევდა.

**— ეს სხვაობა რისი მაჩვენებელია?**

— ეს იმის მაჩვენებელია, რომ ე.წ. ყამირ მიწებზე მოსავლის მოყვანით ნიადაგს სამი-ოთხი წლის შემდეგ გამოფიტვისთვის სწირავდნენ. ამრიგად, 1955 წლიდან ხრუშჩოვმა უზარმაზარი ფინანსები, მუშახელი, ტექნიკა და სასუქი, რომელიც სტალინს ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ზოლისთვის ჰქონდა გათვალისწინებული, გადაიტანა ცენტრალური აზიისკენ და, ფაქტობრივად, ყველაფერი ქარს გაატანა. რაღაც პერიოდის განმავლობაში პურის მოსავლის ზრდა ნამდვილად შეიმჩნეოდა, მაგრამ როგორც ახლა ირკვევა, ისიც მხოლოდ და მხოლოდ იმ რეგიონების ხარჯზე, სადაც ხორბალი ისედაც მოჰყავდათ. უშუალოდ ყამირ მიწებზე ძალიან მცირე იყო ხორბლის მოსავლის ზრდა, სამაგიეროდ, იქ, სადაც პურის მოყვანის ტრადიცია არსებობდა, მოსავლიანობა კატასტროფულად შემცირდა. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირში პურის მოსავალმა იმდენად იკლო, რომ სულელმა ხრუშჩოვმა ქვეყანა შიმშილობამდე მიიყვანა. სწორედ ამაზე თქვა ჩერჩილმა — ხრუშჩოვმა მოახერხა და რუსეთი, რომელიც პურით მთელ მსოფლიოს ამარაგებდა, პურის გარეშე დატოვაო!

**— ხრუშჩოვს აკვიატებული ჰქონდა, რომ სოფელი ქალაქს უნდა დამსგავსებოდა!**

— ეს აკვიატება მას სტალინის სიცოცხლეშიც ჰქონდა, რის გამოც პოლიტბიუროდან კინაღამ გარიცხეს! ხრუშჩოვი მიიჩნევდა, რომ გლეხს ხელფასი უნდა მიეღო და იმ მონოკულტურის გარდა, რასაც თავად აწარმოებდა, ყველაფერი ქალაქში უნდა ეყიდა! გარდა ამისა, ხრუშჩოვმა გლეხებს სოფელში პურის საცხობის — თონისა და ფურნის ქონა აუკრძალა! მართალია, ადგილობრივი ხელმძღვანელები პურის ცხობის გამო ხალხს არაფერს ეუბნებოდნენ და, თუნდაც ქართლსა და კახეთში, სადაც ეს ტრადიცია უძველესი დროიდან არსებობს, თონეებს არ ანგრევდნენ, მაგრამ ფაქტია — **ხრუშჩოვმა გლეხებს სოფელში პურის გამოცხობა აუკრძალა!** ეს იყო უდიდესი სიგიჟე, რომელსაც ვერავინ აღუდგა წინ, ამასთან, ხრუშჩოვის ბრძანებით, უამრავი კოლმეურნეობა გააუქმეს და საბჭოთა მეურნეობად გადააკეთეს. გლეხებს დაენიშნათ ხელფასი, სამაგიეროდ, ისინი აღარ ქმნიდნენ დოვლათს, რასაც მოჰყვა სასურსათო კრიზისი და პროდუქტებზე ფასების მატება. თუ ამ ყველაფერს დავამატებთ იმ კრახს, რაც ხრუშჩოვის პოლიტიკამ ყამირ მიწებზე განიცადა, გასაგები გახდება, თუ რა უდიდესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა ქვეყანა!

**— როგორც ვიცით, ხრუშჩოვი ამ სიგიჟითაც არ დაკმაყოფილდა!**

— ცხადია, არ დაკმაყოფილდა და წამოიწყო მორიგი ავანტიურა — **„ხორცის დამზადებით დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას!"** ხრუშჩოვს ამ საქმეში მხარი აუბა რიაზანის საოლქო კომიტეტმა, სადაც ერთ წელიწადში მართლაც დიდი ოდენობით ხორცი დაამზადეს, მაგრამ იმის ხარჯზე, რომ საბჭოთა მეურნეობაში გაწევრიანებულ გლეხებს კერძო საკუთრებაში არსებული პირუტყვი წაართვეს, დაკლეს და ხორცი სახელმწიფოს ჩააბარეს!

1959-1960 წლებში საბჭოთა კავშირი ამერიკას ხორცის დამზადებაში მართლაც დაეწია და გაუსწრო, მაგრამ, იცით, რის ხარჯზე? ქვეყანაში მეწველი ძროხებიც კი გაჟუჟეს და მერე ამ ყველაფერს მიაყოლეს ცხენები და ვირები! შემდეგ წელს ქვეყანაში მეწველი ძროხა აღარ იყო... მომდევნო წელს იგივე ექსპერიმენტი ჩაატარეს ღორებზეც და კიდევ ერთი კრახი განიცადეს.

**— მოკლედ, ხრუშჩოვი და მისი ხროვა სტალინის მიერ აყვავებულ ქვეყანას ანგრევდნენ!**

— ხრუშჩოვმა ამოიჩემა — როგორც კუბაში მოჰყავთ, შუა აზიაშიც შაქრის ლერწამი უნდა მოვიყვანოო! მან უარი თქვა შაქრის ჭარხლის მოყვანაზე და სწორედ ამ მიზეზით გაჩნდა კარიესი, რაც მანამდე რეგიონში არქეოლოგიურად დადასტურებული არ იყო. მოკლედ, **1961 წლის ბოლოს ქვეყანაში ისეთი სასურსათო და პოლიტიკური კრიზისი შეიქმნა, რომ ნოვოჩერკასკში, კაზაკების ისტორიულ დედაქალაქში, 1962 წლის 1-2 ივნისს აჯანყებამ იფეთქა და სისხლი დაიღვარა.** ხალხი კარგად ხედავდა, რომ ხრუშჩოვი ქვეყანას შიმშილისა და სამოქალაქო ომის უფსკრულისკენ მიაქანებდა. სხვათაშორის, ნოვოჩერკასკში განვითარებულმა მოვლენებმა სერიოზული როლი ითამაშა 1964 წელს ხრუშჩოვის გადაყენების საქმეში. ბევრი მიხვდა, რომ ნიკიტა ხრუშჩოვი და მისი ხროვა სტალინის მიერ დატოვებული ძლევამოსილი და აყვავებული ქვეყნისგან აღარაფერს დატოვებდნენ!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***




*კადრი ანდრეი კონჩალოვსკის კინოშედევრიდან „ძვირფასო ამხანაგებო"!*

გენერალისიმუსი
2022 წლის 8 აგვისტო, №15-16 (139-140)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

***ამ რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილის „თავისუფალი ზონის“ აქტივისტმა ფარნაოზ ჭკადუამ, რომელსაც ცნობილი ექზიბიციონისტი კობა ხაბაზი ხელმძღვანელობდა, უფლებადამცველსა და „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტს ზაზა დავითაიას სოციალური ქსელის მეშვეობით ბოდიში მოუხადა იმ თავდასხმის გამო, რომელიც ჩვენს კოლეგაზე ამ რვა წლის წინათ თბილისში, ბულაჩაურის ქუჩაზე, „თავისუფალმა ზონელებმა“ განახორციელეს. ზაზა დავითაია ფარნაოზ ჭკადუას პასუხობს და აცხადებს, რომ იგი საქართველოს მტრად არ მიაჩნია, თუმცა, დგას მანკიერი და სისხლიანი სისტემის მხარეს და არის სააკაშვილის მსხვერპლი:***

**Pharnaoz Chkadua**
27 ივლისი, 18:35-ზე ·

რვა წლის წინ, 2014 წელს, ფიზიკური კონფლიქტი მომივიდა ქუჩაში ჟურნალისტ და ყოფილ პოლიტპატიმარ ზაზა დავითაიასთან, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო.
ჩვენ განსხვავებული პოზიციები გვაქვს, მაგრამ მე მჯერა რომ ზაზა დავითაია არის პატიოსანი კაცი და პატიოსნად დგას იმ პოზიციაზე რაზეც იდგა. არც მოღალატე არ არის, როგორც მაშინ ჩვენ დავარქვით, არც ფულს არ იღებს და დარწმუნებული ვარ არც აუღია საქართველოსთვის საწინააღმდეგო საქმისთვის. ამ გადმოსახედიდან მივხვდი რომ ჩემი მხრიდან იყო გადამეტება და ამის გამო ბოდიშს ვუხდი პირადად მას და ისიც ალბათ ხვდება რომ მე საქართველოსთვის ცუდი არ მინდა...
რა თქმა უნდა, ჩვენ დღემდე ვრჩებით მდინარის სხვადასხვა ნაპირას განსხვავებული პოზიციური შეხედულებების გამო.
ვითხოვ საჯაროდ მიტევებას ზაზა დავითაიასგან.






# ზაზა დავითაია:

# ფარნაოზ ჭკადუამ, ფაქტობრივად, შენდობა იმის გამო მთხოვა, რასაც ცნობილი აგენტი და პროვოკატორი ელისტრაკო კილაძე იმეორებდა და დღესაც იმეორებს!

— 2014 წლის 30 სექტემბერი იდგა, როცა ნაცმოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაციის „თავისუფალი ზონის“ აქტივისტები იმ კორპუსთან, რომელშიც გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქცია მდებარეობს, თავს დამესხნენ. ამ დროს ვიყავი სრულიად მარტო და მივდიოდი თათბირზე, რომელიც რედაქციაში უნდა გამართულიყო. ამთავითვე აღვნიშნავ, რომ „თავისუფალი ზონის“ წევრებს, თავიანთი ახალგაზრდული ასაკიდან გამომდინარე, ხელისუფლებაში მყოფი ნაცმოძრაობის შავბნელ საქმეებთან კავშირი არ ჰქონდათ, სამაგიეროდ, ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ათას პოლიტიკურ დირეზე გადამხტარი **კობა ხაბაზი,** რომელიც სააკაშვილის ბინძური რეჟიმის დამქაში გახლავთ.

**— მაინც რამდენი კაცი დაგესხა თავს?**

— როგორც მახსოვს, ათი კაცი მაინც იქნებოდა, მათ შორის იყვნენ **ფარნაოზ ჭკადუა** და **დავით გოგოხია.** არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყო ჩასაფრებაც, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ კარგა გვარიანად დამლეწეს და საავადმყოფოში აღმოვჩნდი. ამ თავდასხმას მოჰყვა საზოგადოების საპროტესტო აქციები „თავისუფალ ზონასთან“ და პროკურატურამაც საქმეს მსვლელობა მისცა: **ვაზზასმით ვაცხადებ — საჩივარი არსად შემიტანია და სისხლის სამართლის გამოძიება მომხდარ ფაქტზე დაიწყო.**

კოჰაბიტაციის მახინჯი პრეცედენტიდან გამომდინარე, საქმეზე განაჩენი 2018 წლამდე, მთელი ოთხი წლის განმავლობაში, არ დამდგარა. **ფარნაოზ ჭკადუამ და დავით გოგოხიამ,** რომლებიც საქმეში დამნაშავეებად არიან ცნობილი და სამი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად მიესაჯათ, ამ ოთხ წელიწადში არაერთხელ გადაკვეთეს საქართველოს საზღვარი და ჩავიდნენ უკრაინაში თავიანთ ბელადთან — მიხეილ სააკაშვილთან, რასაც მათი ერთობლივი ფოტოსურათებიც ადასტურებს!

**— ანუ პირებზე სისხლის სამართლის გამოძიება იყო დაწყებული და სახელმწიფო მათ საშუალებას აძლევდა, ქვეყნის საზღვრები დაეტოვებინათ?**

— დიახ, ეს იყო საზიზღარი კოჰაბიტაციის შედეგი, რომლის მავნე რეციდივებიც დღემდე გრძელდება! როცა **ფარნაოზ ჭკადუასა და დავით გოგოხიას** წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, არცერთი დამნაშავე საქართველოში არ იმყოფებოდა. ცრუპენტელა და პროვოკატორი **სააკაშვილი,** როგორც მას სჩვევია, მაშინვე გამოხტა და პოლონეთის პრეზიდენტს სთხოვა, პოლიტიკური თავშესაფარი მიეცა ჭკადუასა და გოგოხიასთვის, რადგან ისინი, თურმე, არა ჟურნალისტზე თავდასხმის, არამედ რაღაც ვებ-გვერდის შექმნის გამო იდევნებოდნენ საქართველოში! **გამოხდა ხანი და ფარნაოზ ჭკადუამ, რომელსაც საქართველოში შვილი ჰყავს, სოციალურ ქსელში დაწერა, რომ შეცდა, როცა „რუსეთის აგენტად“ მიმიჩნია და შენდობა ითხოვა.** მართლმადიდებელი კაცი ვარ და ფარნაოზ ჭკადუას, ცხადია, შევუნდობ, მაგრამ შენდობა არამც და არამც არ ექნება იმ ბნელ და სისხლიან რეჟიმს, რომელმაც სააკაშვილის მეთაურობით უამრავი ადამიანი მოკლა, გააუპატიურა, აწამა, გაამწარა და ქვეყნის ტერიტორიები გაასხვისა! **ფარნაოზ ჭკადუამ, ფაქტობრივად, შენდობა იმის გამო მთხოვა, რასაც ცნობილი აგენტი და პროვოკატორი, თვითგამოცხადებული „ჟურნალისტი“ ელისტრაკო კილაძე იმეორებდა და დღესაც იმეორებს!**

არ ვიცი, შეუნდობს თუ არა მას სასამართლო და გამოძიება, მაგრამ პირადად ჩემგან ფარნაოზ ჭკადუას შენდობა აქვს და მიხარია, რომ ამ კაცს მაინც აღმოაჩნდა შინაგანად იმის ძალა და ვაჟკაცობა, რომ მოენანიებინა.

**— ჭკადუას ნაბიჯი სააკაშვილის სექტაში, დარწმუნებული ვარ, განსჯისა და წინააღმდეგობის მიზეზი გახდება.**

— **კიდევ ერთხელ ვიმეორებ:** ჩემი შენდობა არასოდეს ექნება სააკაშვილის გარყვნილ და სისხლიან რეჟიმს, მაგრამ, თუ ფარნაოზ ჭკადუას მსგავსად კონკრეტული ადამიანები მოინანიებენ და საკუთარი სულის ცხონებისკენ ნაბიჯს გადადგამენ, ეს, უპირველეს ყოვლისა, მათ წაადგებათ!

**— დავით გოგოხიამაც ხომ არ გამოხატა მსგავსი მონანიების სურვილი?**

— დავით გოგოხიასგან მონანიების სურვილი არ დამინახავს, შესაბამისად, რომ შევუნდო, მაშინ ხელს შევუწყობ იმაში, რომ უარესი დანაშაული ჩაიდინოს! ჩვენ მოვდივართ 90-იანი წლებიდან, როცა კრემლის მიერ მართულმა ძალებმა საქართველოს დამოუკიდებლობას ტყვია ესროლეს... საშინელი დანაშაულობანი იქნა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ჩადენილი და თუ ერმა შინაგანად არ გამონახა იმის ძალა და რესურსი, რომ კონკრეტული დამნაშავეების მონანიება შეიწყნაროს, მაშინ მომავალი არ გვექნება! რაც შეეხება სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, იგი აუცილებლად უნდა გასამართლდეს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## რაკურსი

***სააკაშვილი ტრაგიკული ფიგურა კი არის, თუმცა, შექსპირისეული ჰამლეტის ყოფნა-არყოფნის დილემაში თუ აღმოჩნდებოდა და მთლად იმქვეყნიური აჩრდილიც თუ ეწვეოდა, ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდა!***









საქმე ის არის, რომ სააკაშვილს, რომელმაც განაცხადა — **აღარც ქართული პოლიტიკა მინდა და აღარც ნაცმოძრაობა მაინტერესებს, ოღონდ გამიშვით აქედანო,** ამ პოლიტიკური დეზერტირობის, ანუ პოლიტიკური თვითმკვლელობის განხორციელებაში ადვოკატები **ვალერი გელბახიანი და შალვა ხაჭაპურიძე** ეხმარებიან.

ახლა გავიხსენოთ, რა პოლიტიკური წარსული აქვს ამ დუეტს: **დიახ, ისინი 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ გადამდგარი სააკაშვილის მიერ გამოცხადებულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის — ბადრი პატარკაციშვილის უახლოესი გარემოცვის წევრები და საარჩევნო შტაბის ლიდერები იყვნენ!** ანუ პატიმარი სააკაშვილის საქართველოდან სამარცხვინო გაქცევის ოპერაციას სააკაშვილის ბრძანებით, 2008 წლის 4 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე **ლონდონში მოკლული ბადრი პატარკაციშვილის ორი უახლოესი თანამებრძოლი** ხელმძღვანელობს! ამ შემთხვევაში ნაკლებად საინტერესოა, გაიყიდნენ თუ არა დატუსაღებული **სააკაშვილის ფულზე გელბახიანი და ხაჭაპურიძე**

— მთავარი ის არის, რომ სწორედ ბადრი პატარკაციშვილის ძველი თანამებრძოლები ხელმძღვანელობენ სააკაშვილის პოლიტიკური თვითმკვლელობის ოპერაციას!

გაუშვებენ თუ არა სააკაშვილს უცხოეთში სამკურნალოდ, მართლა აიღებს თუ არა ის ხელს ქართულ პოლიტიკაზე, ამასაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან **სააკაშვილი, რომელიც საქართველოში, მისი თქმით, „ქვეყნის გადასარჩენად“ ჩამოვიდა, ახლა ამ „გადასარჩენი ქვეყნიდან“ გაქცევისთვის მზად არის და იხვეწება — აღარაფერი მინდა, ოღონდ გამიშვითო!** ეს რომ საბოლოო პოლიტიკური გაფარჩაკება და პოლიტიკური ხარაკირია, ვგონებ, წყალი არ გაუვა! აი, სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ სააკაშვილს მისი ბრძანებით მოკლული და გაძარცული ბადრი პატარკაციშვილის ცოდვამ უწია!

**და არც უიმისობა იქნება, რომ ღამღამობით ბადრის აჩრდილიც ეცხადებოდეს სახეზე დამცინავი ღიმილითა და ულვაშის ჩაგრეხით — მიშას რაო?!**

***გიორგი გიგაური***

# ბადრი პატარკაციშვილის ძველი თანამებრძოლები სააკაშვილის პოლიტიკური თვითმკვლელობის ოპერაციას ხელმძღვანელობენ!

დასაწყისი იხ. „ა-დ“ №20-32

***ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე 2001 წლის ნოემბერში დაგეგმილი, მაგრამ ჩაფლავებული სახელმწიფო გადატრიალების ბევრისთვის უცნობ პერიპეტიებს იხსენებს და საქართველოს ხელისუფლებას განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებს:***





## მაყვალა ბერიანიძე:

# სანდრა რულოვსის საქართველოში ჩამოყვანა და მიხეილ სააკაშვილთან მისი დაქორწინება სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ოპერაცია იყო!

— 2003 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე არანაირი ნიშან-წყალი არ არსებობდა, რომ საქართველოში ხელისუფლება შეიცვლებოდა, მაგრამ ცვლილება მაინც მოხდა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მსგავსი ცვლილების მოლოდინი არც ახლა არსებობს, რადგან ოპოზიცია თავიდან ბოლომდე გაკოტრებულია, მაგრამ ხელისუფლებას მაინც დიდი სიფრთხილისა და წინდახედულობის გამოჩენა მართებს, რადგან, ჩემი ინფორმაციით, ჯერ კიდევ ადრიან გაზაფხულზე ბიძინა ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური გუნდის წინააღმდეგ დაიწყო ფარული და საშიში პროცესი, რომლის შავბნელი რეციდივები ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის გამოაშკარავებული!

**— თქვენ ასეთ რამეს ტყუილად არ იტყოდით და, ბოლოს და ბოლოს, გახსენით კარტები!**

— შვეიცარიაში მოღვაწე ჩვენმა გავლენიანმა თანამოქალაქემ მომაწოდა სკანდალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გავლენიანი შვეიცარიული ბანკი „კრედიტ სუისი“, რომელმაც ბიძინა ივანიშვილთან უკვე მეორე სასამართლო პროცესი წააგო და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ უკანონოდ მიტაცებული 600 მილიონი დოლარის დაბრუნება მოუწევს, დაუკავშირდა ევროპული პოლიტიკის გრანდებს და უკანონო საქმიანი გარიგება შესთავაზა!

**— მაინც რა გარიგებაზეა ლაპარაკი?**

— როგორც კონფიდენციალურად განმიცხადეს, სწორედ იმ დღეებში, როცა 308 ევროდეპუტატმა, ფაქტობრივად, სანქციები დაუწესა საქართველოსა და ბიძინა ივანიშვილს, შვეიცარიული ბანკის — „კრედიტ სუისის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საიდუმლოდ შეხვდნენ ევროსაბჭოს პრეზიდენტს **შარლ მიშელსა** და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს **ჟოზეფ ბორელს.** შეხვედრაზე გაჟღერდა ასეთი პირობა — თუ საქართველოსა და ბიძინა ივანიშვილს, როგორც „პუტინის სატელიტებს“, სანქციები დაუწესდებოდათ, მაშინ „კრედიტ სუისი“ ბიძინა ივანიშვილისაგან უკანონოდ მიტაცებული 600 მილიონი ამერიკული დოლარის 40 პროცენტს ევროკავშირისა და ევროსაბჭოს გრანდებს გადაუხდიდა!

**— ეს ძალიან სკანდალური ინფორმაციაა და საინტერესოა, ვინ და როგორ უნდა გადაამოწმოს?**

— ვიცი, რომ ინფორმაცია სკანდალურია, მაგრამ ამ ყველაფრის გადამოწმება შესაძლებელია ერთადერთი გზით — იმ დღეებში, როცა 308 ევროდეპუტატმა საქართველოსა და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ რეზოლუცია მიიღო, ხომ არ მოხდა კვეთა „კრედიტ სუისის“ თანამშრომლებსა და ევროჩინოსნებს შორის? თუ მათ შორის კონტაქტი დადასტურდება, აი, მერე უკვე ძალიან ადვილი იქნება მოვლენათა ჯაჭვის აწყობა და ყველაფრის თავის ადგილზე დალაგება!

**— გავაგრძელოთ ჟვანია-სააკაშვილის გუნდის სახელისუფლებო ამბიციებზე საუბარი!**

— როცა 2001 წლის 1 ნოემბერს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ზურაბ ჟვანიას რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები აუფრიალეს, დარბაზში დიდი დაპირისპირება მოხდა და **კახა თარგამაძემ** ჟვანიას შეურაცხყოფა მიაყენა...

**— მაინც რა უთხრა თარგამაძემ ჟვანიას?**

— იმ სიტყვას ვერ გავიმეორებ, თუმცა, გეტყვით, რომ ეს იყო საშინელი შეურაცხყოფა!

**— კი მაგრამ, კახა თარგამაძე და ზურაბ ჟვანია რატომ დაეტაკნენ ერთმანეთს?**

— მიზეზი ბევრი იყო, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში **ზურაბ ჟვანიამ** კახა თარგამაძისკენ გაიშვირა ხელი და სწორედ მას დააბრალა, რომ ამერიკელებს მისი და მისი გუნდის მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები საქართველოს შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა გადასცა. არადა, ამ საკითხზე შევარდნაძეს გადადგომის შემდეგაც არაერთხელ ველაპარაკე და სულ ერთსა და იმავეს მიმეორებდა — ამ სკანდალური დოკუმენტების არსებობის შესახებ თავად სააკაშვილმა მითხრა და მერე მე ამერიკელებს ვუთხარი, რომლებიც ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტზე, მდებარე ერთ-ერთ ოფისში ფანჯრიდან გადაძვრნენ და ჟვანიასა და მისი გუნდის მაკომპრომეტირებელი დოკუმენტაცია ამოიღესო!

შევარდნაძემ ისეც კი მითხრა — შემიძლია, ხატზე დავიფიცო, რომ კახა თარგამაძემ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ჟვანიას კი ვარწმუნებდი, რომ თარგამაძე არაფერ შუაში იყო, მაგრამ არ ვეუბნებოდი, სინამდვილეში რა მოხდა და ვინ იდგა ამ ყველაფრის უკანო!

ჟვანიასა და თარგამაძეს შორის დაპირისპირება რომ მოხდა, აი, სწორედ მაშინ კახა თარგამაძეც მივიდა შევარდნაძესთან და უშიშროების საბჭოს სხდომაზე პირდაპირ უთხრა — **რომ მიდიხარ, სად მიდიხარ, ამის ხელში გვტოვებ? ვერსადაც ვერ წახვალო!** აი, სწორედ მაშინ თქვა მან ჟვანიას მისამართით ძალიან ცუდი სიტყვა. გაბრაზებულმა ჟვანიამ გა-






**„ამას პირველად ვამბობ: საპატრულო პოლიციის შექმნის პროექტი თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად დავწერე და შევარდნაძეს მაგიდაზე დავუდე. ედუარდმა პროექტს გადახედა – „შესანიშნავია!“ – თქვა, თუმცა, მერე დაამატა – „ახლა არა, მაგრამ პატრულს რამდენიმე წელიწადში ჩვენი ბიჭები შექმნიან!“**

## კვირგვინოსნები

**დათო ოქიტაშვილი**
*საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი*



დღეს, როცა რუსეთი უკრაინასთან ომობს და იქ ბავშვები იხოცებიან, **ყველამ თავი უნდა შეიკავოს რუსეთში წასვლისა და კონცერტების გამართვისგან.** რა თქმა უნდა, ხელოვნებას საზღვრები არა აქვს, მაგრამ **ახლა რომ ჩახვალ და ოკუპანტს უმღერებ, დიდი უზნეობა მგონია.** ეს მუხანათურად დახოცილი ადამიანების შეურაცხყოფაა.

„კვირის პალიტრა“

**ლია მუხაშავრია**
*ადვოკატი*



როცა იცი, რომ **რუსეთი შენი დაუძინებელი მტერია,** ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო, რომ მასთან ეკონომიკური ურთიერთობა გინდოდეს. სამარშრუტო ტაქსიში რუსულ პოპმუსიკას რომ უსმენენ, ვინ იცის, რამდენჯერ მითხოვია: გამორთეთ, **რუსეთი ჩვენი მტერია,** უამრავი კარგი სიმღერა არსებობს და რაღა მაინცდამაინც რუსული უნდა მოვისმინოთ-მეთქი.

„კვირის პალიტრა“

**იმედა კახიანი**
*საქართველოს სახალხო არტისტი*



მინდა, **ზიმბაბვესა და მოზამბიკთანაც** კარგი ურთიერთობა გვქონდეს, მითუმეტეს, **რუსეთთან,** რომელიც ჩვენი კარის მეზობელია და ნებისმიერ დროს შეუძლია, ზიანი მოგვაყენოს. **რუსული სიმღერების აკრძალვაც არ მიმაჩნია გამართლებულად. თუ ასე ვიმსჯელებთ, არ წავიკითხოთ პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი.**

„კვირის პალიტრა“

**დათო ევგენიძე**
*მუსიკოსი*



მე არ ვეთანხმები ევროსაბჭოს გადაწყვეტილებას, მათ კითხვის ნიშნებს ჩვენს ქვეყანაზე. **ჩვენ ევროპა ვართ უკვე დიდი ხანია!** ფურცელზე ევროპა ვერ გახდები. **ჩვენი მენტალიტეტიდან, ჩვენი მწერლობიდან და კულტურიდან გამომდინარე საქართველო ყოველთვის ევროპის ნაწილი იყო.**

„კვირის პალიტრა“

# „შევარდნაძეს ჩემთვის ნათქვამი აქვს, რომ

**ნინო ბურჯანაძეს ძალიან ლობირებდა მისი ნათლია ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელიც ედუარდთან კრწანისის რეზიდენციაში გამართული ქეიფების დროს შევარდნაძეს გამუდმებით ახსენებდა — ნინო პარლამენტის თავმჯდომარედ საუკეთესო კანდიდატი იქნებაო!“**



დაწყვიტა, დაეტოვებინა უშიშროების საბჭოს სხდომა. სწორედ ამ დროს მას შევარდნაძემ მიმართა და გააფრთხილა — **ზურა, სხდომიდან არ გახვიდე და აჟაურობა არ დატოვო, თორემ ყველაფრის დატოვება მოგიწევსო!** შევარდნაძის გაფრთხილების მიუხედავად, 2001 წლის 1 ნოემბრის უშიშროების საბჭოს სხდომა ჟვანიამ მაინც დატოვა, გამოიქცა პარლამენტში და შევიდა თავის კაბინეტში, სადაც მას დახვდნენ: **გიორგი ბარამიძე, დათო ტყეშელაშვილი** და მთელი მისი გუნდი... ჟვანიას კაბინეტში შეკრებილი ბიჭები ხატავდნენ...

**— ვინ რას ხატავდა?**

— მაგალითად, მხატვარი **გია ბუღაძე** კახა თარგამაძის კარიკატურას ხატავდა, რომელიც მერე ჟვანიას კაბინეტიდან პირდაპირ პარლამენტის შენობის წინ გამართულ აქციაზე გამოიტანეს და დაწვეს. ამასობაში შევარდნაძემ გადადგომა გადაიფიქრა და პარლამენტში აღარ მოვიდა, სამაგიეროდ, ზურაბ ჟვანია გამოვიდა კაბინეტიდან, მივიდა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე და განაცხადა — **გადადგეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძეო!**

**— ამ დროს თარგამაძე სად იყო?**



— ამ დროს თარგამაძე პარლამენტში არ იმყოფებოდა, გარეთ იყო. სხვათაშორის, ზურაბ ჟვანიამ ესეც თქვა — თარგამაძე გარეთ დადის, ყურადღებასაც კი არ გვაქცევს და პარლამენტს პატივს არ სცემსო! ამ განცხადებიდან სულ ცოტა ხანში კახა თარგამაძე შემოვიდა პარლამენტში და გააკეთა ასეთი განცხადება — **მე გადავდგები იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის თავმჯდომარეც გადადგებაო!** დარბაზში გამაოგნებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობა, ბევრი ვერ ერკვეოდა, თუ რა ხდებოდა. ზურაბ ჟვანიამ, რომელსაც ეგონა, რომ კენჭს არ უყრიდნენ, მაშინ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა და პარლამენტს მიმართა — **კი ბატონო, მე უკვე გადავდექი და კახა თარგამაძეც გადადგესო!**

ჟვანია, რომელიც პარლამენტის ტრიბუნიდან ჩამოდიოდა, კახა თარგამაძემ იქვე შეაჩერა და უთხრა — მოიცა, მოიცა, ჯერ კენჭი უყარე, რომ ნამდვილად გადადექი და მერე ჩამოდი მაქედანო! თარგამაძემ ძალიან კარგად იცოდა, რომ, თუ კენჭისყრა არ იქნებოდა, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე გადაყენებულად არ ჩაითვლებოდა. **აი, ასეთ სიტუაციაში ჟვანიას გადადგომას კენჭი უყარეს და ზურა პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს.**

ამის შემდეგ კახა თარგამაძე ტრიბუნაზე ავიდა და თქვა — მე შინაგან საქმეთა მინისტრობიდან გადავდექიო! თარგამაძემ პარლამენტის შენობა დატოვა და მარტო წავიდა, ხოლო ზურაბ ჟვანია გავიდა პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე, სადაც მას მოსკოვიდან ახლად ჩამოფრენილი **მიხეილ სააკაშვილი** დახვდა. ხალხი ტაშს უკრავდა ზურაბ ჟვანიას გადადგომას, ხოლო მიტინგზე გაისმოდა — **„მიშა-მიშა!“** ამის შემდეგ თუ ვინმე მეტყვის, რომ ჟვანია და სააკაშვილი მეგობრები იყვნენ და ჟვანიამ გაზარდა მიშა, ეს იქნება აბსურდი!



**— ნინო ბურჯანაძე ამ დროს სად იყო?**

— **ნინო ბურჯანაძე** ამ დროს პარლამენტში იყო. სააკაშვილს ეგონა, რომ მას აირჩევდნენ პარლამენტის თავმჯდომარედ. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ შევარდნაძის გადადგომა მის ინტერესშიც იქნებოდა, რადგან სააკაშვილი გახდებოდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში პრეზიდენტი, რადგან სააკაშვილი 35 წლის 2002 წლის 21 დეკემბერს გახდა და 2001 წელს საპრეზიდენტო ასაკი ჯერ კიდევ არ ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე წამოსწიეს **ნინო ბურჯანაძის** კანდიდატურა, რომელსაც დაუპირისპირეს **ვაჟა ლორთქიფანიძე,** ხოლო, თუ რა მოხდა და როგორ აირჩიეს ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარედ, ეს ცალკე ისტორიაა.

# „ვაჟა ლორთქიფანიძისა და ნინო ბურჯანაძის ორთაბრძოლაში ედუარდ შევარდნაძე ფარულად მხარს ბურჯანაძეს უჭერდა!“

**— მაინც როგორ აირჩიეს?**

— შევარდნაძეს ჩემთვის ნათქვამი აქვს, რომ **ნინო ბურჯანაძეს** ძალიან ლობირებდა მისი ნათლია **ჯანსუღ ჩარკვიანი,** რომელიც ედუარდთან კრწანისის რეზიდენციაში გამართული ქეიფების დროს შევარდნაძეს გამუდმებით ახსენებდა — ნინო პარლამენტის თავმჯდომარედ საუკეთესო კანდიდატი იქნებაო! ცხადია, ამ საქმეში პირდაპირ იყო ჩართული ნინო ბურჯანაძის მამა, თერჯოლის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, „პურპროდუქტების კორპორაციის“ ხელმძღვანელი და ცნობილი მილიონერი **ანზორ ბურჯანაძე.** შევარდნაძემ ერთხელ ღიმილით მითხრა — ჯანსუღი ძალიან იყო მოწადინებული ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარედ დანიშვნით, ეტყობა, „რევოლუციონერებთან“ საქმე ჰქონდა ჩაწყობილი, რათა მისი ლექსი და სიმღერა — „თავისუფლება ლომთა ხვედრია“ ერთად ემღერათო! შევარდნაძე ბურჯანაძისგან ღალატს არ მოელოდა და ამას ძალიან მტკივნეულად განიცდიდა...

**— მაინც როგორ განიცდიდა?**

— მახსოვს, ერთხელ ედუარდმა **ბურჯანაძე** ისეთი სიტყვებით მოიხსენია, გავშრი! იმას აქ ვერ გავიმეორებ. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანა რომ იგეგმებოდა, ეს ცხადია და მიშამ რომ „გადატრიალება“ მოუწყო, ამას დიდად არც ნაღვლობდა და ხუმრობდა და ღლაბუცობდა კიდეც, მაგრამ ბურჯანაძეს ღალატს ვერ აპატიებდა და თავის თავზე ბრაზდებოდა — ახია, ჩემს თავსო!

**— თქვენ ხშირად ამბობთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანა იგეგმებოდა! მაინც როგორ? შეგიძლიათ, კონკრეტული ფაქტი მოიტანოთ?**

— წინა ინტერვიუში შემთხვევით არ მიხსენებია — ნაციონალური მოძრაობა შევარდნაძემ შექმნა-მეთქი! 2000 წელი იდგა, საპრეზიდენტო არჩევნები ჯერ კიდევ არ იყო ჩატარებული, როცა ერთგან წავაწყდი მურმან ლებანიძის ლექსს, სადაც ნახსენები იყო სიტყვა — **„პატრული“.** იმ ფონზე, როცა სახელმწიფო ავტოინსპექცია აბსოლუტურად დემორალიზებული და კორუმპირებული სტრუქტურა გახლდათ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა და ქვეყანას სახელს უტეხდა, მომივიდა იდეა, შექმნილიყო **საპატრულო პოლიცია,** რომელიც სისტემას მთლიანად ჩაანაცვლებდა და ქვეყანას სულ სხვა იმიჯსა და სახეს შეუქმნიდა. ამას პირველად ვამბობ: **საპატრულო პოლიციის შექმნის პროექტი თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად დავწერე და შევარდნაძეს მაგიდაზე დავუდე. ედუარდმა პროექტს გადახედა — „შესანიშნავია!“ — თქვა, თუმცა, მერე დაამატა — „ახლა არა, მაგრამ პატრულს რამდენიმე წელიწადში ჩვენი ბიჭები შექმნიან!“** მაშინ მე კიდევ ვერ ვხვდებოდი ბევრ რამეს, მაგრამ, როცა 2003 წელს სააკაშვილი მოვიდა და სწორედ საპატრულო პოლიციის შექმნით დაიწყო რეფორმები, ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა. ასე რომ, მეტი მტკიცებულება რაღა მოგიტანოთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანა შეთანხმებული და გადაწყვეტილი იყო? გამოვიდეს **გიული ალასანია** და თქვას, რას ეუბნებოდა სააკაშვილი ამერიკაში, როცა ის კოლუმბიის უნივერსიტეტში რამდენიმეთვიან კურსებს გადიოდა! დიახ, მაშინ სააკაშვილმა დედამისს უთხრა, რომ საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდა!

სანდრა რულოვსის საქართველოში ჩამოყვანა, მერე მისი და მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ შეხვედრა და დაქორწინება სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ოპერაცია გახლდათ, რომლის ფინალიც ხელისუფლებაში სააკაშვილის ერთპიროვნული მოსვლა იყო!

**— მივუბრუნდეთ ნინო ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას! რა მოხდა მაშინ პარლამენტში?**

— ზუსტად ვიცი, რომ შევარდნაძეს ჰქონდა ორი არჩევანი — ან გამოცდილი და ყოველმხრივ გაწონასწორებული **ვაჟა ლორთქიფანიძე** უნდა გამხდარიყო პარლამენტის თავმჯდომარე, ანდა მორჩილი და შედარებით ურეიტინგო **ნინო ბურჯანაძე.** ვაჟა ლორთქიფანიძისა და ნინო ბურჯანაძის ორთაბრძოლაში შევარდნაძე ფარულად მხარს **ბურჯანაძეს** უჭერდა!

**— რატომ?**

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნინოს ნათლია პოეტი **ჯანსუღ ჩარკვიანი** ბურჯანაძეს ძალიან ლობირებდა. მეორე და ყველაზე მთავარი — **ნინო ბურჯანაძეს, ფაქტობრივად, არავითარი ბექგრაუნდი არ ჰქონდა და ნულის ტოლი იყო იმის ალბათობა, მას დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში დაეწყო!** შევარდნაძე სწორედ ამაში შეცდა... გამორიცხულია, შევარდნაძის გარეშე პარლამენტში შეეტანათ ის დიდი ფული, რომელსაც თითოეულ დეპუტატს ბურჯანაძის მხარდაჭერის სანაცვლოდ აძლევდნენ!..

**— მაინც რა თანხაზე იყო ლაპარაკი?**

— ჩემი ინფორმაციით, ეს იყო თითო დეპუტატზე **50 ათასი ამერიკული დოლარი.** მაშინ პარლამენტის კულუარებში ყველა იმაზე ქირქილებდა, რომ ამ თანხას მხოლოდ **ანზორ ბურჯანაძე** ვერ „გაქაჩავდა“ და ეს შევარდნაძის ფულიც იყო... ფულის დარიგება, სავარაუდოდ, მშვიდად ჩაივლიდა, რომ არა ის ოთხი დეპუტატი, რომელიც, როგორც ჩანს, უკმაყოფილო დარჩა, აყვირდა და სკანდალიც აგორდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები



**ეკა გიგაური**
*„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ თავმჯდომარე*

პროპაგანდა, **თითქოს დასავლეთს უნდა ჩვენი ომში ჩართვა,** არის სრული სიცრუე. როდესაც თავს ესხმი დასავლელ პარტნიორებს და, მეორე მხრივ, ამბობ, რომ გინდა დასავლეთთან კარგი ურთიერთობა, ასე არ გამოდის. როგორც ჩანს, **ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ ჩვენ არ გავხდეთ ევროკავშირის ან ნატოს წევრები**.

„ინტერპრესნიუსი“



**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*

მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დღეს დარწმუნებულია იმაში, რომ **ხელისუფლებაში ოპოზიცია რომ ყოფილიყო, ომს დაიწყებდა.** „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო, ოპოზიციისთვის პიარულად მოეგო, იმიტომ, რომ **ოპოზიცია არ არის ერთიანი,** კოორდინირებული, არა აქვთ ერთიანი „მესიჯ-ბოქსი“.

„ინტერპრესნიუსი“



**კორნელი კაკაჩია**
*პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი*

ბოლო წლების განმავლობაში **არცერთი რუსეთის ჯაშუშის დაკავება არ გაგვიგია.** დავიჯეროთ, რუსეთს ამ მიმართულებით საქართველო საერთოდ აღარ აინტერესებს?

„რეზონანსი“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება" და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




დასაწყისი იხ. „ა-დ", 2022 წლის №9-32

**„ასავალ-დასავალი" აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას", როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით", ანუ „ჩემი ბრძოლით"!**

**მიხეილ სააკაშვილი** აფხაზეთის ომზე მოგონებებს, რაღა თქმა უნდა, საკუთარი პერსონის განდიდებისთვის იყენებს და იმასაც კი იტყუება, თითქოს, ქართველი ერის მსახურებას ჰარვარდის უნივერსიტეტში წასვლაც კი შესწირა:

**„მე იმ დროს თბილისში, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში ვმუშაობდი და ამერიკაში წასასვლელად ვემზადებოდი. ჰარვარდის უნივერსიტეტში მიმიღეს. როდესაც ომი დაიწყო, გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი"** (მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება", გვ. 160).

თუმცა, ეს კიდევ არაფერი, სააკაშვილი მთლად „ფრონტის ხაზზე" თავს გადამხდარ თავგადასავლებსაც კი თხზავს:

**„ჩვენ ტყვეთა გაცვლაზე ვმუშაობდით. მახსოვს, მორიგი გაცვლისთვის სოხუმიდან გაგრაში უნდა გადავფრენილიყავით. ჩვენსა და აფხაზურ პოზიციებს შორის რუსული ბაზა იყო განლაგებული. ჩვენ მათ ტერიტორიაზე გადაფრენის ნებართვა მივიღეთ, მაგრამ, როცა ავფრინდით, რუსებმა დაფრენა გვიბრძანეს. ყველა დაგვაპატიმრეს — თითქოსდა, ჩვენ მოლაპარაკებების რაღაც პირობები დავარღვიეთ. ვერ შეთანხმდნენ, რა უნდა ექნათ ჩვენთვის: დროებით პატიმრობის იზოლატორში მოვეთავსებინეთ თუ გადაეცათ ჩვენი თავი სეპარატისტებისათვის.** დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, უფროსი რუსი ოფიცერი გამოვიდა და გვითხრა: **„კარგი, 15 წუთს გაძლევთ — აქედან წაეთრიეთ, თორემ იძულებული ვიქნები, გადაგცეთ აფხაზურ მხარეს. არ გაბედოთ სოხუმში გაფრენა — ჩამოგაგდებთ". ჩვენ ჩავჯექით ჩვენს „იაკ-40"-ში და ბათუმში გავფრინდით"** (იქვე, გვ. 160).

ახლა, წარმოიდგინეთ, სააკაშვილი აფხაზეთის ომის დროს რუსების „პლენში" მართლა რომ მოხვედრილიყო, ეს ინტერვიუებში რამდენჯერ ექნებოდა მოყოლილი მთელი მსოფლიოსათვის! და ისიც ნიშანდობლივია, რომ სააკაშვილის მემუარებში, ეს ერთადერთი ამბავი იყო, რომელიც მისი **„აფხაზური თავგადასავლისას"** გაიხსენა! **ანუ სააკაშვილის მონაწილეობა აფხაზეთის ომში მხოლოდ ამ ერთადერთი და ისიც გამოგონილი ამბით ამოიწურა! იმიტომაც არის, რომ სააკაშვილს აფხაზეთის ომში ყოფნის არცერთი ფოტო არა აქვს და არც ვიდეო აქვს გამოქვეყნებული.**

შემდეგ სააკაშვილი მეორე სეპარატისტულ რეგიონს — ცხინვალის მხარესაც განიხილავს, თუ როგორ დაიწყო იქ კონფლიქტი და ასე შემდეგ. ნიშანდობლივია, რომ სააკაშვილი საქართველოს ამ რეგიონს ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის მიერ დამკვიდრებული ანტიქართული ტერმინით — **სამხრეთ ოსეთად** მოიხსენიებს — ყოველგვარი **„ეგრეთ წოდებულის"** გარეშე:

**„როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყო, სამხრეთ ოსეთში საკუთარი ნაციონალისტები გაჩნდნენ. სწორედ მაშინ დაიწყო გამსახურდიას გარემოცვამ ოსებისაგან მტრის ხატის ძერწვა. ფიქრობდნენ, რომ უფრო ადვილად გაიმარჯვებდნენ. ამ დაძაბულობას ხელოვნურად ინარჩუნებდნენ, რადგან გამსახურდიას** (რომელიც, უდავოდ, საქართველოს დიდი პატრიოტი იყო) **გარემოცვაში რუსული სპეცსამსახურის ბევრი აგენტი იყო ჩანერგილი. მე ვერასოდეს ვმალავდი აღშფოთებს იმის გამო, თუ გამუდმებით რატომ ამოტივტივდება ხოლმე ეს თემა: ის ხომ თითიდან იყო გამოწოვილი"** (იქვე, გვ. 163).

როგორც ხედავთ, მემუარისტმა ვირეშმაკურად დაარტყა **ზვიად გამსახურდიას: თან ხაზგასმით ამბობს, ზვიადი უდავოდ დიდი პატრიოტი იყოო, თანაც, ცხინვალის რეგიონის ამბებს ოს სეპარატისტებს და მათ რუს პატრონებს კი არა, გამსახურდიას ხელისუფლებას აბრალებს, პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად, ოსებისაგან მტრის ხატი გამოძერწესო!** არადა, სააკაშვილი ერთი სიტყვითაც არ ახსენებს, რომ რუსული სპეცსამსახურების მიერ დაქოქილი ცხინვალელი სეპარატისტები საქართველოდან გამოყოფისა და „დამოუკიდებლობის" ღია ლოზუნგებით იბრძოდნენ!

სააკაშვილი კიდევ ერთ „მაგარ" ტყუილს ამბობს, როდესაც მოსკოვის ცხინვალის რეგიონისადმი დამოკიდებულებას ასე აღწერს:

**„მოსკოვს სამხრეთ ოსეთი საერთოდ არ აინტერესებდა. მოსკოვს აფხაზეთი აინტერესებდა. 2004 წლის მაისში პუტინმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ ბოლომდე არ მესმისო, რა არის სამხრეთ ოსეთი, სულ რამდენიმე თვის წინათ გავიგე მისი არსებობის შესახებო. ვფიქრობ, სიმართლეს ამბობდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩრდილოეთელ ოსებს ყოველთვის ათვალწუნებული ჰყავდათ სამხრეთელი ოსები, კუდარელებს ეძახდნენ. ამიტომაც არ ჰყავდათ სამხრეთელ ოსებს ლობისტები მოსკოვში"** (იქვე, გვ. 164).

ანუ სააკაშვილი გვიმტკიცებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი იმდენად უბადრუკი იყო, პრეზიდენტობის ოთხი წლისთავზე **„სამხრეთ ოსეთის"** არსებობა ახალი გაგებული ჰქონდა! და რუსული სპეცსამსახურების მიერ ცხინვალელ სეპარატისტთა „პრეზიდენტად" დასმული **კოკოითი** იქ როგორ მოხვდა?!

როგორც ჩანს, სააკაშვილმა სწორედ პუტინთან იმ შეხვედრის შედეგად გადაწყვიტა 2004 წლის ივლის-აგვისტოში ეგრეთ წოდებული **„კოკოითი ფანდარასტით"** ცხინვალის **„ჰუმანიტარული შტურმით"** აღება, რაც ცხელ კონფლიქტში გადაიზარდა, ქართული მხარიდან მსხვერპლითა და ათობით ქართველი სამართალდამცავების დატყვევებით და მუხლებზე დაჩოქებით!

მაგრამ მემუარისტი ამ ამბებზე კრინტსაც არ ძრავს, სამაგიეროდ, მომდევნო აბზაცშივე თავისი პირით ამბობს, როგორ მკაცრად აკონტროლებდა რუსეთი ცხინვალს — ის რუსეთი, რომლის პრეზიდენტი, სააკაშვილისავე თქმით, ბაიბურშიც არ იყო, რას წარმოადგენდა ეს „სამხრეთ ოსეთი":

**„რუსეთის სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს, სამხრეთ ოსეთში ჩიბიროვის ნაცვლად თავისი ადამიანი, კოკოითი დაესვათ, რათა ზეგავლენა მოეხდინათ შევარდნაძეზე, რომლის დაყოლიებას იმ ბოლო დროს ვერ ახერხებდნენ. თანდათანობით ცხინვალის მთავრობა თითქმის სრული შემადგენლობით დაკომპლექტდა რუსი ოფიცრებით. მოსკოვი ოსებს არ ენდობოდა, ამიტომ რუსეთიდან ჩამოიყვანეს პრემიერ-მინისტრიც და მინისტრებიც. დატოვეს მხოლოდ კოკოითი, რომელიც ასევე სპეცსამსახურების პროდუქტი იყო. ჩამოყალიბდა გასამხედროებული მთავრობა, რომელთან მოლაპარაკების წარმოება შეუძლებელი გახდა"** (იქვე, გვ. 164).

შემდეგ სააკაშვილი წარმოუდგენელ ტყუილს ამბობს, თუ რატომ დაიძაბა ურთიერთობა ცხინვალთან 2004 წლის ზაფხულში, ანუ პუტინთან შეხვედრის შემდეგ:

**„ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩვენ გადავკეტეთ მთელი კონტრაბანდა, რომელიც სამხრეთ ოსეთიდან მოდიოდა. სხვა არჩევანიც არ გვქონდა. ის, უბრალოდ, საქართველოს ეკონომიკას ანგრევდა. როგორც კი ეს გავაკეთეთ, გაჩნდა დაძაბულობა და დაიწყო სროლა. ჩვენ მაშინ სულ თავისუფლად შეგვეძლო ცხინვალში შესვლა. არა მგონია, რუსეთს ხელი შეეშალა. ბევრი ჩემი თანამებრძოლი შეცდომად თვლის, 2004 წელს ცხინვალი რომ არ ავიღეთ. მაგრამ მე მიმაჩნდა, რომ ეს იმდენად პატარა ტერიტორიაა** (იმ დროისთვის იქ 35000-ზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობდა), **რომ სალაპარაკოც არაფერია. თანაც ჭადრაკის დაფას მაგონებდა: აქ — სოფელი, ქართული ხელისუფლებით, შემდეგ თითქოსდა სეპარატისტული სოფელი, მერე ისევ ჩვენი სოფელი და ა.შ."** (იქვე, გვ. 164).

როგორც ხედავთ, ნაცრეჟიმში ჯერ კიდევ 2004 წელს ფიქრობდნენ ცხინვალში შესვლაზე! და მოუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი თვითონ აღიარებს, მთელ ცხინვალურ მთავრობას რუსული სპეცსამსახურები აკონტროლებდა, იქვე მაინც აბრტყებს, 2004 წელს ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო ცხინვალში შესვლა და არა მგონია, რუსეთს ხელი შეეშალაო! უბრალოდ, იმიტომ გადავიფიქრე, რომ ეს იმდენად პატარა ტერიტორიაა, სალაპარაკოდაც არ ღირდაო!

ამის შემდეგ სააკაშვილი ერთგვარ აღიარებით ჩვენებასაც იძლევა, როგორი ჩვეულებრივი სამშობლოს მოღალატე შადიმანიც არის:

**„1990-იან წლებში ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტში ცნობილი ნორვეგიელი ადამიანის უფლებათა დამცველის და უმცირესობათა სპეციალისტის ასბორნ ეიდეს ხელმძღვანელობით სამხრეთ ოსეთის პრობლემებზე ვმუშაობდი და ოსებს თანავუგრძნობდი. ჩვენ ვთვლიდით, რომ ოსები რიცხობრივად ძალიან ცოტანი არიან, ისინი უნდა დავიცვათ, მივცეთ საშუალება იგრძნონ, სახელმწიფოს ნაწილი რომ წარმოადგენენ, ამისთვის კი საჭიროა, თბილისმა მათ გარკვეული უფლებამოსილებები გადასცეს"** (იქვე, გვ. 165).

ანუ 1992 წელს უცხოელი უფლებადამცველების ჯგუფის მიერ თარჯიმნად დაქირავებული სააკაშვილი ასე გულმხურვალედ თანაუგრძნობდა ოსებს, რომლებმაც, არ დაგავიწყდეს, სულ რამდენიმე თვით, რაც რუსი „შემვიდობისმყოფლების" დახმარებით ცხინვალის რეგიონში უსასტიკესი ეთნიკური წმენდა ჩაატარეს და ათობით ათასი ქართველი გამოყარეს ძირძველი ქართული მიწიდან!

მემუარისტი ამას იმიტომ იხსენებს, რომ სწორედ ეს „თანაგრძნობა" დაედო საფუძვლად ცხინვალის რეგიონის საქართველოში ინტეგრაციულ პოლიტიკასა, ანუ ეს მას შემდეგ, რაც ცხინვალის 2004 წლის „ჰუმანიტარული შტურმი" და „კოკოითი ფანდარასტი" არ გამოუვიდა:

**„გადავწყვიტე, დიპლომატიურად მემოქმედა. ჩვენ მიერ კონტროლირებად სოფლებში დავიწყეთ ახალი საავადმყოფოების, სკოლების, სტადიონების, დისკოთეკების, თანამედროვე მაღაზიების, ოლიმპიური საცურაო აუზის მშენებლობა. ყველა თვალნათლივ დაინახავდა, სადაა უკეთესი მდგომარეობა. ამის პასუხად რუსებმა სამხრეთელ ოსებს ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსვლა აუკრძალეს, თუმცა, მაინც გადმოდიოდნენ ისინი „საზღვარზე"** (იქვე, გვ. 165).

სწორედ, ამ „დიპლომატიის" შედეგად გამოჩნდა ყოფილი სეპარატისტი და ქართველების წინააღმდეგ მებრძოლი საველე მეთაური **დიმიტრი სანაკოევი**, რომელსაც ზვიად გამსახურდიას დროს უზენაესი საბჭოს მიერ გაუქმებული **„სამხრეთ ოსეთის ავტონომია"** აღუდგინეს, **„სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული მთავრობის მეთაურად"** აკურთხეს, მრავალმილიონიანი ბიუჯეტიც ჩააბარეს და ზედ კიდევ ახალგორის მთელი რაიონიც დაუმტკიცეს **„სამხრეთ ოსეთის"** ტერიტორიად!

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**

სააკაშვილი „კოკოითი ფანდარასტის" აქციაზე



## მიხეილ სააკაშვილი: 2004 წელს ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო ცხინვალში შესვლა და არა მგონია, რუსეთს ხელი შეეშალა!

# კაცობა, მუდამ კაცობა, არ უნდა ამას განვრცობა!

## საჯარო შეხმიანება ჯუმბერ იზორიას, რომელმაც ჩხოროწყუს ცენტრში დადგა ძეგლი წარწერით – „კოჩანა, ირო კოჩანა, თეს ვაკო გურიშ(ი) გოჩამა!“

***ერთი ამბავი ატეხეს ნაცსექტამ, ნაცმედიამ და მათთან გათანაბრებულმა სუბიექტებმა — ყოფილმა პარლამენტარმა და ამჟამად ჩხოროწყუს საკრებულოს წევრმა „ქართული ოცნებიდან“ ჯუმბერ იზორიამ საკუთარი ქალაქის ცენტრში საკუთარი გამონათქვამის ძეგლი დადგაო!***

**გალანძღეს** ჯუმბერ იზორია!

**დასცინეს** ჯუმბერ იზორიას!

**„ჭუტავიზიად“ წოდებულმა „ტვ პირველმა“ „პატარა ოლიგარქადაც“ კი გამოაცხადა** ჯუმბერ იზორია!

მოკლედ, როგორც ახლა უყვართ თქმა, **აბულინგეს და აბულინგეს ჯუმბერ იზორია ნაცლიბერასტულმა ტელეკანალიზაციებმა!**

კი მაგრამ, ასეთი რა გამონათქვამი ეკუთვნის **ჯუმბერ იზორიას** და რა წერია მის მიერ ჩხოროწყუს ცენტრში დადგმულ ძეგლზე?

რამე უხამსობა წერია? — არა! ვინმეს გინება წერია? — არა! ქართული ტრადიციებისა და ეროვნული ფასეულობების შეურაცხმყოფელი ლოზუნგი წერია? — არა! საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო მოწოდება წერია? — არა!

**„კოჩანა, ირო კოჩანა, თეს ვაკო გურიშ(ი) გოჩამა!“** — აი, ეს არის **ჯუმბერ იზორიას** სიტყვები და ეს წერია მის მიერ ჩხოროწყუს ცენტრში დადგმულ ძეგლზეც.

**ჯუმბერ იზორიას** მიერ მეგრულად გარითმული სტრიქონის ზუსტი გადმოქართულება, ცოტა არ იყოს, რთული ამბავია, მისი შინაარსი კი ასეთი გახლავთ — **„კაცობა, მუდამ კაცობა, არ უნდა ამას დაფიქრება!“** უფრო პოეტურები თუ ვიქნებით, ქართულად ეს სიტყვები ასეც შეიძლება გაირითმოს: **„კაცობა, მუდამ კაცობა, არ უნდა ამას განვრცობა!“**

უფრო დეტალურად რომ განვმარტოთ, მეგრულად **„კოჩანა“** ნიშნავს კაცობას, ხოლო **„გურიშ(ი) გოჩამა“** ფიგურალური გამონათქვამია, რომელიც **დაფიქრებას, ჩაფიქრებას, მიხვედრას** ნიშნავს. თავად ჯუმბერ იზორიამაც სწორედ ასე ახსნა და განმარტა ჩხოროწყუს ცენტრში ძეგლის სახით განთავსებული საკუთარი გამონათქვამის არსი — **კოჩანას, ანუ კაცობას არავითარი ფიქრი და ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება, კაცმა თავისი კაცობა საქმითა და ცხოვრების წესით უნდა გამოაჩინოს და დაამტკიცოს!**

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩხოროწყუს საკრებულოს წევრ **ჯუმბერ იზორიას,** რომელიც მშობლიურ ქალაქში ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს, ძეგლის დასადგმელად მუნიციპალური თუ სახელმწიფო რესურსი არ გამოუყენებია — ყველა ხარჯი საკუთარი ჯიბიდან გაიღო და ტერიტორიაც, სადაც ძეგლი განთავსდა, მისი ოჯახის კერძო საკუთრებაა.

**მაშ, რატომ ჩავარდა ჯუმბერ იზორია ნაცტელეკანალიზაციებისა და ნაცსექტანტების ყბაში? რატომ იქცა მათი დაცინვისა და ლანძღვის ობიექტად?**

**იმიტომ, რომ კაცობა, ადამიანობა, ღირსება და სხვა ამგვარი ზნეობრივ-მორალური კატეგორიები ნაცსექტისათვის ისეთივე უცხო ხილია, როგორიც — ვირისათვის ხურმა!**

კაცობა, ადამიანობა, ღირსება და სხვა ამგვარი ზნეობრივ-მორალური კატეგორიები ლიბერასტებისათვის ისეთივე საშიში ცნებებია, როგორიც **სამშობლო, ეკლესია და ოჯახის ინსტიტუტი!**

ზოგადად, ნაცები და ლიბერასტები, მთელი თავიანთი პროპაგანდისტული საშუალებებითა და უცხოური გრანტებით, ლამის ორი ათეული წელია, საქართველოში ზნეობრივ-მორალური პრინციპების ამოსაძირკვად გააფთრებით იბრძვიან და **ჯუმბერ იზორიას** მიერ ჩხოროწყუს ცენტრში დადგმული ძეგლი მათთვის იგივეა, ეშმაკს ჯვარი რომ დაანახო ან კორიდაზე გამოვარდნილ ხარს წითელი ნაჭერი აუფრიალო.




**აბა, რა გეგონათ თქვენ, ჯუმბერ ბატონო, კოლექტიური ნოდარმელაძეები, ეკაკვესიტაძეები, ელენეხოშტარიები და ნინოლომჯარიები მათ მიერ გადასაგვარებლად, გადასაჯიშებლად, გასანაცებლად და გასალიბერასტებლად შეგულებულ ქვეყანაში კაცობაზე, ადამიანობასა და ღირსებაზე აქცენტის გაკეთებას გაპატიებდნენ?**

**ჯუმბერ იზორიას ჩხოროწყუს ცენტრში საკუთარი გამონათქვამი — „კოჩანა, ირო კოჩანა, თეს ვაკო გურიშ(ი) გოჩამა!“** — კი არა, „თავისუფლება მიშას“ ან „სლავა უკრაინე“ რომ დაეწერა, ნაცსექტისა და მისი ტელეკანალიზაციებისათვის გმირი გახდებოდა, რომელსაც ხოტბას შეასხამდნენ და ქებით ცაში აიყვანდნენ!

ჯუმბერ იზორიას ჩხოროწყუს ცენტრში დადგმულ ძეგლზე საკუთარი გამონათქვამი — **„კოჩანა, ირო კოჩანა, თეს ვაკო გურიშ(ი) გოჩამა!“** — კი არა, რამე ლიბერასტული ლოზუნგი, მაგალითად, **„ფუჩუს ლიბერალიზაცია“** ან **„ორგაზმი კაცების გარეშე“** რომ დაეწერა, **კოლექტიური ლომჯარია-გიგაურები** დიდების მანტიით შემოსავდნენ და ტოლერანტობის ორდენით დააჯილდოებდნენ!

მაგრამ არ ქნა ეს **ჯუმბერ იზორიამ** და, ეჰე, დაესივნენ კიდეც გიენებივით ნაცლიბერასტები!

**აბა, რა გეგონათ თქვენ, ჯუმბერ ბატონო, კოლექტიური ნოდარმელაძეები, ეკაკვესიტაძეები, ელენეხოშტარიები და ნინოლომჯარიები მათ მიერ გადასაგვარებლად, გადასაჯიშებლად, გასანაცებლად და გასალიბერასტებლად შეგულებულ ქვეყანაში კაცობაზე, ადამიანობასა და ღირსებაზე აქცენტის გაკეთებას გაპატიებდნენ?**

ნუთუ არ იცით თქვენ, **ბატონო ჯუმბერ,** რომ ახლანდელ საქართველოში **კოჩანა კი არა, დეპოლარიზაცია, დეოლიგარქიზაცია, კოჰაბიტაცია, ფასილიტაცია** და სხვა ამისთანა ტერმინებია მოდური და აქტუალური?

მოკლედ, **ბატონო ჯუმბერ,** როგორც ნაცტელეკანალიზაციების ბინძური პროპაგანდის სამიზნედ ქცეულმა კაცმა, **ეს ჩვენი საჯარო შეხმიანება სოლიდარობად მიიღეთ და ერთი რჩევაც გაითვალისწინეთ** — თქვენ მიერ ჩხოროწყუს ცენტრში დადგმულ ძეგლს ვინმე მარჯვე და ფხიზელი დარაჯი დაუყენეთ, თორემ ნაცსექტანტები ძეგლების დამხობაში, სანაგვეზე გადაგდებასა და აფეთქებაშიც კი არაერთხელ არიან მხილებული!

**არ დაგავიწყდეთ, რომ ნაცლიბერასტები საქართველოში არამხოლოდ კაცობის სადიდებლად დადგმულ ძეგლებს, არამედ თავად კაცობას ებრძვიან და მათგან ყველაფერია მოსალოდნელი!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**
*აკადემიკოსი*



ბრძენო ქართველებო, **გთხოვთ, გადახედოთ „ქართული ოცნების“ გუნდს და შეადაროთ ისინი „ნაცმოძრაობის აქტივს“** ან დღევანდელი მთავრობის შემადგენლობა შეადაროთ **სააკაშვილის** დროინდელ მთავრობას — **ქობალიებს, კალმახელიძეებს, ბარამიძეებს, კეზერაშვილებს, მერაბიშვილებს, ადეიშვილებს** და მათ მსგავსებს და აუცილებლად მიხვდებით, **ვინაა** ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, **ვის** უნდა ქართული სახელმწიფოს გაძლიერება. და **ვინ** იმეტებს თამარის, დავითის, ერეკლეს, რუსთაველის ქვეყანას მონობისთვის, **ვინ** უნდა გავაძევოთ ქვეყნიდან და **ვის** გვერდით გავერთიანდეთ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მიხეილ რამიშვილი**
*ადვოკატი*



კარგია, ბინებს ძვირად რომ აქირავებთ, წინასწარ ორი თვისას რომ გიხდით ე.წ. ტურისტი, მერე შეიძლება აღარ გადაიხადოს, ძალით ვერ გამოაგდებ, სასამართლოში მოგიწევთ სირბილი და **ეს იქნება არა ერთი, არამედ რამდენიმე ათასი რუსეთის მოქალაქე, რომელიც არ გადაგიხდით ქირას. ძალის გამოყენებით ვერ გამოასახლებთ ბინიდან, რადგანაც დაუყოვნებლივ რუსეთი თავის მოქალაქეებს დაიცავს** და თქვენ მოგიწევთ, თვეები და წელი ელოდოთ დავების დასრულებას სასამართლოში. ასე რომ, სანამ საკუთარ ბინებში შეუშვებთ ე.წ. ტურისტებს *(წლობით რომ აპირებენ საქართველოში ტურისტად ყოფნას)*, ნუ დასთანხმდებით 2000 აშშ დოლარს — წინასწარ ორი თვის ქირას. **დაზარალდებით თქვენ, იხეირებს მდგმური, რომელიც ოკუპაციას გაუკეთებს თქვენს საკუთრებას და ვერც მიუახლოვდებით,** ყველგან იქნება შემდეგი პასუხი: **აბა, ომი გინდა?** დადექით მერე და შორიდან უყურეთ თქვენ მიერ გაქირავებულ და მდგმურის მიერ ოკუპირებულ საკუთრებას. ამის მაგალითები უკვე არსებობს და ნელი ტემპით იზრდება.

„ფეისბუქი“

**თამაზ ხუბუა**
*აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი*



**რუსეთი ბოლო პერიოდში აფხაზეთისთვის ვერ იცლის. 85-პროცენტიანი ფინანსური დახმარებიდან ჩამოვიდა 15 პროცენტამდე,** ხელფასის გაცემის პრობლემა გაჩნდა. ეკონომიკური კოლაფსი ახლოვდება, არაფერს აწარმოებენ. რუსეთი ეუბნება, თქვენს თავს თვითონ მიხედეთო. **რუსეთის დამოკიდებულება აფხაზეთის რუკიდან გაქრობას ემსახურება.**

„ახალი თაობა“

# რა უნდა ვიცოდეთ გიიენ-ბარეს სინდრომის შესახებ?



„ეს დაავადება 1916 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, ჟორჟ გიიენმა და ჟან ბარემ აღწერეს, მაგრამ თითქმის სამოცი წლით ადრე, 1859 წელს, პირველად მოიხსენია ფრანგმა ნევროპათოლოგმა ჟან ბატისტ ლანდრმა!“



„გავრცელებული ინფორმაციით, ანატოლი ჩუბაისს გიიენ-ბარეს სინდრომი დაემართა მას შემდეგ, რაც „კოვიდ-19“-ზე აიცრა, მაგრამ დასავლეთის სპეცსამსახურები აქტიურად მუშაობენ ვერსიაზე, რომლის თანახმადაც რუსებმა ჩუბაისი მოწამლეს!“

## კახა საბახტარიშვილი:

## ადამიანი, რომელიც უეცრად ტერფებში დაბუჟებას, ჩხვლეტით ტკივილებს და ფეხების სისუსტეს იგრძნობს, სასწრაფოდ ექიმთან უნდა წავიდეს, რათა გიიენ-ბარეს სინდრომი გამოირიცხოს!

*ცნობილი საბჭოთა პარტიული ფუნქციონერი და რუსული პრივატიზაციისა და ნანოტექნოლოგიების მამა — მილიარდერი ანატოლი ჩუბაისი, რომელიც პუტინმა საერთაშორისო ორგანიზაციებში თავის წარმომადგენლად დანიშნა, ხელფეხწართმეული, გიიენ-ბარეს სინდრომით, ევროპის ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს. ჩუბაისს, რომელიც უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ თანამდებობიდან გადადგა და პუტინს რუსეთიდან გაექცა, ზემოხსენებული საშიში დაავადება მოულოდნელად აღმოაჩნდა! როგორც ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, ეს ვერაგი სინდრომი სწორედ უცბად იჩენს ხოლმე თავს და მის გამომწვევ მიზეზთა შორის ორგანიზმის ინტოქსიკაცია, ანუ მოწამვლაც სახელდება:*

— **გიიენ-ბარეს სინდრომი** ერთ-ერთ იშვიათ, მაგრამ ძალზე საშიშ დაავადებათა ჯგუფს მიეკუთვნება. თუ ამ დაავადების დიაგნოსტირება დროზე არ მოხდა, შედეგი სავალალო იქნება და ადამიანი აუცილებლად დაიღუპება. ეს დაავადება ნებისმიერ ჯანმრთელ ადამიანს შესაძლოა, უცბად დაემართოს...

**— რაში მდგომარეობს გიიენ-ბარეს სინდრომის არსი, მაინც რა ემართება ასეთ დროს ადამიანს?**

— წარმოვიდგინოთ აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანი, რომელსაც, ერთი შეხედვით, არაფერი აწუხებს და ერთბაშად ეწყება ტერფების დაბუჟება, ფეხების სისუსტე, მეორე დღეს კი უკვე კიბეზეც ვეღარ ადის. ორი-სამი დღის შემდეგ ფეხები დადამბლავებულია და თუ სასწრაფოდ ზომები არ იქნა მიღებული, მომდევნო ორი-სამი დღის შემდეგ სისუსტე გადადის ხელებშიც, რომლებიც ასევე დამბლავდება; ამის შემდეგ უკვე ვითარდება სასუნთქი კუნთების დამბლა, რის გამოც ადამიანი ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აუცილებლობის წინაშე დგება! **აი, ასეთი უმძიმესი სურათი შესაძლოა, დაავადების დაწყებიდან 15-20 დღეში შეიქმნას. ამიტომ ამ დაავადებას გიიენ-ბარეს სინდრომთან ერთად აღმავალ დამბლასაც უწოდებენ.**

როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნევროლოგიის კათედრაზე ვმუშაობდი, კათედრის ხელმძღვანელი, ცნობილი ნევროპათოლოგი, პროფესორი **ავთანდილ ლაჭყეპიანი** გიიენ-ბარეს სინდრომს ხშირად **ლანდრის აღმავალი დამბლის** სახელმწოდებითაც მოიხსენიებდა, რაც, ჩემი აზრით, აბსოლუტურად სამართლიანია. საქმე ის გახლავთ, რომ ეს დაავადება 1916 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, **ჟორჟ გიიენმა** და **ჟან ბარემ** აღწერეს, მაგრამ თითქმის სამოცი წლით ადრე, 1859 წელს, პირველად მოიხსენია ფრანგმა ნევროპათოლოგმა **ჟან ბატისტ ლანდრმა.** ამიტომაც უფრო უპრიანია, რომ გიიენ-ბარეს სინდრომს მისი პირველაღმომჩენის — ლანდრის სახელი ვუწოდოთ!

**— თქვენ ამბობთ, რომ დროული სამედიცინო დახმარება გიიენ-ბარეს სინდრომის ფატალური შედეგისგან ადამიანს იცავს! მაინც რაში მდგომარეობს მკურნალობის არსი და რამდენად ეფექტურია ის?**

— **გიიენ-ბარეს სინდრომი** შესაძლოა, განვითარდეს მაშინ, თუ ადამიანს აქვს გრიპი, „კოვიდ-19“, მონონუკლეოზი, ნაწლავური ინფექციები, ანუ ენტერიტები... ყველა ზემოხსენებული დაავადების გამომწვევი ვირუსებისა თუ ბაქტერიების წინააღმდეგ ბრძოლა იმუნური სისტემის საქმეა, მაგრამ ზოგჯერ იმუნური სისტემა ისე „გადაირევა“, რომ უცხო აგენტების ნაცვლად პერიფერიულ ნერვულ სისტემას უტევს. სწორედ ასე იწყება **აუტოიმუნური პროცესი,** რის შედეგადაც ორგანიზმი თავის თავს ანადგურებს. ასეთ შემთხვევებში, რომელიც, საბედნიეროდ, იშვიათია, ზიანდება ნერვული ბოჭკოების დამცავი გარსი — **მიელინი,** ნერვული იმპულსაცია ირღვევა და კუნთები დამბლავდება.

**ამ საშიში და დამანგრეველი პროცესის მკურნალობის ყველაზე ეფექტური მეთოდი სისხლის გაწმენდაა, ანუ სისხლს უნდა მოვაცილოთ ის ცუდი ცილები, რომლებიც ნერვულ უჯრედებს აზიანებს.** ამ მეთოდს **პლაზმოფერეზი** ეწოდება. გიიენ-ბარეს სინდრომის სამკურნალოდ არსებობს მეორე მეთოდიც, როცა ამ დაავადებას იმუნოგლობულინების დიდი დოზებით ებრძვიან. თუ ზომები დროულად იქნება მიღებული, ადამიანი სრულად გამოჯანმრთელდება...

**— კიდევ რას შეუძლია გამოიწვიოს გიიენ-ბარეს სინდრომი?**

— ქართულში არის გამოთქმა — „**ისეთი ცუდი ამბავი გავიგე, ლამის დამბლა დამეცა!**“

**ძლიერმა სტრესმა შესაძლოა, მართლაც გამოიწვიოს გიიენ-ბარეს სინდრომი. გარდა ამისა, ეს საშიში პათოლოგია გამოუწვევია ვაქცინაციასაც. აღწერილია შემთხვევები, როცა ადამიანს ცივ მიწაზე ჩაეძინა და დილით ფეხები პარალიზებული ჰქონდა...** გავრცელებული ინფორმაციით, **ანატოლი ჩუბაისს** გიიენ-ბარეს სინდრომი დაემართა მას შემდეგ, რაც „კოვიდ-19“-ზე აიცრა, მაგრამ დასავლეთის სპეცსამსახურები აქტიურად მუშაობენ ვერსიაზე, რომლის თანახმადაც რუსებმა ჩუბაისი მოწამლეს. ცნობისათვის, გიიენ-ბარეს სინდრომს ნებისმიერი ტოქსინი, მათ შორის, ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზაც იწვევს! ამიტომ ჩემი რჩევაა: **ადამიანი, რომელიც უეცრად ტერფებში დაბუჟებას, ჩხვლეტით ტკივილებს და ფეხების სისუსტეს იგრძნობს, სასწრაფოდ ექიმთან უნდა წავიდეს, რათა გიიენ-ბარეს სინდრომი გამოირიცხოს!**

ძალიან საინტერესოა ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებული ისტორია... მოგეხსენებათ, იგი ჩვენს ერამდე 323 წელს გარდაიცვალა. ცნობილია ისიც, რომ გარდაცვალებამდე ათი დღის განმავლობაში მას ჰქონდა ცხელება, ტკივილი მუცლის არეში და განუვითარდა აღმავალი დამბლა.

**— ერთი ვერსიით, მაკედონელი მალარიისაგან გარდაიცვალა, ხოლო მეორე ვერსიით — მოწამლეს.**

— ახალზელანდიელმა ექიმმა, დოქტორმა **ქეთრინ ჰოლმა** გამოთქვა სენსაციური ვერსია, რომლის თანახმადაც ალექსანდრე მაკედონელი გიიენ-ბარეს სინდრომმა მოკლა. **ეს ვერსია ეფუძნება იმ ფაქტს, რომ გარდაცვალებიდან ექვსი დღის განმავლობაში ალექსანდრე მაკედონელის ცხედარს არანაირი ლპობისა და ხრწნის პროცესი არ დაწყებია.** იმხანად ადამიანის სიკვდილს ადგენდნენ არა პულსით, არამედ სუნთქვის შეწყვეტით. **გიიენ-ბარეს სინდრომის** ბოლო სტადიაში სასუნთქი კუნთების დამბლა ვითარდება, ორგანიზმი ნაკლებ ჟანგბადს მოიხმარს და სუნთქვითი მოძრაობები, ფაქტობრივად, არც არის გამოხატული. ამიტომ გამორიცხული არ არის, ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ გიიენ-ბარეს სინდრომით პარალიზებული და დამბლადაცემული ალექსანდრე მაკედონელი მკვდრად მიიჩნიეს და ჯერ კიდევ ცოცხალი დამარხეს! სწორედ ამიტომაც არ იხრწნებოდა მისი სხეული ექვსი დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ივლისის საშინელი სიცხე იდგა. **თუ ეს მოსაზრება დამტკიცდა, კაცობრიობის ისტორიას დიდი სკანდალი ელის, რადგან მსოფლიოს დამპყრობი ალექსანდრე მაკედონელი ცოცხლად დამარხული გამოდის!**

აღსანიშნავია ისიც, რომ გიიენ-ბარეს სინდრომის დროს თავის ტვინი აბსოლუტურად არ ზიანდება და მისი ყველა ფუნქცია შენარჩუნებულია. **ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ ალექსანდრე მაკედონელს ნამდვილად გიიენ-ბარეს სინდრომი შეეყარა, ის თავის დასაფლავებას სრულ ჭკუაზე მყოფი შეესწრებოდა, მაგრამ დამბლის გამო ხმას ვერავის მიაწვდენდა.** ასეთი საშინელია გიიენ-ბარეს სინდრომი, რომელმაც მსოფლიოს დამპყრობელი ალექსანდრე მაკედონელი ყველაზე უმწეო არსებად აქცია!

სხვათაშორის, სიმბოლურია, მაგრამ ფაქტია, რომ **მსოფლიო იმპერატორი იოსებ სტალინიც ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად აღესრულა. დიდია ეჭვი, რომ სტალინს ინსულტი კი არა, სწორედ გიიენ-ბარეს სინდრომი ჰქონდა, რომელიც ორგანიზმის ინტოქსიკაციით, ანუ ბელადის მოწამვლით იყო გამოწვეული!**



„დიდია ეჭვი, რომ სტალინს ინსულტი კი არა, სწორედ გიიენ-ბარეს სინდრომი ჰქონდა, რომელიც ორგანიზმის ინტოქსიკაციით, ანუ ბელადის მოწამვლით იყო გამოწვეული!“



„ახალზელანდიელმა ექიმმა, დოქტორმა ქეთრინ ჰოლმა გამოთქვა სენსაციური ვერსია, რომლის თანახმადაც ალექსანდრე მაკედონელი გიიენ-ბარეს სინდრომმა მოკლა!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*წერილი უცნაური სათაურით — „თევზი ყანაში“ ათეული წლების წინათ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა. პუბლიკაციაში მოთხრობილი იყო წყალდიდობის შესახებ, როცა ადიდებული მდინარე ყანაში შევარდა და მას შემდეგ, რაც წყლის დონემ დაიწია, აურაცხელი თევზი ნობათის სახით ყანაში დატოვა...*






# მამუკა ხაზარაძემ წალენჯიხაში თავისი „უბორნიის“ ფილიალი გახსნა!

სწორედ მიწაზე მოფართხალე თევზს ადარებდა თავს **ტიციან ტაბიძე,** როცა წერდა — **„გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყუჩები!“** თუმცა, იგივე ტიციანი და დანარჩენი „ცისფერყანწელები“ **პაოლო იაშვილის** ხელმძღვანელობით, არაფრით ამბობდნენ უარს იმ ოინბაზობაზე, როცა **ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე, დუდუკების თანხლებით მიაცილებდნენ კუბოს, რომელშიც შემწვარი გოჭი და საუცხოო პურმარილი იყო „ჩასვენებული...“** ცხადია, მეორე დღეს მთელი ქალაქი ლაპარაკობდა უცნაურ „გასვენებაზე“, როცა კუბოდან აჯიკითა და ათასნაირი სუნელით შეკაზმული გოჭი ამოასვენეს და ჯიბოს ბიჭის — პაოლოს ძმაკაცებმა ლაზათიანად მოულხინეს!

**ერეკლე დეისაძე წალენჯიხის ბაზარში ისეთივე უჩვეულო მოვლენაა, როგორც თევზი ყანაში და შემწვარი გოჭი — კუბოში!**

არადა, როგორც პრესა იუწყება, **დეისაძეს სწორედ წალენჯიხის ბაზარში პოეზიის საღამო გაუმართავს, რომელსაც, თურმე, აურაცხელი ხალხი დაესწრო...**

საერთოდ, უკანასკნელი ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, **რაც წალენჯიხაში ნაცსექტანტებმა გაიმარჯვეს, რაიონში უცნაური ამბები ხდება.** კერძოდ, ამ ცოტა ხნის წინათ წალენჯიხის მერი **გიორგი ხარჩილავა** და ვიცე-მერი **თამარ ბელქანია,** რომელიც ადრე საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებაში“ **პეტრე ცაავას** ასისტენტად მუშაობდა, ამერიკის ელჩის საქართველოს ჰიმნით დახვდნენ და ცოტა დააკლდათ, ზუსტად ისეთივე მანიფესტისთვის მოეწერათ ხელი, როგორიც 1905 წლის ზაფხულის ბოლოს **ბენია ჩხიკვიშვილის** მეთაურობით გლეხებმა გამოსცეს ოზურგეთში, როცა **„გურიის რესპუბლიკა“** შექმნეს!

მოკლედ, **„ლელოელი“ თამარ ბელქანია და ნაცსექტანტი გიორგი ხარჩილავა** წალენჯიხაში ისე არიან ერთმანეთში გადახლართულ-შეხმატკბილებული, **როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, თავიანთი უბიწო პარტიული სიყვარულისთვის ბიწიერი თუ ბილწიერი ლექსების კასკადი ეტყორცნათ** და სწორედ ამ მიზნით **მამუკა ხაზარაძის „უბორნიიდან“** გამოიხმეს **ერეკლე დეისაძე,** რომელმაც თავისი **„საიდუმლო სირობით“** რახანია, მთელ საქართველოს გააცნო თავი! **კიდევ კარგი, ხარჩილავამ და ბელქანიამ წალენჯიხის ბაზარში არჩილ შარვაშიძე არ მიიწვიეს, რომელმაც „თავსაფრიანი ბოზები“ დაწერა, თორემ სეირი მაშინ გენახათ!**







**„საიდუმლო სირობის“ ავტორი წალენჯიხის ბაზარში ლექსებს კითხულობს**



მოკლედ, **მამუკა ხაზარაძემ საზოგადოება კიდევ ერთხელ მოატყუა და წალენჯიხაში არც საცხოვრებლად გადავიდა და არც ბიზნესები გადაიტანა, სამაგიეროდ, რაიონში თავისი „უბორნიის“ ფილიალი გახსნა და წალენჯიხის ბაზარში ერეკლე დეისაძე გაუშვა, რომელმაც, როგორც გვამცნეს, კულტმასობრივი ღონისძიება გამართა...** მოაწონა თუ არა თავი დეისაძემ წალენჯიხელებს, რომლებმაც 1992-1993 წლებში გმირობისა და ქართველობის იშვიათი ისტორია დაწერეს და ქვეყნის დამაქცევარ პუტჩისტებს თავიანთი ოდაბადე არ დაანებეს, არ ვიცით. **ისიც უცნობია, უახლოეს მომავალში, როცა წალენჯიხას ამერიკის ელჩი კელი დეგნანი კიდევ ერთხელ ესტუმრება, გიორგი ხარჩილავას, თამარ ბელქანიასა და მამუკა ხაზარაძის ინიციატივით გაიმართება თუ არა რაიონის ცენტრში გეი-პარადი!**

თუ ასე გაგრძელდა, გეი-პარადისა რა მოგახსენოთ, მაგრამ შესაძლოა, **ხარჩილავამ და ბელქანიამ** წალენჯიხის ავტობუსი გაარემონტონ და სააკაშვილის გადაყვანა **„ვივამედიდან“** წალენჯიხის რომელიმე **„ვავამედში“** მოითხოვონ!

ხოლო რა განსხვავებაა **„ვივამედსა“** და **„ვავამედს“** შორის და დაექვემდებარება თუ არა სააკაშვილი ე.წ. **წალენჯიხის ავტობუსით** ტრანსპორტირებას, ამის შესახებ კომპეტენტური პასუხი, ალბათ, ექიმმა **ნინო კუზანოვამ** უნდა გაგვცეს!

მამაცო წალენჯიხელებო, ერთხელ **ჯაბა იოსელიანი** ერთმა ექიმმა, რომელსაც მერე სახლ-კარი გადაუბუგეს, წალენჯიხიდან ლეიბში გახვეული გააპარა. გული მიგრძნობს, **ან ბელქანიას მოუწევს ხარჩილავას ტრუსიკით გაპარვა, ანდა ხარჩილავა გამოეწყობა ბელქანიას კაბაში და „აითესება“...**

**არ გაუშვათ, რათა საქართველოს სატანჯველი მალე დასრულდეს!**

რაც შეეხება ერეკლე დეისაძეს, თავისი გაჭირვება ეყოფა და გაუშვით, ისულელოს, **ბაზარი ყველასია!**

სხვათაშორის, გენიალური **უშანგი ჩხეიძე** დიდმა **კოტე მარჯანიშვილმა** რუსთაველის პროსპექტზე ხიდან „ჩამოხსნა“, სადაც ახალგაზრდა უშანგი თავისი იშვიათი ხმით, არტიკულაციითა და მანერით ლექსებს ამბობდა და თეატრში წაიყვანა...

**არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც დეისაძეს ხაზარაძის „უბორნიიდან“ გამოიყვანს, თორემ ვინ იცის...**

**კოტე მარჯანიშვილი აღარ არის, კოტე დიდი ხანია, გარდაიცვალა!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ბადრი ჯაფარიძე**
*„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



უკრაინაში რუსეთის შეჭრა **ლაკმუსის ქაღალდივით** აღმოჩნდა, მან „ქართული ოცნების“ **ანტიევროპული** და, შესაბამისად, **პრორუსული** ბუნება გააშიშვლა.

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი კავკასიის საკითხებში*



თუ ძლიერი არმია და შეიარაღება არ გვექნა, თუ საზოგადოება თავდაცვაზე არ იქნება ორიენტირებული, რეგიონში უამრავი გამოწვევა არსებობს, რომელმაც შეიძლება ადრე თუ გვიან თავი იჩინოს, ამიტომ **იარაღი გვჭირდება, მათ შორის თანამედროვე. ირაკლი ღარიბაშვილის** დამსახურებაც ზუსტად ისაა, რომ **მაქსიმალურად ცდილობს, ქვეყანას ახალი ტიპის შეიარაღება ჰქონდეს,** გარკვეული იარაღი საქართველოშიც შეიქმნას და „დელტამ“, ყოფილმა საავიაციო ქარხანამ, მაქსიმალურად იმუშაოს, მაგრამ, დღევანდელი გამოწვევებიდან გამომდინარე, ეს საკმარისი არაა.

„რეზონანსი“

**ბონდო მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*



კიევში ორი ვარიანტი განიხილებოდა: 1. **საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა** *(ეს უკვე დაადასტურა არესტოვიჩმა)*; **2. საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად გამოყენება იარაღის კონტრაბანდისთვის** *(ეს მალე დადასტურდება).* აი, ამიტომ ისმოდა უსაფუძვლო და ბინძური ბრალდებები საქართველოს ხელისუფლების მიმართ!

„ალია“

**ლევან გოგიჩაიშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



„ქართული ოცნება“ არის **განახლებული ნაცმოძრაობა** და ეს კიდევ ერთხელ დაადასტურეს. ზუსტად ანალოგიური ბრალდებები იყო ნაცებისგან ჩემ მიმართ და იმავეს იმეორებენ „ქოცებიც“. **„ქართული ოცნება“ მალე დაასრულებს ნაცმოძრაობასავით, ოღონდ უფრო მძიმე შედეგებით.**

„ალია“





# „ნეტავ, არც მირიანი გაეშვათ ცხვარიჭამიაში!“

## მედეა ლორთქიფანიძე:

## როგორმე აარიდეთ შვილები იმ დაბადების დღის სუფრას, სადაც მისთვის უცნობი პირები არიან დაპატიჟებული!

*ცხვარიჭამიაში 20 წლის მხატვრის მირიან კუკავას მკვლელობას ეხმაურება ხალხის საყვარელი მსახიობი მედეა ლორთქიფანიძე და მშობლებს მიმართავს:*

— ძალიან ვწუხვარ ახალგაზრდა მხატვრის **მირიან კუკავას** მკვლელობის გამო. მითხრეს, რომ ბახტრიონზე ცხოვრობდა, სადაც ადრე მეც მქონდა ბინა. სამწუხარო ტრადიციად იქცა დაბადების დღეების გადახდა. მოზარდები სახლებს ქირაობენ, სუფრას შლიან და იმის ნაცვლად, რომ იქიდან კმაყოფილები და მხიარულები დაბრუნდნენ, არცთუ იშვიათად მკვლელობის მსხვერპლი ხდებიან. მერე ოჯახებიც უბედურდება, იმ ადამიანსაც შავ დღეში აგდებენ, ვინც სახლი მიაქირავა, იუბილარმაც მთელი ცხოვრება მძიმე ტვირთი უნდა ზიდოს.

**— მირიან კუკავა იუბილარის აგარაკზე იყო დაპატიჟებული...**

— მასპინძელი ოჯახისათვის გაცილებით მძიმეა ეს სიტუაცია. ხალხს ჯერ კიდევ არ გაგვნელებია **გიორგი შაქარაშვილის** მკვლელობის ტკივილი და ახლა ცხვარიჭამიაშიც დატრიალდა ტრაგედია. **გიორგი და მირიანი თავიანთ თაობაში გამორჩეული და ნიჭიერი ახალგაზრდები იყვნენ, ლამაზები და ასე ადრე რატომ უნდა შეწყვეტილიყო მათი სიცოცხლე?!**

როგორც დედა და ორი შვილიშვილის ბებია, მივმართავ მშობლებს —

**თუკი დაბადების დღის აღნიშვნას დააპირებთ, იქნებ ჯობს, სახლში მხოლოდ ოჯახის წევრებთან და რამდენიმე მეგობართან ერთად მიუსხდეთ სუფრას და არ შემოიკრიბოთ შემთხვევით გაცნობილი ადამიანები, მეგობრების მეგობრები ან დაქალების დაქალები?**

30 ან 50 ახალგაზრდის ერთად შეკრება და შემდეგ მათი კონტროლი ძალიან ძნელია, მითუმეტეს, დღევანდელ დაძაბულ დროში. **ცხვარიჭამიაში დაბადების დღეზე იუბილარის დედაც იყო, მაგრამ გაუჭირდა გალიზიანებული ბიჭების დაშოშმინება, დაპირისპირებამ სახლის გარეთ გადაინაცვლა და მკვლელობა მოხდა.** ამიტომ გამოსავალი ერთია — თავი შეიკავეთ ახალგაზრდების ერთად შეკრებისაგან, ცუდი დროა და უკიდურესად ნერვული ფონი!

**— და მაინც, რატომ იმეტებენ ახალგაზრდები ერთმანეთს?**

### „რას იფიქრებდა ირინა ენუქიძე, რომ ღამით კაფეში წასული სანდრო სახლში ცოცხალი აღარ დაუბრუნდებოდა!“




— კონფლიქტის მიზეზია გაჭირვება, უმუშევრობა, უფროსუმცროსობის წაშლა, ოჯახებში მამის ინსტიტუტის დეგრადირება, უდისციპლინობა სკოლებში და განათლების გაუმართავი სისტემა. **როცა სახლში დედ-მამა უფულობის გამო ერთმანეთს ლანძღავს, შვილს აღარ უნდა იმ გარემოში ყოფნა და გაღიზიანებული გარეთ ამჯობინებს გასვლას.** შემდეგ რა გარემოში მოხვდება, ეს კიდევ სხვა საკითხია — შეიძლება ქუჩაში ატეხოს დებოში ან სხვის სახლში, ან ნარკოტიკი მიიღოს, უარეს შემთხვევაში — ვინმე მოკლას. **ამიტომ არავინ იცის, დაბადების დღეზე ვინ როგორი განწყობითა და პრობლემით მივა და ერთი უმნიშვნელო მიზეზიც კი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს სიტუაციის გასამწვავებლად.**

**— ცხვარიჭამიაში მკვლელობის მიზეზად ბანალური რამ — მხრის გაკვრა დასახელდა...**

— მკვლელობა მოხდა და მიზეზი უკვე საინტერესო აღარ არის. როგორც გითხარით, ოჯახის ინსტიტუტი მოიშალა, სახლში ოჯახის წევრები ერთად აღარ სადილობენ, ყველა ცალცალკე ჭამს, შვილებიცა და მშობლებიც ტელეფონებს ჩასცქერიან... ოჯახის უფროსი რომ მამაა და მისი სიტყვა ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს, ეს აღარ ახსოვთ. ღამის 11-12 საათზე კაფეებში რომ სხედან, ეს ნორმალურად მიაჩნიათ და მამამ შვილს რომ შენიშვნა მისცეს — სახლში მოსვლა რატომ დააგვიანეო — შვილი ერთ ამბავს ტეხს, ამიტომ მშობელიც უთმობს. **საჭიროა, ბავშვებს ჩავუნერგოთ მშობლების პატივისცემა, ბებიისა და პაპების სიყვარული, რადგან სიყვარულში გაზრდილი ბავშვები ნაკლებ აგრესიულები არიან.** ცალკე პრობლემაა, როცა მშობელი სამუშაოდ საზღვარგარეთაა წასული. მოხუცი ბებიისა და პაპის იმედად დარჩენილი ბავშვი უფროსებს აღარ ემორჩილება და კონფლიქტიც იწყება. **ბავშვები მშობლებისგან მხოლოდ ფულს ითხოვენ, ისინიც უგზავნიან, როგორც შვილებთან არყოფნის კომპენსაციას. ამიტომ სახელმწიფომ იმაზე კი არ უნდა იფიქროს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაასაქმოს საზღვარგარეთ, არამედ იზრუნოს იმაზე, რომ ჩვენს მოქალაქეებს აქ მისცენ სამუშაო და არ დაუშვან ოჯახების გაყოფა.**

ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს, თორემ საბოლოოდ ჩვენ დავკარგავთ ემიგრაციაში წასულ მოქალაქეებსაც და მშობლებს მონატრებულ შვილებსაც, რომლებიც დედის სითბოსა და ალერსს არიან მოკლებული.

**— შვილებთან დამოკიდებულებაში მშობლების შეცდომებს რაში ხედავთ?**

— მშობლების გასაგონად ხმამაღლა **ვიტყვი: არ გაუშვათ თქვენი შვილები ხალხმრავალ შეკრებაზე.** დაე, შვილი დაგემდუროს, გითხრას, რომ ვერ გაუგე, ცუდი დედა ან მამა ხარ, ოღონდ გადაარჩინე!

იმას არ ვამბობ, რომ სახლიდან არგაშვება გადარჩენის ერთადერთი გზაა და შვილებს გარეთ გასასვლელი კარი აუჭედეთ-მეთქი, მაგრამ ღამით შვილები სხვაგან არ უნდა მიდიოდნენ, აარიდეთ იმ დაბადების დღის სუფრას, სადაც მისთვის უცნობი პირები იქნებიან. გახსოვდეთ — სულ უბრალო მიზეზებით არაერთი მკვლელობაა ჩადენილი. კარგად მახსოვს 1999 წელს **გიორგი შავგულიძის** შვილიშვილის — უმცროსი **გიორგი შავგულიძის** მკვლელობა გუდაურში. იქაც ახალგაზრდები იყვნენ შეკრებილნი და სრულიად უდანაშაულო ბიჭი სიცოცხლეს გამოასალმეს. **გოგი თოფაძის შვილიშვილი ლევან თოფაძეც** ახალგაზრდების რაღაც შეკრებიდან გვიან ღამით დაბრუნებულმა ზურაბ ჟვანიას ვაჟმა დაჭრა. შესანიშნავი გოგოა ზურას მეუღლე, კარგი დედა, მაგრამ მოხდა ეს ამბავი! ამიტომაც ვამბობ — ღამის შეკრებებს კარგი არაფერი მოაქვს!!!

**— ამბობდნენ, რომ ეს ამბავი გოგონას გამო მოხდა...**

— შეიძლება. გოგოები ბიჭებს ერთმანეთზე ახელებენ, ვითომ აეჭვიანებენ და არ უფიქრდებიან შედეგებს. ამას ამბობდნენ **გიორგი შაქარაშვილის** მკვლელობის შემთხვევაშიც, თითქოს გოგოს გამო მოხდა მკვლელობა... კიდევ ერთი რამ მინდა, ვთქვა იმ ქალბატონების გასაგონად, ვინც მეორე ან მესამე ოჯახს ქმნის — **უყურადღებოდ არ დატოვოთ თქვენი შვილები, თვალი ადევნეთ თქვენს ახალ მეუღლეს, ანუ მამობილს, როგორ ექცევა ის თქვენს არასრულწლოვან შვილს ან შვილებს.**

რას იფიქრებდა საწყალი **ირინა ენუქიძე,** რომ ღამით კაფეში წასული თავისი ერთადერთი შვილი **სანდრო** სახლში ცოცხალი აღარ დაუბრუნდებოდა, თორემ ხომ არ გაუშვებდა და გადაარჩენდა! **გიორგი შაქარაშვილის** დედას გიორგი რომ იმ დაბადების დღეზე არ გაეშვა, ხომ ისიც გადარჩებოდა... **ნეტავ, არც მირიანი გაეშვათ ცხვარიჭამიაში...**

## „დაე, შვილი დაგემდუროს, გითხრას, რომ ვერ გაუგე, ცუდი დედა ან მამა ხარ, ოღონდ გადაარჩინე!“

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები



**სოსო გოგაშვილი**
*სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ყოფილი მოადგილე*

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ **პატრიარქი აპირებდა გადადგომას კონკრეტულად 14 ოქტომბერს,** ამის შესახებ **მეუფე შიომაც** დამიდასტურა და თქვა, რომ თვითონ შეწუხებული იყო და ასევე ჩემი ინფორმაციით (რაც საპატრიარქოში ბევრმა იცის) ხელისუფლებასაც ამ დროისთვის არ აწყობდათ პატრიარქის გადადგომა და მათ შეძლეს პატრიარქის გადარწმუნება. ეს ხდებოდა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე. უფრო ადრე, **2020 წელს მე პირადად შევხვდი პატრიარქს და დეტალებში მოვუყევი მასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეების შესახებ** და ამავე დროს დავანახე ჩემი მზაობა, შემეჩერებინა ეს ყველაფერი. მან ჩვეულებისამებრ ყველაფერი მოისმინა და მითხრა შემდეგი სიტყვები, რომელიც არასდროს არ დამავიწყდება: **„იოსებ, შვილო ნუ დაეჯახები მათ, დიდი შური იციან და ამისათვის არ მემეტები“.**

„ალია“



**გოგიტა დალაქიშვილი**
*უსაფრთხოების ექსპერტი*

დანამდვილებით **ვიცი, გოგაშვილი ბოლო წლებში ხვდებოდა ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს,** მათ შორის, პარლამენტის დეპუტატებს და არწმუნებდა, რომ მათ წინაშე არაფერი დაუშავებია და თუ რამ ცუდი გაუკეთა მათ სუსმა, თავად **გოგაშვილი** ამ ყველაფრის წინააღმდეგი იყო. ასევე, გარკვეულ, მათთვის სასარგებლო ინფორმაციასაც აწვდიდა. მოკლედ, **ურთიერთობის დალაგება დაიწყო პოლიტიკურ ოპოზიციასთან.** ახლა ამ შეხვედრებისა და გარიგებების შედეგებს ვხედავთ.

„ალია“



**გოჩა მირცხულავა**
*ანალიტიკოსი*

მოსაყდრის კონკურენტად საკუთარ თავს მოიაზრებს უკვე რამდენიმე და **ზოგი მათგანის კანდიდატურა უკვე შეთანხმებულია რუსეთთან.** ეს არის, პირველ რიგში, **მეუფე ანდრია გვაზავა.** ჩვენ აქ შეგვიძლია მოვიაზროთ თავისი ამბიციებით **მეუფე გერასიმე,** ასევე, **მეუფე დანიელი და მეუფე იაკობი,** რომელიც არ დაყრის ფარ-ხმალს უბრძოლველად. ახლა არის ასეთი გეგმა, რომ **პატრიარქის 90 წლის იუბილეს შემდეგ შეძლონ მისი დაყოლიება, გააკეთებინონ განცხადება გადადგომასთან დაკავშირებით.** ამ გეგმის ნაწილია ისიც, რომ პატრიარქმა ამ განცხადებაში თავისი ფავორიტიც უნდა დაასახელოს.

„ახალი თაობა“

***შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ჩვენი ესა თუ ის თვისება სხვადასხვა დაავადების მასტიმულირებელია. ასტროლოგიაში არსებობს კარმული და სამედიცინო დარგები, რომლის მიხედვითაც ადამიანს გააჩნია 12 ძირითადი ენერგოარხი, ე.წ. მერიდიანები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან და ზეგავლენას ახდენენ ამა თუ იმ დაავადებაზე. თითოეული ქმედება, სიტყვა, აზრი, ემოცია ენერგოვიბრაციული მუხტისგან შედგება, რომელიც სამყაროში გადის და ბუმერანგის პრინციპით უკან ბრუნდება. ბევრს ჰგონია, თუ ადამიანს სიბრაზემ, აგრესიამ გადაუარა, ყველაფერი დასრულდა. სინამდვილეში აგრესია არსად წასულა, ჩვენ ვერ ვხედავთ, თორემ ის უკან ბრუნდება და გარკვეულ ორგანოებს აზიანებს. რომელი თვისება როგორ აისახება ჩვენს ჯანმრთელობაზე და რა დაავადებებს იწვევს? მაშ ასე, ადამიანის ხასიათის შტრიხები და მისგან გამომდინარე დაავადებები ასტროლოგ მიხეილ ცაგარელის მიხედვით!***




# მიხეილ ცაგარელი:
# რომელი თვისება რა დაავადებას იწვევს ადამიანის ორგანიზმში?!

## რა დაავადებებს იწვევს აგრესია, ძალაუფლების გადამეტება და ბრაზი?

— ძალადობისადმი მიდრეკილ ადამიანებში ხშირია **თავის ტკივილები, სისხლძარღვოვანი დაავადებები, შიდა გრძნობათა ორგანოების,** მათ შორის, **ყელ-ყურ-ცხვირის სისტემის მოშლა.** ადამიანები ხშირად ვერ გრძნობენ, რომ სწორედ ბრაზმა და აგრესიამ გამოიწვია მათში უკუპასუხი და ეს დაავადებები.

ეს თვისებები მეტ-ნაკლებად ყველა ზოდიაქოს ნიშანს ახასიათებს, თუმცა, განსაკუთრებით მოჭარბებულად არის **ვერძში, მშვილდოსანში, ლომსა და მორიელში.** ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულები განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ მათში აღნიშნული დაავადებების პროგრესირება არ მოხდეს.

## რა დაავადებებს იწვევს სიჯიუტე, ქურდობისადმი მიდრეკილება და ღალატი?

— სიჯიუტემ, ქურდობისადმი მიდრეკილებამ და ღალატმა შესაძლოა, **ყელის დაავადებები, ენდოკრინოლოგიური პრობლემები, ფარისებრი ჯირკვლისა და სწორი ნაწლავის სისტემის მოშლა** გამოიწვიოს.

სიჯიუტე განსაკუთრებით **მერწყულს, კუროს, ასევე მორიელს, ვერძსა და ლომს** ახასიათებთ. ზოგჯერ მშვილდოსანმაც იცის ძალიან გაჯიუტება. კარგია ექიმი, წამლები, მაგრამ, პირველ რიგში, სწორედ ეს თვისებები უნდა დავძლიოთ, თუ გვინდა, დაავადებებისგან და მისი შემდგომი განვითარებისგან თავი დავიცვათ.

## რა დაავადებებს იწვევს ტყუილებისადმი მიდრეკილება, ეჭვიანობა და

## შინაგანი კომპლექსები?

— ჭორები და ინტრიგები, რომლითაც გაჯერებულია ჩვენი დღევანდელობა, **ფილტვების, ბრონქების, სასუნთქი სისტემის, მხრებისა და ხელების დაავადებების** პროვოცირებას ახდენს. ასევე ეს თვისებები ტყუილთან ერთად კუჭ-ნაწლავის დაავადებებსაც იწვევს. ქალებთან მიმართებაში დიდია რისკი მკერდთან დაკავშირებული პრობლემების განვითარების.

## რა დაავადებებს იწვევს ზედმეტი სიამაყე, გადამეტებული ეგოიზმი და ამბიციები?

— ზედმეტი სიამაყე და ამბიციები, პირველ რიგში, **გულსისხლძარღვთა სისტემას** ურტყამს, შესაძლოა, გამოიწვიოს **ინფარქტი და გულთან დაკავშირებული სხვა პრობლემები.** ამერიკელებმა ერთი ძალიან საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს. ლომი ისეთ ადგილას მიიმწყვდიეს, საიდანაც გასაქცევი არ ჰქონდა — წინ ძაღლები იყვნენ, უკან — ჯებირი. ამ მდგომარეობაში მყოფ ცხოველს ინფარქტი განუვითარდა — გული გაუსკდა. მის ადგილზე მყოფი ვეფხვი იმ ძაღლებს დაგლეჯდა და თვითონაც მოკვდებოდა, მაგრამ ლომმა ეს არ გააკეთა — რას ჰქვია აქ მომიმწყვდიეთ, მე ცხოველთა მეფე ვარო. განსაკუთრებული სიამაყე აქვთ **ლომის, ვერძისა და მორიელის** ზოდიაქოში დაბადებულ ნიშნებს. ცხადია, სიამაყე ადამიანს უნდა ჰქონდეს, მაგრამ გადამეტებულმა სიამაყემ, შესაძლოა, ადამიანის ჯანმრთელობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს.

## რა დაავადებებს იწვევს უსაქმურობა, ცინიზმი და სიტყვის გატეხა?

— ამ თვისებების მქონე ადამიანებში დიდია ალბათობა, **ნაწლავის და, შესაბამისად, კუჭის პრობლემები** განვითარდეს.

კატეგორიულად ეკრძალებათ უსაქმურობა და უმუშევრობა **ქალწულებს!** შეიძლება სულაც არ იყოს უსაქმური, მაგრამ უმუშევრად დარჩენილს ნაწლავთა სპაზმი დაეწყოს.

## რა დაავადებებს იწვევს სხვისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევა, ორმაგი თამაში?

— თითქოს ისეთი არაფერი, მაგრამ ეს თვისებები ძალიან ცუდად მოქმედებს **თირკმლებზე, ენდოკრინოლოგიურ სისტემაზე და ყელის ზონაზე.** აქ, პირველ რიგში, სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ **სასწორის, ტყუპების, თევზების ზოდიაქოს ნიშანში დაბადებულებმა.**

## რა დაავადებებს იწვევს ბოღმა, წყენა, შური, სამაგიეროს გადახდის სურვილი?

— ეს თვისებები პირდაპირ ურტყამს **შარდსასქესო, რეპროდუქციულ სისტემას,** უფრო მეტიც, შეიძლება ადამიანს პრობლემები შეექმნას წმინდა სექსუალური კუთხითაც და სხვა მიდრეკილებები გაუჩნდეს. ამ თვისებების გამოვლენა, გაძლიერება იწვევს ინტიმურ სფეროში ჰორმონალურ ცვლილებებსა და გადახრებს. **გეი-პრობლემები ხშირად აქედან მოდის.**

განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ **მორიელისა და მშვილდოსნის ზოდიაქოში დაბადებულ ნიშნებს,** რომლებმაც წყენაც იციან და სარკასტული გამოთქმებიც ახასიათებთ.

## რა დაავადებებს იწვევს ცხოვრების დრამატიზებისადმი მიდრეკილება, უსიხარულობა?

— იმ ადამიანებს, რომლებიც სულ დანაღვლიანებული და შეწუხებული არიან, **ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის პრობლემები** აქვთ. შემთხვევით არ ამბობენ უსიხარულოდ მყოფ ადამიანზე, ნაღვლიანიაო. იმისთვის, რომ ამ ორგანოებმა ნორმალურად იმუშაოს, საჭიროა ოპტიმიზმი, მეტი სიხარული და იუმორი.

## რა დაავადებებს იწვევს დიქტატორული, ქედმაღლური თვისებები, კონკურენტების მოშორების სურვილი ნებისმიერი გზით?

— ეს თვისებები ძვლოვან სისტემას ურტყამს — **ხერხემალს, მუხლებს, სახსრებს** და ა.შ. ქედმაღლობითა და დიქტატორული თვისებებით განსაკუთრებით **თხის რქის ზოდიაქოს ნიშანში დაბადებულები** გამოირჩევიან. ამიტომ, პირველ რიგში, მათ უნდა გამოასწორონ ეს ხასიათი, რომ აღნიშნული პრობლემებისგან თავი დაიცვან.

## რა დაავადებებს იწვევს სულსწრაფობა, თავისუფლების შეზღუდვა სხვებისადმი, შიში, დეპრესია, შფოთვები, მკვლელობა და ა.შ?

— ეს თვისებები ადამიანში **ენდოკრინოლოგიური სისტემის, მხედველობის, ლიმფური სისტემის მოშლას, ნერვულ აშლილობას, ნარკომანიასა და ლოთობისადმი მიდრეკილებას** იწვევს.

იმისთვის, რომ ეს დაავადებები დავძლიოთ, კარგი იქნება, არამარტო ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის შესრულება, არამედ ამ თვისების ხასიათიდან აღმოფხვრა. გახსოვდეთ, ბუნებაში არაფერი იკარგება, თქვენ მიერ გაშვებული ენერგია ბუმერანგის პრინციპით ბრუნდება უკან და თქვენსავე ორგანიზმს ნეგატიურ დაღს ასვამს. პირველ რიგში, საკუთარ თავს დაუწესეთ მაქსიმალური კონტროლი, გამოასწორეთ უარყოფითი თვისებები, რომ ჯანმრთელები და ბედნიერები იყოთ!

*მოამზადა*
***ნატო ფოცხიშვილმა***



## კვირგვინოსნები

**გურამ დოლენჯაშვილი**
*მხატვარი*



კულტურა წავიდა უკან და საბოლოოდ მივედით იქამდე, რომ **ხელოვნების მუზეუმიდან ყოვლად უსაფუძვლოდ დაითხოვეს გამოცდილი ხალხი.** უცოდინარებმა ჩააჩოჩეს პროფესიონალები, **სამინისტროები გადაივსო გავლენიანი ხალხის ცოლებით, ბიძაშვილებით, დეიდებით და მამიდებით.** 1979 წლის ზაფხულში ჩუკოტკაში სამი თვის განმავლობაში ესკიმოსებთან ვცხოვრობდი და ვნადირობდი. იქ ვნახე პირველად **ზღვის ლომის პენისი,** რომელიც ძვლისაა. ქუთაისში ოთხი ცალი ჩამოვიტანე. მათ შორის ყველაზე დიდი 86 სანტიმეტრია. საზღვარგარეთიდან უამრავი სტუმარი დადიოდა ჩემთან სახელოსნოში ამ **უნიკალური პენისის** სანახავად.

50 წელია, ერთი უტოპიური ოცნება მაქვს. **სიამოვნებით დავთმობდი 21-ე საუკუნეში ცხოვრებას და გადავსახლდებოდი მე-19 საუკუნეში,** სადაც კლასიკური მხატვრობა ფასობდა. მაშინ არ იყო მოგონილი ეს უნიჭო ინსტალაციები, ისეთი, ახლა **ერთმანეთზე შეფურთხებას ხელოვნებას** რომ ეძახიან.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ჩომახაშვილი**
*ჟურნალისტი*



რუსთავის კარფურში და მაკში **რუსულენოვან მომხმარებლებს ქართულად პასუხობენ,** რაც მათ გაღიზიანებას იწვევს. ამის გამო ხშირად პროვოკაციულადაც მიმართავენ მომსახურე პერსონალს და ცდილობენ, რომ მენეჯერს მიმართონ შენიშვნით... რამდენჯერმე შევესწარი მსგავს ფაქტს, **იმედია, მენეჯერები თანამშრომლებს ამის გამო არ სჯიან.**

„ალია“

**დავით ნინიაშვილი**
*საქართველოს ეროვნული ნაკრების მორაგბე*



მოედანზე, უმეტესწილად, **მოწინააღმდეგეების ნერვებზე „ვთამაშობ“,** ვცდილობ, მოულოდნელი გადაწყვეტილებებით „ავჭრა“ მეტოქეები, მათი დაბნეულობით ვისარგებლო და მიზანს მივაღწიო.

„კვირის პალიტრა“



# მიხეილ ცაგარელი:
# რეტროგრადული სატურნის გაკვეთილები

***— კუროთა უმრავლესობისთვის რეტროგრადული სატურნის პერიოდში რისი მაღალი ალბათობა იარსებებს, რა შეიძლება დათმოს? ეს დრო რას გაუთავისუფლებს ადგილს და ამისათვის რა მოეთხოვება? ტყუპისთვის ეს პერიოდი რა შემთხვევაში იქნება დადებითი შედეგების მომტანი, რა უნდა გამოავლინოს და რას უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება? კირჩხიბთან მიმართებით რეტროგრადული სატურნი რომელ სფეროებზე მოახდენს ზეგავლენას, ვის ან რას შეეხება, რისი დაფარვა მოუწევს? ლომს რა მოეთხოვება? სად შეიძლება წარმოექმნას სერიოზული პრობლემა და რისი გაანალიზება მოეთხოვება? ქალწულს რისი მოგვარების საშუალება მიეცემა? რა უნდა დაიცვას? რისი კომპენსირება უნდა შეძლოს და კიდევ რისთვის იქნება რეტროგრადული სატურნის პერიოდი კარგი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— განვაგრძოთ რეტროგრადულად, ანუ უკუსვლით მოძრავი პლანეტა სატურნის ზემოქმედების დახასიათება, ზოგადად, ზოდიაქოს თითოეული ნიშნის წარმომადგენლისთვის. კუროს ნიშნით დაბადებულისთვის ეს ზეგავლენა ძირითადად რომელ სფეროებზე აისახება?**

— **2. კუროთა უმეტესობისთვის რეტროგრადული სატურნის ზეგავლენა შეეხება სტატუსის ამაღლებას, კარიერას, სამსახურსა და ბიზნესს. არსებობს სამსახურის დაკარგვისა და ჩანაფიქრის არგანხორციელების ალბათობა. თუმცა, არც დანაწილება, ახალი ბიზნესის დაწყება ან ახალ პროექტში მონაწილეობა იქნება გამორიცხული.** ასევე შესაძლოა, ადრე გაწეული შრომა და ერთგულება დაფასდეს. ამ პერიოდში შესაძლებელია, ზოგიერთი ძველი ვალდებულებისაგან გათავისუფლება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გარკვეული ნაწილის დათმობა და გარშემო მყოფებზე გადანაწილება, რათა დრო და ენერგია უფრო მომგებიან და პერსპექტიულ საქმესა თუ მოვალეობას დაეთმოს. მთლიანობაში ეს დრო ახალი მიღწევებისა და წინსვლისთვის ადგილს გაგითავისუფლებთ, მაგრამ, ამავდროულად აუცილებელია ადრე დაწყებული საქმეების დასრულება და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გაუმჯობესება.

**3. ტყუპისთვის რეტროგრადული სატურნის ზემოქმედება დადებითი შედეგის მომტანი იქნება, თუ საქმიანობას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება; რაიმეს ძირეულად შესწავლას დაიწყებს; აუცილებელ ინფორმაციას სრულად მიიღებს, დააგროვებს და გააანალიზებს, დროს რაციონალურად დაგეგმავს, მეტ პასუხისმგებლობასა და ნებისყოფას გამოიჩენს. ამ დროს მიღებული ნებისმიერი სახის ცოდნა მომავალში პოზიტიურ შედეგს მოიტანს.** ასევე, შესაძლოა აუცილებელი გახდეს უცხოეთში სწავლის გაგრძელება, რაც ფინანსებსაც დაუკავშირდება და აიძულებს, ფული ყაირათიანად ხარჯოს. ამავდროულად, უცხოეთთან და უცხოელებთან დაკავშირებული საქმეების გადაწყვეტა მოსალოდნელია მხოლოდ სატურნის რეტროგრადული მოძრაობის დასრულების შემდეგ. აგრეთვე ეს დრო კარგი იქნება საკუთარი ბიზნესისა თუ ბრენდისთვის, მათი რეკლამირებისთვის, ურთიერთობის აღდგენისთვის და საკამათო იურიდიული საკითხების დარეგულირებისთვის. ასევე სულიერი და რელიგიური პრაქტიკებისთვის. პრობლემების გვერდის ასავლელად აუცილებელია, იყოს მოწესრიგებული, დისციპლინირებული, პუნქტუალური და საზოგადოებრივი ნორმები დაიცვას. დეტალებს მეტი ყურადღება მიაქციოს. ამ დროს გაწეული შრომა ფუჭად არ ჩაივლის, რამეთუ, დიდია იმის ალბათობა, რომ მომავალში ავტორიტეტული და წარმატებული გახდეს.

**4. კირჩხიბისთვის რეტროგრადული სატურნის ზემოქმედება ძირითადად შეეხება ფინანსებს, ვალებს, სესხებს, კრედიტებს, ქონების გაყოფას ან წილის მიღებას. ასევე იმ ერთობლივ საქმეებს, რომლებსაც აფინანსებს მეუღლე ანდა ბიზნეს-პარტნიორი.** აგრეთვე მათი მხრიდან მოწესრიგებულობას, იურიდიულად ოფიციალურ გაფორმებას, ვალდებულებებისა და წილების გადანაწილებას. ნიშანდობლივია, რომ ამ პრობლემების მთლიანად დარეგულირება შესაძლებელი იქნება პლანეტა სატურნის რეტროგრადული ფაზის დასრულების შემდეგ. მანამდე კი მოუწევს, ვალები, ჯარიმები, გადასახადები დაფაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სატურნის რისხვა არ ასცდება, რაც უფრო მეტად დააზარალებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დრო არ გამოდგება დიდი ხარჯებისთვის ან ახალი ვალის ასაღებად. იმ **კირჩხიბებისთვის** კი, რომლებსაც ვალები არა აქვთ, რეკომენდებულია, ამ დროს ფულის დაგროვება დაიწყონ. ამ შემთხვევაში მომავალში ისინი დაგროვილი თანხების მომგებიანად ინვესტირებას განახორციელებენ.

**5. ლომის ნიშნით დაბადებულნი კი რეტროგრადული სატურნის ზეგავლენას ძირითადად იგრძნობენ პირად და საქმიან ურთიერთობებში.** ნიშანდობლივია ისიც, რომ პლანეტა სატურნს უყვარს პატიოსნება, სამართლიანობა, ერთგულება, გახსნილი ურთიერთობა, ამიტომ ყველა იმ კავშირში, სადაც სატურნისეული პრინციპები ირღვევა, შესაძლოა, სერიოზული პრობლემა წარმოიქმნას. ის ხარვეზები გამოჩნდეს, რომელიც დაფარული იყო. **არ არის გამორიცხული, ზოგიერთი კავშირი გაწყდეს. ზოგი ურთიერთობა კი სასამართლოს გასარჩევიც გახდეს. იმისათვის, რომ მომავალში მსგავსი პრობლემა არ წარმოიქმნას, სასურველია, ლომის ნიშნით დაბადებულმა მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს და სიტუაცია დროულად დაარეგულიროს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის მიზეზი და წამომწყები თავად არის.** წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მომავალში სანდო, გახსნილი ურთიერთობის დამყარება გაუჭირდეს. აგრეთვე კარგი იქნება, თუკი ამ პერიოდში გააანალიზებს საკუთარ პრიორიტეტებს, პარტნიორის თვისებებს და ქცევებს. ასევე ურთიერთობებსაც გადააფასებს და მათ და საკუთარ თავსაც ახლებურად მიუდგება, რადგან შემდგომში პარტნიორის არჩევისას მსგავსი შეცდომები არ დაუშვას.

**6. ქალწულის ნიშნით დაბადებულს კი რეტროგრადული სატურნი საშუალებას მისცემს, ის პრობლემები მოაგვაროს, რომელიც დიდი ხანია, ძალიან აწუხებდა. სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა მოიწესრიგოს, ჯანმრთელობა გაიუმჯობესოს.** თუ აქამდე პირად რესურსებს არასწორად მართავდა, ორგანიზმს არ ინდობდა, შრომისა და გართობა-დასვენების ბალანსს არ იცავდა, ახლა ყოველივე ამის კომპენსირება მოუწევს, ანუ **სატურნი** ითხოვს მისგან წესრიგის, მკაცრი დღის განაწესის, დიეტის დაცვას. ასევე ვარჯიშს, თავშეკავებას, სხვადასხვა პროცედურას, რომლებიც ჯანსაღი ცხოვრების წესით განისაზღვრება. **რეტროგრადული სატურნის** პერიოდი, ასევე კარგია სამკურნალო პროცედურებისთვის და სამედიცინო გამოკვლევისათვის. შინაური ცხოველების მეპატრონეებს კი შესაძლოა, თავიანთი ოთხფეხა მეგობრებისთვის მეტი ყურადღების დათმობა მოუწიოთ.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 8-14 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**სიახლეები ნუ შეგაშინებთ, რათა ძველი ფასეულობანი ახალი პრიორიტეტებით შეცვალოთ. ნიჭისა და უნარების გამოყენებით დამატებითი შემოსავლის მიღება გაგიადვილდებათ. სირთულის შემთხვევაში, ახლობლებსა და მეგობრებს მიმართეთ. ურთიერთობისას დათმობა გაგიჭირდებათ, რაც დაძაბავს სიტუაციას. მოგზაურობისას ეცადეთ, კონფლიქტური არ იყოთ, რათა უცნობებთან ან სამართალდამცავ სტრუქტურებთან პრობლემა არ შეგექმნათ.**

**კურო** (21.04-20.05)
**თქვენს ყურადღებას ფინანსური საკითხი მიიპყრობს. ამ პერიოდში არსებული იდეები უპერსპექტივო აღმოჩნდება. არეული გონების გამო, შესაძლოა, თავი თავად შეიყვანოთ იმ ჩიხში, რომლიდანაც გათავისუფლება მეტად გაგიჭირდებათ. სასიყვარულო სფეროში, შესაძლოა, გადაუდებელი გადაწყვეტილების მიღება მოგიწიოთ. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ სუფთა ჰაერზე. მიღებული ინფორმაცია კი აუცილებლად შეამოწმეთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**კარგი პერიოდია დასვენებისთვის, მიმოწერისთვის, ინფორმაციის მისაღებად, სწავლისთვის ან სამედიცინო გამოკვლევისთვის. ინტრიგებს არ აჰყვეთ და არავისზე წყენა გულში არ ჩაიდოთ, რათა დანაკარგი არ განიცადოთ. სიამოვნებას მოგგვრით ცოლქმრული და სასიყვარულო კავშირი, სადაც ბევრი სიურპრიზიც გელოდებათ. ყოფით საკითხებში, შესაძლოა, მეგობრებისგან და ნათესავებისგან დახმარება მიიღოთ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**პირადი ბიზნესისა და კარიერისთვის არახელსაყრელი პერიოდია. ოპონენტმა ან კონკურენტმა შესაძლოა, ჭორები გაგივრცელონ, ამიტომ დროულად მიხედეთ, რათა დიდ ან სულაც სასამართლო გარჩევაში არ მოგიწიოთ მონაწილეობის მიღება. მეუღლე ან შეყვარებული ყოველმხრივ ეცდება დაგეხმაროთ და რიგი საქმეებისგან გაგათავისუფლოთ. რეალური გეგმები მომავალში ასრულდება. ფინანსურად კი დახმარებას ახლობლებისგან მიიღებთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**სიტუაციას რაც უფრო რეალურად შეაფასებთ, მოქმედებისას მით უფრო ნაკლებ შეცდომებს დაუშვებთ. ამ პერიოდში უფრო დამოუკიდებელი გახდებით და სულიერი და მატერიალური სიმყარის მოთხოვნილება გაგიჩნდებათ. ემოციური ქაოსი სასიყვარულო ურთიერთობასა და ხელმძღვანელთან დამოკიდებულებაში სირთულეებს შეგიქმნით. თქვენს ცხოვრებაში კარდინალურად ნურაფერს შეცვლით, რადგან არჩევანისას, შესაძლოა, შეცდომა დაუშვათ. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**მეგობრებთან კამათს მოერიდეთ და ეცადეთ, ყველასთან ტაქტიანი იყოთ. პირადმა დაპირისპირებამ, შესაძლოა, მომავალში დიდი პრობლემა შეგიქმნათ. საქმიანი აქტიურობის ზრდა პოპულარობასა და პატივისცემას გიქადით. ფინანსებთან ან გრძელვადიან ბიზნესთან დაკავშირებული ოპერაციებიც მომგებიანი იქნება. შორეული მოგზაურობა ჯობს, გადადოთ და საქმეში წარმატებისთვის მეუღლის ან შეყვარებულის რჩევებს მეტი ყურადღება მიაქციოთ.**

## 8-14 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**კარიერული აღმასვლა დამოკიდებული იქნება თქვენს ინტუიციასა და წინდახედულობაზე. კარგი დროა დამატებითი ცოდნის მისაღებად. წარსულის გამოცდილება ახალ ურთიერთობაზე უარს გათქმევინებთ. პირადი პრობლემა დაუკავშირდება მეუღლის ან შეყვარებულის გრძნობის ზედაპირულობასა და სიცივეს, რაც, შესაძლოა, მშობლების დავის საკითხადაც იქცეს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ეცადეთ, პერიოდულად დაისვენოთ. შორეული მოგზაურობა კი გადადეთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**მატერიალური პრობლემა მეტ ყურადღებას ითხოვს. შესაძლოა, ოჯახის წევრებს ან ნათესავებს დახმარება დასჭირდეთ, მოლაპარაკება-შეხვედრები ბევრ დროს წაგართმევთ. ინტუიცია გაგიძლიერდებათ, ექსპერიმენტების ჩატარებას მოერიდეთ. გადაადგილებები წარმატებას მოგიტანთ. დასვენების მიზნით, კარგია ქალაქიდან სადმე გამგზავრება, ახლობლები დახმარებას გაგიწევენ პირადი პრობლემის გადაწყვეტაში ან შეყვარებულთან დაკავშირებულ გაუგებრობაში.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**საზოგადოებრივი საქმიანობა თვითკმაყოფილებასა და პატივისცემას მოიტანს, მაგრამ ორ საქმეს ერთად ნუ შეასრულებთ. მოქმედებისას შეეცადეთ, მოზღვავებული ემოციები თავს არავის მოახვიოთ, რათა აგრესია არ გამოიწვიოთ. გარშემო მყოფებთან კონფლიქტი ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. კარგია ახალი საქმეების გააზრება, თუმცა, მათი დაწყებისთვის ჯერ არახელსაყრელი პერიოდია. მოლაპარაკება, შესაძლოა, ჩაიშალოს, ხოლო ინფორმაცია არ იყოს სრულყოფილი.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**ნურაფერზე ინერვიულებთ. ეცადეთ, შინაგანი სიმშვიდე შეინარჩუნოთ. გარკვეული გარემოებებისა და ცვლილებების გამო შეყვარებულთან სერიოზული უთანხმოებაა მოსალოდნელი. სახლში შესაძლოა, პატარა რევოლუცია მოაწყოთ, რაც მოთხოვნათა სიჭარბესა და გარდაქმნების სურვილს დაუკავშირდება. მატერიალური პრობლემებიც გართულდება. ბუნებაში მეტი დრო გაატარეთ და ეს პერიოდი კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლისთვის გამოიყენეთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ოჯახს მეტი დრო დაუთმეთ, რათა ეჭვიანობის გამო მეუღლესთან კონფლიქტი არ მოგივიდეთ. კარგი პერიოდია მოლაპარაკებებისთვის და უცხოელ პარტნიორებთან კონტაქტის გასამყარებლად. ინოვაციური პროექტები მომავალში წარმატიებას გიქადით. ახალი ინფორმაციის ათვისება გაგიადვილდებათ, თუმცა, ენერგიის ნაკლებობის გამო ხშირად დაისვენეთ. კარგი იქნება, თუ დროებით საქმეს გადადებთ და სადმე დასასვენებლად გაემგზავრებით.**

**თევზები** (19.02-20.03)
**საკუთარ თავს იმაში ნუ დაადანაშაულებთ, რისი შეცვლაც არ შეგიძლიათ. წარმატებისთვის კარგად ცნობილი და გამოცდილი მეთოდებით უნდა იხელმძღვანელოთ. ახლო მანძილზე მოგზაურობა ბევრ დადებით შეგრძნებასა და ემოციებს მოგიტანთ. უცხოელებთან კონტაქტი მომავალში მომგებიანი პროექტების საწინდარი გახდება. საზოგადოებრივ შეხვედრა-თავყრილობებზე კი შესაძლოა, მომავალი სასიყვარულო პარტნიორი გაიცნოთ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 9, 11, 12 და 13 აგვისტო

**12 აგვისტო – სავსემთვარეობა;**
**27 აგვისტო – ახალმთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 8 აგვისტო, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.02 საათზე, ჩადის 19.11 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.40) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 16.25 საათზე, ჩადის 9 აგვისტოს 00.18 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 19.35 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.30 საათიდან 22.40 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს სამუშაოს შესრულებისას სათანადო უსაფრთხოების ზომები დაიცავით. ურთიერთობისას მომატებულმა აგრესიამ, გაღიზიანებამ, სარკაზმმა, შესაძლოა, კონფლიქტი გამოიწვიოს. დღეს დაწყებული საქმე შემდგომში კარგად წარიმართება. ეფექტურია ფილტვების, ბრონქების, ხელების მკურნალობა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, სპორტული ღონისძიებებისა და ვარჯიშებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, თანამშრომლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა, სვირინგის გაკეთება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, ძვლოვანი სისტემა. **ქვები:** ფირუზი, ცირკონი, საფირონი, ქარვა, ლაზურიტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 9 აგვისტო, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.03 საათზე, ჩადის 19.09 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 17.33 საათზე, ჩადის 10 აგვისტოს 01.13 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 20.43 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხელი შეეწყობა მნიშვნელოვან ცვლილებებსა და ძველი წამოწყების განახლებას. პარტნიორის დახმარებასა და მის იდეებს ნუ უგულებელყოფთ. სასიკეთოა ლოცვა. ყველას ბედნიერება უსურვეთ და მადლიერება გამოხატეთ. ეფექტურია კუჭის, მკერდის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მკურნალობა. სიმშვიდე და წესრიგი დაიცავით. კარგი დღეა მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, ქათინაურებისთვის. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ახალი კავშირის დამყარება, სტომატოლოგიური პროცედურები, მანუალური თერაპია. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 10 აგვისტო, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.04 საათზე, ჩადის 19.08 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.46) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 18.29 საათზე, ჩადის 11 აგვისტოს 02.21 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 21.26 საათზე, მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.39 საათიდან 22.46 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს შესაძლოა საიდუმლო გამჟღავნდეს. საღამოს მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტრომოწყობილობასთან მიმართებით. კარგი დღეა კონსულტაციისთვის, სწრაფი სიარულისა და ვარჯიშისთვის, ცურვისთვის, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მანქანისა და საათის შესაძენად, კოლექციის შესაგროვებლად, ტატუირებისა და ეპილაციისათვის. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, სტომატოლოგიური პროცედურები, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, ქორწინება, ფინანსური ოპერაციები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი, ნერვული სისტემა. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, ყვითელი იასპი, ოპალი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 11 აგვისტო, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.05 საათზე, ჩადის 19.07 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 19.14 საათზე, ჩადის 12 აგვისტოს 03.38 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 21.52 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან სიყვარულისა და ხელოვნების მმართველი პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს ლომის ზოდიაქოში (5 სექტემბრამდე), რაც პარტნიორულ ურთიერთობებში გაამახვილებს კეთილშობილებას, ენთუზიაზმს, ოპტიმიზმს, აქტიურობას, არტისტულობას და ასევე სიზარმაცეს, სიჯიუტეს, უყაირათობასა და ეგოიზმსაც. ფინანსური შემოსავლის გაზრდა მოსალოდნელი იქნება თეატრალური და მუსიკალური დადგმების, არქიტექტურის, საბავშვო ცენტრების, გასართობი ინდუსტრიის მეშვეობით. დღეს კარგია სველი წესით დალაგება, ელექტრო, აირ და კომპიუტერული აპარატურის შეძენა, რემონტი, ბინის შეცვლა, სესხის აღება, რეფორმატორული და საზოგადოებრივი საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა. არ არის სასურველი გონების ზედმეტად დატვირთვა, ექსპერიმენტები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 12 აგვისტო, პარასკევი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.06 საათზე, ჩადის 19.05 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.45) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 19.50 საათზე, ჩადის 13 აგვისტოს 04.59 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 22.08 საათზე. **სავსემთვარეობაა. პიკი** — 05.37 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.07 საათიდან 22.45 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სავსემთვარეობაა. მეტი ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინეთ. მზისა და მთვარის ენერგიების დაპირისპირება განაპირობებს აგრესია-დეპრესიას, ავარიებს, ტრავმებს, ცდუნებებს, შეცდომებს, კონფლიქტებს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. არ არის სასურველი ალკოჰოლური სასმლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, გარისკვა, საიდუმლოს გამხელა, ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება ან გასესხება. პროვოკაციებს არ აჰყვეთ, რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. სითხის მიღება შეამცირეთ, ემოციები აკონტროლეთ. სასიკეთოა ლოცვა. იმოქმედეთ პრინციპით: „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, მხედველობა, ფეხზე ვენები, ტერფები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, გიშერი, ციტრინი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 13 აგვისტო, შაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.07 საათზე, ჩადის 19.04 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 20.19 საათზე, ჩადის 14 აგვისტოს 06.18 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 22.20 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ურთიერთობისას გამოავლინეთ მეტი მოთმინება და მზრუნველობა. კარგი დღეა კარადებისა და საბუთების მოსაწესრიგებლად, მგზავრობისთვის, ქორწინებისთვის, იურისტებთან კონტაქტისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ქველმოქმედებისთვის, კერვისთვის. არ არის სასურველი ნარკოტიკული და ფსიქოტროპული პრეპარატების მიღება, ანალიზების ჩაბარება, საიდუმლოს გამხელა. შედეგიანია კუჭ-ნაწლავის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ლიმფური და ნერვული სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 14 აგვისტო, კვირა

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.08 საათზე, ჩადის 19.03 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.44) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 20.44 საათზე, ჩადის 15 აგვისტოს 07.35 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 22.29 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.10 საათიდან 23.44 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მშვიდად დაისვენეთ, ფეხით გაისეირნეთ. ფიზიკურად და სულიერად ნუ გადაიღლებით. თვალებს გაუფრთხილდით. ემოციები აკონტროლეთ. არ არის სასურველი ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმეების წარმოება, ახალი საქმის დაწყება, სესხის გაცემა ან მიღება. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისათვის, შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, ქველმოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები, ტერფები, სისხლძარღვები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ **8 აგვისტო. ორშაბათი.** მღვდელმოწამისა ერმოლაოს ხუცესისა და მოწამეთა: ერმიპესი და ერმოკრატესი, ნიკომიდიელთა; ღირსმოწამისა პარასკევასი.

✝ **9 აგვისტო. სამშაბათი. დიდმოწამისა და მკურნალისა პანტელეიმონისა;** ღირსისა ანთისა აღმსარებელისა, იღუმენიასი და 90-თა დათა მისთა; მოციქულთა სწორთა: კლიმენტისა, ოხრიდელი ეპისკოპოსისა, ნაუმისა, საბასი, გორაზდისა და ანგელარისა.



**9 აგვისტო – დღესასწაული დიდმოწამისა და მკურნალისა პანტელეიმონისა**

✝ **10 აგვისტო. ოთხშაბათი. ღირსისა გიორგი მაშენებელისა, ათონელისა;** 70-თაგანთა მოციქულთა: პროხორესი, ნიკანორისა, ტიმონისა და პარმენ დიაკონთა; მოწამეთა: ივლიანესი, ევსტათი ანკვირელისა, მხედრისა და აკაკისა; მოწამისა იზიტბუზიტისი, რომელი იყო ნათესავით სპარსი და იწამა სპარსთა მიერ ცეცხლისმსახურთა.

✝ **11 აგვისტო. ხუთშაბათი.** მოწამისა ევსტათი მცხეთელისა; მოწამისა კალინიკე ღანგრელისა; მოწამისა სერაფიმა ქალწულისა; მოწამისა თეოდოტიასი და სამთა შვილთა მისთა; ღირსმოწამისა მიქაელისა.

✝ **12 აგვისტო. პარასკევი.** აღმსარებელისა ცოტნესი, საქართველოსთვის თავდადებულისა; 70-თაგანთა მოციქულთა: შილასი, სილოვანესი, კრისკენტისა, ეპენეტოსი და ანდრონიკესი; მოწამისა იოანე მხედრისა; მოწამეთა: პოლიქრონისა, ბაბილონელი ეპისკოპოსისა, პარმენ, ელიმე და ქრისოტელ ხუცესთა, ლუკა და მუკო დიაკონთა, აბდონი და სენისი სპარსეთის მთავართა და მოწამეთა ოლიპისა და მაქსიმესი, მღვდელმოწამისა ვალენტინე ეპისკოპოსისა და სამთა მოწაფეთა მისთა მოწამეთა; პროკულისა, ეფიბისა და აპოლონისა და მართლისა აბუნდისა.

✝ **13 აგვისტო. შაბათი. წინადღესასწაული უფლის ცხოველმყოფელი ჯვარის პატიოსანთა ძელთა შემოყვანებისა.** ღირსისა არსენისა, ნინოწმიდელი ეპისკოპოსისა; მართლისა ევდუკიმო კაბადოკიელისა; მოწამისა ივლიტასი.

✝ **14 აგვისტო. კვირა. შემოყვანება პატიოსანთა ძელთა უფლის ცხოველმყოფელისა ჯვარისა;** მოწამეთა შვიდთა ძმათა მაკაბელთა: აბიმისა, ანტონინესი, გურიასა, ელიაზარისა, ევსევონისა, ალიმისა და მარკელისა, დედისა მათისა სოლომონიასი და მოძღვრისა მათისა ელიაზარ მღვდელისა; 9-თა მოწამეთა პამფილიის პერგიას: ლეონტისა, ატისა, ალექსანდრესი, კინდევსისა, მინსითევსისა, კვირიაკესი, მინეონისა, კატუნისა და ევკლესი; **დასაწყისი მიძინების — მარიამობის მარხვისა. წირვის შემდეგ — წყლის კურთხევა.**





საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55



ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!



ქალბატონი ელი ამაშუკელის საგვარეულო მალამო 14 წელია, უამრავ ადამიანს კურნავს. ჩვენმა უამრავმა პაციენტმა დაამარცხა ძალზე ვერაგი სახსროვანი დაავადებები. შეიმსუბუქეთ მტანჯველი ტკივილები და უარი თქვით ნემსებზე, მედიკამენტებზე, ჰორმონებზე და უშედეგო მკურნალობაზე, გადაყრილ ფულზე. აჩერებს ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა და ოსტეოპოროზის (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს ანთებას თიაქრის დროს და უბრუნებს სახსარს ქმედითუნარიანობას; კურნავს მუხლის სახსროვან პათოლოგიებს და ხსნის ტკივილს; კვებავს სახსარსა და ძვალს; აფერხებს სითხის განლევას; ხსნის შეშუპებასა და დასიებას; აცხრობს ვენების ანთებით პროცესს; აჩქარებს გაბზარული ძვლის აღდგენას; ამაგრებს ქსოვილებს და მყესებს; აუმჯობესებს კანის სტრუქტურას და მასაჟის ფონზე ერევა ცელულიტს; ხდის კანს ელასტიკურს; შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.

მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.

თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599–22–59–09



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574–73–46–96, 243–01–17
555–68–82–90




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ყანჩა; 8. მიანმა; 11. ბეჰემოთი; 12. როდეო; 13. რისკი; 14. რბოლა; 15. პეკინეზი; 16. ზონდი; 17. მზაღო; 18. კლელია; 19. ტიტანიკი; 23. ნამყო; 24. ქერა; 26. ნისლი; 27. ბანდეროლი; 28. ლაყე; 31. მეტრი; 32. ბამბა; 34. არაგონიტი; 39. დრენა; 40. როკო; 42. ტონგა; 43. აფრიკაანსი; 44. სიტი; 46. გარბო; 47. პინა; 49. კატაბალახა; 54. ნიხრი; 55. სადი; 57. რეპი; 58. ბანდერასი; 59. ქისა; 60. აგორა; 61. ნელი; 62. ლერწი; 63. მოტივი; 64. ფილიპიკა; 65. აპია.

შვეულად: 1. ბელელი; 2. მედინა; 3. მოჭერი; 4. ყირიმი; 5. ნესკაფე; 6. არიზონა; 7. ადინამია; 8. მორიკონე; 9. ანორექსია; 10. მოაჯირი; 19. ტაბლა; 20. ტანკა; 21. ნიელო; 22. კროლი; 24. ქიმი; 25. რეტრო; 28. ლიდო; 29. ყველი; 30. მანანა; 32. ბატი; 33. მენჯი; 35. რაფია; 36. გეიშა; 37. ნიასა; 38. ტანდა; 40. რიგა; 41. კარმა; 44. სონი; 45. ტახტი; 47. პირანია; 48. ნაპალმი; 49. კაბელი; 50. ტენორი; 51. ბღერი; 52. ლიანგი; 53. ხაიამი; 55. სიონი; 56. დრამა; 59. ქატო.

**ქალამანიფესტივალიზიდანიდანიაბაზიერიკრინიტიტრი**
**გოლიათიოდესამარხილიტერილენინიასაკისტატორი**

| ტყავის მარტივი შინნაკეთი ფეხსაცმელი (ძვ.) | ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევათა ჩვენება | ფრანგი ექსფეხბურთელი | ოცი კაპიკი | მსახიობი ... რობერტსი | სურდო | სამი (ბერძნ.) |
|---|---|---|---|---|---|---|

| თავის რონჩხი | ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი | დიპლომატიური კურიერის საფოსტო ტომარა | ევროპის სახელმწიფო | ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშავი | ერთ-ერთი წვრილი ხმა სიმღერაში | წარწერა ფილმის კადრზე |
|---|---|---|---|---|---|---|




თარაზულად: 4. წყლის დიდი ფრინველი; 8. აზიის სახელმწიფო (ყოფილი ბირმა); 11. ჰიპოპოტამი; 12. კოვბოების შოუ; 13. ალალბედზე მოქმედება; 14. სპორტული შეჯიბრება სისწრაფეში; 15. პეკინური ძაღლი; 16. საექიმო ხელსაწყო შინაგანი ორგანოების გამოსაკვლევად; 17. ალ. ყაზბეგის ელგუჯას სატრფო; 18. ჯ. გარიბალდის რომანი; 19. ჯ. კამერონის ფილმი; 23. წარსული დრო; 24. ღია ყვითელი, თაფლისფერი თმა; 26. ბურუსი; 27. საფოსტო გზავნილი; 28. გაფუჭებული კვერცხი; 31. სიგრძის საზომი ერთეული; 32. ბოჭკოვანი მცენარე; 34. მინერალი, კალციუმის კარბონატი; 39. მიწისქვეშა არხი დაჭაობებული ნიადაგის ამოსაშრობად; 40. ფილმი „... და მისი ძმები"; 42. ველორიქშა ინდოეთში; 43. აფრიკანერების (ბურების) ენა; 44. ლონდონის საქმიანი ცენტრი; 46. ამერიკელი კინომსახიობი ქალი; 47. სასწორის თეფში; 49. ვალერიანა; 54. ტარიფი; 55. ფრანგი მწერალი მარკიზ დე ...; 57. მიმდინარეობა მუსიკაში; 58. მსახიობი ანტონიო...; 59. ფულის პატარა პარკი; 60. სახალხო კრება ელადაში; 61. აუჩქარებელი, დინჯი; 62. ვაზის ერთწლიანი რქა; 63. მუსიკალური ნაწარმოების მელოდია, ჰანგი; 64. მკაცრი, მამხილებელი სიტყვა, გამოსვლა ვისიმე წინააღმდეგ; 65. დასავლეთ სამოას დედაქალაქი.

შვეულად: 1. პურეულის შესანახი ნაგებობა; 2. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 3. ანგორული თხის მატყლის ქსოვილი; 4. ნახევარკუნძული შავ ზღვაში; 5. ერთგვარი ყავა; 6. აშშ-ის შტატი; 7. სისუსტე, ძალ-ღონის გამოცლა; 8. იტალიელი კომპოზიტორი; 9. მადის სრული დაკარგვა; 10. რისამე გასწვრივ გაკეთებული პარაპეტი; 19. დაბალი მაგიდა; 20. იაპონური პოეზიის ჟანრი; 21. მოსავადების ერთგვარი ტექნიკა; 22. სპორტული ცურვის სახეობა; 24. ვარსკვლავის წვეტი; 25. რეტროსპექტივა შემოკლებით; 28. ვარიეტე პარიზში; 29. რძის პროდუქტი; 30. ქართული საბავშვო ფილმი; 32. შინაური ფრინველი; 33. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 35. აფრიკული პალმა; 36. სტუმრების გამრთობი ქალი იაპონიაში; 37. ტბა მოზამბიკსა და მალავიში; 38. ვიეტნამელი მწერალი (დეფისის გარეშე); 40. ლატვიის დედაქალაქი; 41. ბედისწერა ბუდიზმში; 44. თურქული ტექნიკის ფირმა; 45. მეფის სავარძელი; 47. მტაცებელი თევზი; 48. ლაბისებრი საწვავი პროდუქტი; 49. ფოლადის ბაგირი საზღვაო საქმეში; 50. კაცის სასიმღერო ხმა; 51. მუნი; 52. ერთად თავმოყრილი ხალხი; 53. სპარსი პოეტი ომარ...; 55. ტაძარი თბილისში; 56. ლიტერატურული ნაწარმოები სცენაზე დასადგმელად; 59. დაფქვილი მარცვლის გარსის ნარჩენი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ვეებერთელა, უზარმაზარი | ქალაქი უკრაინაში | თოვლზე სასრიალო საზიდარი | ლავსანის სახელწოდება ინგლისში | ტბა მოზამბიკში | კეთილ-თვისებიანი სიმსივნე | ნადირის თათი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ბურთის გატანა კარში | დაახლოებით ათი | ძველი დროის საფლავი | პირობითი ასოითი ნიშანი | პროლე-ტარიატის ბელადი | წლოვანება | ელმანქანის უძრავი ნაწილი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2022 წლის 8 — 14 აგვისტო №33 (1445)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი"**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


